

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

დოქტორანტი ნანული ხოსროშვილი

ნივრის ნედლი და გადამუშავებული სახით შენახვის
რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება

ტექნოლოგიების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: მემცნარეობის პროდუქტების პირველადი
გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიური დოქტორი
სრული პროფესორი ამირან ჩავლეიშვილი

2010 წ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. 21-ე საუკუნეს მემკვიდრეობით გადაეცა კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური პრობლემა – ჩვენი პლანეტის მოსახლეობის არასაკმარისი სასურსათო უზრუნველყოფა. არასაკმარისი კვება თითქოს თან სდევს ცივილიზაციის განვითარებას. განსაზღვრულ სივრცესა და დროში სურსათზე ადამიანთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს მათ მიერ წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობა. მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საკვები: ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი ვერ წყვეტს მათზე ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არა მარტო წარმოების არასაკმარისი მოცულობის, არამედ იმ დანაკარგების გამო, რომელსაც ადგილი აქვს ამ პროდუქტების შენახვის პროცესში. ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხანგრძლივად შენახვა მეტად მნიშვნელოვანია. სადისერტაციო თემა – ნივრის ნედლი და გადამუშავებული სახით შენახვის რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება ეხმაურება ზემომოყვანილ აქტუალურ საკითხებს.


დღეისთვის სამომხმარებლო ბაზარზე ნიორზე მოთხოვნილება სრულად დაკმაყოფილებული არ არის. მთელი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით ზამთრის მიწურულს და გაზაფხულზე, ეს ბოსტნეული კულტურა სავაჭრო ქსელში თითქმის დეფიციტურია, რაც მასზე საბაზო ლირებულების

კატასტროფულ ზრდას განაპირობებს. მიმდინარე წელს ნიორზე საბაზრო ლირებულებამ 10 ლარი შეადგინა კგ-ზე. ბაზარში გვაქვს მხოლოდ იმპორტული ნედლეული, რომელიც მხოლოდ გარეგნული სახით აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, მეტწილად უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეული არის უხარისხო, მაგრამ მასზე დიდი მოთხოვნილების გამო ბაზარზე საკმაოდ მაღალ ფასში იყიდება.

მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ნიორზე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ 1. შეირჩევა საქართველოს ისეთი რეგიონი, სადაც ნივრის მოყვანისათვის ხელსაყრელი ნიადაგურკლიმატური პირობებია; 2. ფერმერს შევთავაზებო ნივრის შენახვის ისეთ ხერხს, რომელიც არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და მაქსიმალურად უზრუნველყოფს შენახვის დროს დანაკარგების შემცირებას.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.

ამჟამად მეტად მნიშვნელოვანია მთაში არსებული მცირე ფერმერული მეურნეობების დაინტერესება ისეთი საქმიანობით, რომელიც მოიცავს წარმოების მთელ ციკლს:



ამ ამოცანის გადასაწყვეტად შესაძლებელია რამდენიმე ფერმერის თანამშრომლობა, რომელთა შორის გადანაწილდება შესასრულებელი სამუშაოები (დაწვრილებით მოყვანილია თავი მე-4-ში).

მთის მოსახლეობას სჭირდება ინფორმირება ბაზარზე მოთხოვნად იმ ნედლეულზე – ნიორზე რომელიც ყველაზე კარგ მოსავალს მათ საცხოვრებელ გარემოში გვაძლევს. ასევე საჭიროა საწყისი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან მცირე ფერმერული მეურნეობების ასაღორძინებლად.

თვით ნივრის შენახვის ხერხები და მეთოდები მრავალგვრია. თითქმის ყველა ხერხი ითვალისწინებს -2° , -3°C -ზე შენახვის მუდმივ ტემპერატურას და 75-80% ჰაერის ფარდობით ტენიანობას. ამ ხერხებიდან ზოგიერთი განსახორციელებლად საკმაოდ მარტივია (ხის ყუთები, პოლიეთილენის პარკები) ზოგიერთი კი საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის სიძვირის გამო. შენახვის ეს ხერხები საკმაოდ არასრულფასოვანია, რადგან ტემპერატურის ოდნავი რყევის დროსაც კი დიდ დანაკარგებს იძლევა (იხ.ცხრილი 1). ამასთან $-2^{\circ}, -3^{\circ}\text{C}$ –ზე შენახვა იძლევა დიდ დანახარჯებს ელექტროენერგიაზე. საჭირო იყო შემუშავებულიყო ნივრის

შენახვის ისეთი ხერხი, რომელიც მოხსნიდა ზემოჩამოთვლილ უარყოფით მხარეებს.

მეცნიერული სიახლე და ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად შესწავლილ იქნა საქართველოში გავრცელებული ნივრის ორი ჯიშის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნარგაობიდან მიღებული მოსავლის სასაქონლო თვისებები, შენახვისუნარიანობა, ფიზიკო-ქიმიური ცვლილებები შენახვის პროცესში, დადგინდა ამ მიმართულებით საუკეთესო ჯიში და ნარგაობის სახე.

– შესწავლილი იქნა და დასაბუთდა ნივრის მოყვანისა და იქვე წარმატებულად შენახვის გეოგრაფიული ადგილი –დუშეთის რაიონის მაღალმთიანი ზონა. რეკომენდაცია მიეცა ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებს რომლის მიხედვით ნივრის მოყვანის და ახალი ხერხით შენახვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მაღალი მოგება, რაც დასტურდება მათვის შედგენილი ბიზნეს-გეგმით.

– დაპატენტდა ნივრის შენახვის ახალი ხერხი, სადაც გამოყენებულია პოლიმერული რეზინის მასალა, რომლის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ პაერის გამოტუმბვის შემთხვევაში რეზინი აპკის სახით ეგვრის მასში დაფასოებულ ნივრის ბოლქვებს, ხოლო შენახვის მთელ პერიოდში იქმნება ბიოგაკუუმი. პოლიმერული რეზინის აპკი (პრა) მდგრადია დაბალი ტემპერატურის და ტენის მიმართ, საკმაოდ ელასტიურია და ადგილად არ იხევა, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების

დროს ტენი კონდენსირდება არა შიგთავსში, არამედ მის ზედაპირზე. პრა-ში ნივრის შენახვა მოხერხდა $+1^{\circ}, +2^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 85-90% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, რაც გვაძლევს ელექტროენერგიაზე დანაზოგს და მინიმალურ დანაკარგს. პრა იაფია, მაღალმთიან პირობებში საკმაოდ ხანგრძლივი დროით შეგვიძლია გამოვიყენოთ შენახვისათვის ზამთრის ბუნებრივი სიცივე, რაც ამცირებს ნედლეულის თვითდირებულებას.

- სათესლედ (სარგავ მასალად) გადანარჩევი ნივრიდან მიღებული ნარჩენები გამოყენებულ იქნა სოიოს ცილებით მდიდარი ახალი საგვები პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიაში.
- შემუშავდა მეწარმე-სუბიექტის სტანდარტები სოიოს პროდუქტებისა, სადაც ერთ-ერთ შემადგენელ ინგრედიენტად გამოყენებულია ნივრის სარგავი მასალის დამზადების დროს წარმოქმნილი ანარჩევი, რომელიც ვარგისია გადასამიშავებლად.

1 ლიტერატურის მიმოხილვა

თანამეროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი მწვავე ეკონომიკური კრიზისი უმთავრეს გამოხატულებას პოულობს კვების

პროდუქტების დეფიციტში, რის გამოც მოსახლეობა ვერ დებულობს კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს [5]. საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას კი შრომის სწორი ორგანიზაციის, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის პირობებში ძალუძს დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ძირითადი სახის საკვებ პროდუქტებზე – მით უმეტეს ხილსა და ბოსტნეულზე და მათი გადამუშავების პროდუქტებზე.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები, რომელიც ხელსაყრელია როგორც კონტინენტური, ასევე სუბტროპიკული მეხილეობისა და მრავალფეროვანი ბოსტნეული კულტურების წარმოების გაფართოებისათვის, დღემდე ეფექტურად არ არის გამოყენებული. არ არის მეცნიერულ დონეზე შესწავლილი ცალკეული სახის ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივად შენახვისა და გადამუშავების პირობები, რაც ძირითადი პირობაა წლის განმავლობაში მოსახლეობის ამ სახის პროდუქტებით სისტემატური და გეგმაზომიერი მომარაგებისათვის.

გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბოსტნეულზე და კარტოფილზე დიდად არის დამოკიდებული ამ პროდუქტის დანაკარგების შემცირებაზე. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდა დაკავშირებულია მოსავლის აღების დროს მანქანების გამოყენებასთან, პროდუქციის მოსავლის აღების შემდეგ დამუშავებასთან და შესანახად დაბინავებასთან [26], როგორც ამტკიცებენ ჩვენი და საზღვარგარეთელი მეცნიერები

მოსავლის ადების დროს პროდუქციის მექანიკური დაზიანებები საწინდარია შენახვის პროცესში ინტენსიური დაავადებების გაჩენისა [9, 32, 33, 34] ვიმოწმებო რა უცხოელ მკვლევარს კნიაზევს [31] თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს მის მიერ მოტანილი მონაცემები გერმანიაში სხვადასხვა დაავადებით გამოწვეულ კარტოფილის დანაკარგებზე შენახვის დროს. გერმანიაში ყოველწლიურად იკარგება 700-900 ათასი ტონა. ჯამში 15 მლნ. მარკა. პოლონეთში ბაქტერიული დაავადებით გამოწვეული დანაკარგები ცალკეულ წლებში მოსავლის 80%-ს შეადგენს, ხოლო ინგლისში 10-15%-ია, რუმინეთში სოკოვანი დაავადებით გამოწვეული დანაკარგები 77%-ია, ყოფილ სსრკ-ში ეს დანაკარგები გაუმართლებლად მაღალი იყო, ასეთიერ მდგომარეობა იყო საქართველოში. დღეს ჩვენს დაკნინებულ სოფლის მეურნეობას თავდაუზოგავი და მიზანმიმართული შრომა და მეცნიერებასთან მჭიდრო კონტაქტი სჭირდება. ახლა საჭიროა თითოეული მიწათმოქმედის ფსიქოლოგიის ისე გარდაქმნა, რომ მან მთელი არსებით შეიყვაროს თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სწორი და მიზანდასახული მიმართულება მისცეს თავის შრომას. საჭიროა საზღვარგარეთული ფერმერული მეურნეობების გამოცდილების შესწავლა და მათი მისადაგება ჩვენს პირობებთან. საჭიროა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა საზღვარგარეთიდან, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოიყოს საჭირო კრედიტები. ყოველივე ეს უნდა დაჩქარებულ ტემპებში მოხდეს. საქართველო დასაბამიდან აგრარული ქვეყანაა. განვითარებული, ძლიერი

სოფლის მეურნეობა სულაც არ ნიშნავს ქვეყნის ჩამორჩენილობას. ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს ევროპის ბევრი ქვეყანა, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონე ქვეყანას ათანაბრებს ინდუსტრიული სახელმწიფოების დონესთან ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში. მჯერა ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობისა და გონიერებისა და თუ ინტელექტუალური ძალების სურვილიც მათთან თანხვედრილი იქნება სულ მაღა საქართველოც მოწინავე აგრარული ქვეყანა გახდება.

ამგვარად მეცნიერების წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა – შეიმუშაონ შენახვის ისეთი წესები და მეთოდები, რომლითაც დანაკარგები მინიმალური იქნება. როგორც აღვნიშნეთ, ბოსტნეულის შენახვის ხანგრძლივობა დიდად არის დამოკიდებული არა მარტო აღების და აღების შემდგომი დამუშავების პროცესზე, [10, 15, 16, 33, 35, 41, 42, 50] არამედ იმ პირობებზე, რომელშიც მცენარეს უხდება ზრდა-განვითარება. ამ პირობებიდან აღსანიშნავია მცენარისათვის მინერალური სასუქების ბალანსირებული დოზით მიწოდება [57, 60, 19], მოსავლის მოყვანის სწორ ტექნოლოგიასა და შენახვისუნარიანობას შორის დამოკიდებულებას ერთხმად ადასტურებენ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები. [78, 79, 102, 84, 49, 11, 67]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცენარეული ნედლეულის შენახვა, განსაკუთრებით მაღლუჭადისა, გაზაფხულობით ძალიან ძნელდება. ტუბერები, ძირხვენები, ბოლქვები, თავები და ა. შ. – ყველა ეს მცენარეული ნაწილებია, რომელშიც მოგროვილია

ვეგეტაციის პერიოდში სამარაგო საკვები ნივთიერებები და ზამთრის პერიოდში მოსვენების მდგომარეობაში არიან. მათში ჩვეულებრივად გრძელდება სიცოცხლისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები [139, 40], ხოლო ამ პროცესების ინტენსივობა დამოკიდებულია შენახვის პირობებზე. საჭირო ფაქტორები, რომელზედაც დამოკიდებულია ამ პროცესების შენელება ან გააქტიურება, არის შესანახ საცავში არსებული ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა. ეს ფაქტორები განაპირობებენ პათოგენური მიკროფლორის დათრგუნვას ან გამრავლებას.

ყოფილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მონაცემებით [21, 98, 75, 80, 81] წარმოდგენილი იყო არა მცირე მოცულობის საკვლევაძიებო სამუშაოები შენახვის დროს დანაკარგების შემცირების უზრუნველსაყოფად.

ხილ-ბოსტნეულის შენახვა რეგულირებულ-აიროვან ნარევში (რან) ტექნიკის პროგრესული სიტყვაა. ამ დროს ხდება არა მარტო ტემპერატურისა და ჰაერის ფარდობითი ტიანობის რეგულირება, არამედ ჰაერის აიროვან შედგენილობისაც. პირველად ფ. ვ. ცერევიტინოვმა [94] გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, ჰერმეტულად დახურულ ექსიკატორში შენახული ციტრუსების ნაყოფების შენახვის შედეგებზე მათი შეცვლილ (რეგულირებულ) აიროვან ნარევში შენახვისას. შემდგომში ინტერესით წარიმართა მეცნიერული კვლევა ხილ-ბოსტნეულის შეცვლილ აიროვან ნარევში შენახვის ტექნოლოგიის შესასწავლად. ერთ-ერთი პირველნი იყვნენ ინგლისელი მკვლევარები Kidd. F., West. c. [114], რომლებმაც შეისწავლეს

სუნთქვის ცვლა და დაადგინეს ოპტიმალური პარამეტრები აირების შემადგენლობისა ვაშლის მთელი რიგი ჯიშებისათვის. ხილ-ბოსტნეულში შენახვის რეჟიმის და ბიოქიმიური ცვლილებების შესწავლის საქმეში აღნიშვნის დირსია ისეთი მკვლევარების სახელები, როგორიცაა Marselin p [115, 116], Fidler I.C/[112], Isenberg F. [113], Bunemann I., Hangen H [110], Метлицкий А. В. [46] Макашвили Г. А. [45] და სხვა. ხილისა და ბოსტნეულის რან-ში შენახვის რეჟიმის დადგენაში დიდი როლი ითამაშეს მეცნიერებმა: Monrini A, Iosini F. [117], Soll P. [27], Stoll K. [119], Rapptan N. W. [120], Гудковский В. А. [13], Ципруш Р. Н. [95], Гуссеинов А. Г. [14], Гжай А. Е. [89], Широков Е. П. [80, 81], Падалцина Г. В. [55], Магомедов М. Г. [44] და სხვა. ასეთია მოკლე სია იმ მეცნიერებისა, რომლებმაც რან-ში ხილ-ბოსტნეულის შენახვის მრავალ თავისებურებას ფარდა ახადეს და შეისწავლეს. განვიხილოთ მოკლედ, თუ რა საკითხებს ხვეწავენ დღეს მეცნიერები ამ მიმართულებით. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს შესაფუთ მასალაში მოთავსებული პროდუქციის მთელ მოცულობაში იქმნება პირობები, რომელშიც (გაზრდილია CO_2 კონცენტრაცია) ეცემა სუნთქვის ინტენსივობა და საკვები ნივთიერებების დანახარჯი.

რეგულირებულ აიროვან ნარევში (რან) ხ/ბ-ის შენახვისას ხდება არა მარტო ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის რეგულირება, არამედ ჰაერის აიროვანი შედგენილობისაც. ამიტომ საჭიროა ამ მეთოდის უფრო დაწვრილებით განხილვა. აიროვანი გარემოს შემადგენლობის ცვლილება ხილსაცავებში ან მცირე ტევადობებში შეიძლება მოღწეულ იქნას სხვადასხვა ხერხებიც.

ისინი შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: მეთოდები, რომელთა
დროსაც აიროვანი გარემოს შესაქმნელად გამოიყენება შესანახი
ობიექტის შინაგანი ენერგია. მეთოდები, რომელთა დროსაც
სარგებლობენ აიროვანი გარემოს გარეგანი გენერაციით.
აიროვანი გარემოს შინაგანი გენერაციის ქვეშ ესმით გარემოს
შემადგენლობის ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს ნაყოფების
ბუნებრივი სასიცოცხლო პროცესების შედეგად. სუნთქვის
პროცესში ისინი სარგებლობენ ჰაერის ჟანგბადით (O_2) და
გამოყოფენ ნახშირბადის დიოქსიდს (CO_2). თუ ხილსაცავის
საკანი ან პოლიმერული ტარის სხვადასხვა სახეობა
ჰერმეტულია, მაშინ ნაყოფების სუნთქვის შედეგად გარემოს
აიროვანი შემადგენლობა მათში აუცილებლად შეიცვლება.
ვენტილაციის გამოყენებით, საიზოლაციო მასალების
სელექციური გამჭოლადობით, აგრეთვე საადსორბციო
დანადგარებში (სკრუბერები) ჭარბი CO_2 -საგან ჰაერის გაწმენდით.
შეიძლება ხილსაცავების საკნებში ან ჰერმეტული ტარას
სხვადასხვა სახეობაში შევინარჩუნოთ სასურველი აიროვანი
რეჟიმი. []

გარეგანი გენერაცია პრინციპულად განსხვავდება
შინაგანისაგან. ის დაფუძნებულია აიროვანი გარემოს ხელოვნურ
შექმნაზე, რომელიც შეიძლება მოღწეული იქნას ხილსაცავებში
კამერებში ან სხვა ჰერმეტიზებულ ტარაში აიროვანი ნარევის ან
ცალკეული კომპონენტებით O_2 , N_2 და CO_2 -ის საჭირო
თანაფარდობითი შეშვებით. შეიძლება ვისარგებლოთ აგრეთვე
სპეციალური მოწყობილობით, რომელიც ამცირებს O_2 -ის
შემცველობას (გაზოგენერატორები). პრაქტიკაში ცნობილია

საკმაოდ ბევრი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს აიროვანი შემადგენლობის რეგულირებას ცალკეული სახის პროდუქციის ოპტიმალური რეჟიმის მოთხოვნების შესაბამისად. ამ მეთოდებიდან მრავალს უთავსებენ შინაგან და გარეგან გენერაციასთან. ცოცხალი ობიექტების შენახვისას შინაგანი გენერაციის მთლიანად გამორიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ გარეგანი გენერაციით სარგებლობისას ანგარიში უნდა გავუწიოთ შინაგან გენერაციასაც.

როგორც ცნობილია, ჩვენი გარემომცველი პაერი შეიცავს 21% O₂-ს, დაახლოებით 79% N₂ და CO₂-ის კვალს. თუ ჰერმეტიულ კამერაში მოვათავსებთ ნაყოფებს ან მცენარეული პროდუქციის სხვა სახეობას, მაშინ მათი ცხოველმოქმედების შედეგად (სუნთქვა) O₂-ის რაოდენობა კამერის აიროვან გარემოში შემცირდება, ხოლო CO₂-ის კონცენტრაცია გაიზრდება. ტემპერატურის მომატებისას ამ პროცესის ინტენსივობა იზრდება. ამის შედეგად O₂-ის შემცველობა შეიძლება შემცირდეს მინიმალურ დონემდე (0,5 – 1,5%), რომლის დროსაც მცენარეულ ქსოვილებს არ შეუძლიათ უკვე მისი გამოყენება, ერთდროულად CO₂-ის კონცენტრაცია შეიძლება გადიდდეს 19-20%-მდე. აქტიური კომპონენტების O₂-ის და CO₂-ის ჯამი ასეთ პირობებში ყოველთვის ახლო იქნება 21%-თან. ეს პრინციპი მიუთითებს სათავსოების სრული ჰერმეტიზაციის აუცილებლობას, როგორც მეთოდის გამოყენების საერთო პირობას. არასაკმარისი ჰერმეტიზაციის პირობებში შეუძლებელია შეგქმნათ საცავში აიროვანი გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებული

იქნება გარე ატმოსფეროსაგან. ჰერმეტიზაციის ხარისხი უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შექმნილი აიროვანი გარემო გადარიბდეს O_2 -ით.

გარემოს აიროვანი ნარევის მოდიფიკაციის ერთ-ერთ მარტივ მეთოდს წარმოადგენს სხვადასხვა სახის პოლიმერული ფირებისაგან დამზადებული ტარის გამოყენება. [51, 18, 59, 43, 86] აიროვანი გარემოს შემადგენლობა ასეთ ტარაში იცვლება თვითონ ნაყოფების ფიზიოლოგიური აქტივობისა (სუნთქვა) და ფირის სელექციური გამჭოლადობის გამო. პრაქტიკაში ცნობილია მცირე ტევადობის ამა თუ იმ ხარისხით ჰერმეტიზებული ტარის გამოყენება. ისეთი ტარის დასამზადებლად, რომელთა ტევადობა რამდენიმე ასეული გრამიდან რამდენიმე კილოგრამამდეა, მეტწილად იყენებენ ისეთ მასალებს, როგორიც არის პოლიეთილენი, ცელოფანი და სხვა. ასეთ ტარას იყენებენ ძირითადად ხილის (ვაშლის, მსხლის, ქლიავის და სხვ.) შესანახად და ტრანსპორტირებისათვის. ხილის შენახვისას პოლიეთილენის ტარაში ხშირად შეინიშნება ფირის შეკუმშვა, იქმნება წარმოდგენა, თითქოს პარკიდან ამოქაჩეს ჰაერი. ამის მიზეზია ფირის დიფერენცირებული გამჭოლადობა CO_2 -ისა და O_2 -ის მიმართ. CO_2 იჭრება რამდენადმე უფრო სწრაფად, ვიდრე O_2 , ამის გამო ნაყოფების მიერ სუნთქვისათვის O_2 -ის გამოყენების ინტენსივობაზე დამოკიდებულებით პარკის აიროვანი გარემოდან ამ ნაყოფების მიერ გამოყოფილი CO_2 -ის კონცენტრაცია მატულობს, იზრდება მისი პარციალური წნევა და ის უფრო ინტენსიურად გამოდის დიფუზიის გზით გარემომცველ გარემოში. ამავე დროს პარკში CO_2 -ის შეჭრა გარედან მიმდინარეობს

სუსტად. ამის შედეგად პარკში, რომელშიც მოთავსებულია ხილი, იქმნება მცირე გაკუუმი, რაც იწვევს პარკის შეკუმშვას (მცირდება მისი მოცულობა). შემდგომში სუნთქვის ინტენსივობის შემცირებისას გაკუუმი მცირდება. ამ მიზეზის გამო პოლიეთილენის ტარაში დაფასოებულ ხილს, რომელსაც მჭიდროდ ეკვრის პარკი ხშირად უწოდებენ ფიზიოლოგიურ შეფუთვას. [45]

ბევრ ქვეყანაში პოლიეთილენის ფირებით სარგებლობენ უმეტესად სადებების სახით მაგარ ტარაში, რომელთა ტევადობა სხვადასხვაა და აღწევს რამოდენიმე ცენტნერამდე. უფრო ხშირად იყენებენ პოლიეთილენის ფირებს მაღალი წნევის (40 – 60 გვ), რომელსაც გაჩნია CO_2 -ისა და O_2 -ისადმი განსაზღვრული გამჭოლადობა, სუსტი ორთქლ-წყალგამტარებლობა, აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა მაღალი ჰლასტიკურობა, სიმკვრივე, ქიმიური ინერტულობა, გამძლეობა გარეგანი ფაქტორების მოქმედებისადმი (ტემპერატურა, სინათლე, ტენი), თერმული შედებებისა და სხვა. ასეთი ტარით საზღვარგარეთ სარგებლობენ ძირითადად სავაჭრო სფეროში და პროდუქტების ტრანსპორტირების დროს. ხილის სამრეწველო შენახვისას ასეთი ტარის გამოყენება შეზღუდულია ექსპლოატაციის მაღალშრომატევადობასთან დაკავშირებით.

სამრეწველო შენახვის პირობებში ხშირად სარგებლობენ სხვადასხვა ტევადობის მაცივარ-კამერებით, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური ადსორბციული დანადგარებით და ხელსაწყოებით აიროვანი გარემოს შემადგენლობის კონტროლისა და რეგულაციისათვის. უფრო პერსპექტიულად ითვლება

დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს ჭარბი CO₂-ის მოცილებას. ადსორბენტები ანუ სკრუბერები – დანადგარებია, რომლებიც შთანთქავენ ჭარბ CO₂-ს. იმის შემდეგ, რაც ნაყოფები ჩაწყობილია საცავში და დარეგულირებულია ტემპერატურული რეჟიმი, კარებს ჰერმეტულად ხურავენ. ნაყოფების სუნთქვის შედეგად ჰერმეტული კამერის აიროვანი გარემო თანდათანობით მდიდრდება CO₂-ით და დარიბდება O₂-ით. მაშინ, როცა მიღწეული იქნება CO₂-ის აუცილებელი კონცენტრაცია, გენტილატორის დახმარებით გამოდევნიან შინაგანი აიროვანი გარემოს გარკვეულ მოცულობას გამწმენდი აპარატის გავლით. ამ სახით ხდება ჭარბი CO₂-ის მოცილება. ამავე დროს, როცა O₂-ის კონცენტრაცია დაეცემა სასურველ დონემდე მას ინარჩუნებენ კამერაში ჰერიოდულად გარეთა ჰაერის მცირე რაოდენობით შეშვების გზით. აერაციის და გამწმენდი მოწყობილობის ერთდროული გამოყენება გართულებულია, ვერ უზრუნველყოფს აიროვანი რეჟიმის საკმაო სტაბილურობას და მოითხოვს მუდმივ კონტროლს, როგორც აპარატურის მუშაობისას, ისე მისი გამორთვის დროსაც.

დღეისათვის წარმატებით გამოიყენება აიროვანი გარემოს რეგულირების მეთოდი, რომელიც დამუშავებულია საფრანგეთში. ის დაფუძნებულია სილიკონური ბლასტომერების (მემბრანების) სელექციური გამჭოლადობის გამოყენებაზე.

აირების ქიმიურ-მოლეკულურ ბუნებაზე დამოკიდებულებით მათი დიფუზიის სიჩქარე ასეთი ფირებისაგან დამზადებულ ტიხარებში განსხვავებულია. ამ პრინციპზეა შემუშავებული კამერებზე მონტირებული დიფუზორ-აირმიმომცვლელი და ფირის კონტეინერები აირცვლის სარკმლებით. სხვა ხერხებთან

შედარებით დიფუზორ-აირმიმომცვლელების სისტემას აქვს უპირატესობა – აიროვანი გარემოს სასურველი შემადგენლობა მუდმივად რეგულირდება ავტომატურად. ხარჯები მომსახურებასა და ელექტროენერგიაზე მინიმალურია.

დიფუზურ-აირმიმომცვლელი – მცირე ტევადობის დიფუზური ბატარეა. მისი კედლები დამზადებულია ფორიანი მასალისაგან (მაგ.: ქსოვილი ტექსტილი), რომლებიც დაფარულია სილიკონური კაუზუკის თხელი ფენით (დიმეთილპოლისილოკსანი). მცირე ზომის ვენტილატორი განუწყვეტლივ გამოდევნის საცავიდან აიროვან ნარევს მიღსადენით დიფუზორ-აირმცვლელში და შემდეგში მიღსადენით ისევ საცავში ბრუნდება. მთელი სისტემა ჩაკეტილია. ბატარეის კედლების გასწვრივ მოძრაობისას საცავის ფოროვანი ნარევი, რომელიც გამდიდრებულია CO_2 -ით და გადარიბებულია O_2 -ით (ნაყოფების სუნთქვის შედეგად), დიფუზიის საშუალებით სილიკონური ტიხარების გავლით გარეთა ატმოსფეროს აძლევს CO_2 -ის მცირე რაოდენობას და ერთდროულად იღებს ამ ატმოსფეროდან (აგრეთვე დიფუზიით) O_2 -ის მცირე რაოდენობას. ამ სახით ამ პროცესის ციკლურობას საზღვრავს საცავის აიროვანი გარემოს გადარიბება O_2 -ით და გამდიდრება CO_2 -ით. ხელოვნური კაუზუკი ხასიათდება O_2 -ისა და CO_2 -ის გამტარებლობის ისეთი უნარით, რომ დიფუზორული ზედაპირის ზომის სწორი შერჩევისას (შესანახად ჩაწყობილი ხ/ბს რაოდენობის მიხედვით) საცავში შენარჩუნებული იქნება შემადგენლობა (O_2 – 3%, CO_2 – 3-5%, კონკრეტულ შემთხვევაზე დამოკიდებულებით). ქსოვილის მემბრანები, რომლებიც გამოიყენება დიფუზორებისათვის, დაფარულია სილიკონური

ელასტიური თანაბარზომიერი თხელი ფენით და გამოირჩევა მაღალი ერთგვაროვნებით და ნაყოფების სუნთქვის დროს გამოყოფილი ცვლის პროდუქტებისადმი მაღალი გამჭოლადობით. რან-ის შესაქმნელად გამოიყენება აგრეთვე პოლიმერული კონტეინერები აირმიმოცვლის სარკმლით. ეს ვარიანტი ტექნიკურად მეტად მარტივია. კონტეინერისათვის გამოყენებული პოლიეთილენი პრაქტიკულად ჰაერგაუმტარია და კონტეინერი წარმოადგენს პატარა ჰერმეტიზებულ კამერას. სილიკონურ-კაუჩუკოვანი ფირისაგან დამზადებული სარკმელი დიფუზორის მოვალეობას ასრულებს. კონტეინერში ნაყოფებით სავსე ყუთების ჩაწყობის შემდეგ მის ზედა ნაწილს მჭიდროდ უკრავენ თავს, რის შემდეგ აირცვლა გარემოსთან ხორციელდება მხოლოდ დიფუზიით, სილიკონური სარკმლის მეშვეობით. კონტეინერის შიგნით აიროვანი გარემოს მოდიფიკაციის შემდგომი პროცესი შედეგია – ნაყოფების სუნთქვის (ცხოველმოქმედებისა) და სილიკონური აპკის სელექციური გამტარობისა.

გარეგანი გენერაციით სარგებლობისას ხ/ბ-ის შესანახ კამერას არ მოეთხოვება ჰერმეტიზაციის მაღალი ხარისხი (როგორც შინაგანი გენერაციისას), რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასეთი კამერების გამოყენება განსაკუთრებით პერსპექტიულია ისეთი პროდუქციისათვის, რომელთა შენახვის ვადა მკაცრად შეზღუდულია. გარეგანი გენერაციის კამერებში შესაძლებელია შენახვის პროცესში ხილის ნაწილობრივი დატვირთვა და განტვირთვა.

დღეისათვის წარმატებით გამოიყენება სპეციალური კამერები, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივი მაცივარ-კამერებისაგან

კონსრტუქციული გადაწყვეტით და ჰერმეტიზაციი მაღალი ხარისხით. ასეთი კამერების ტევადობა შეიძლება მერყეობდეს საკმაოდ ფართო ფარგლებში 50-დან 800 ტონამდე (ოპტიმალურად ითვლება 100-300 ტ). ასეთ საცავებში განლაგების სიმჭიდროვე მაღალია. რაც უფრო მცირე აიროვანი გარემო მოდის კამერაში ჩატვირთული პროდუქტის ერთეულზე, იმდენად ადგილია მასში სასურველი აიროვანი რეჟიმის შექმნა და შენარჩუნება. პროდუქცია ასეთ კამერებში იტვირთება მჭიდრო შტაბელებად და ყუთებს ან კონტეინერებს შორის მინიმალური მანძილით. [] ა.შ.შ.-ში, ინგლისში და საფრანგეთში ასეთი კამერების ხევდრითი მოცულობა (ტევადობა) მჭიდრო დატვირთვისას $2,7 - 5 \text{ } \text{m}^3/\text{ტ}$ საზღვრებში მერყეობს. პრაქტიკა და გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ კამერების ოპტიმალური სიმაღლე მექანიკური დატვირთვისას შეიძლება მიღებული იქნას $4,8 - 7,5 \text{ } \text{მ}$. რან-იან კამერებში ჰერმეტიზაციას მოითხოვს არა მარტო კედლები, იატაკი და ჭერი, არამედ გამტარები, მილსადენები და სხვა კომუნიკაციები. ჰერმეტიულობა მიიღწევა სპეციალური აირგაუმტარი მასალების გამოყენებით, რომლებითაც განლაგებულია სითბოიზოლატორების გარეთა ან შიგნითა მხარე. ამ მიზნებისათვის გამოიყენება მეტალის მრავალფეროვანი იზოლაცია: ფურცლოვანი მოთუთიებული ფოლადი ან ალუმინის ფოლგები ბიოუმზე. მეტალის კონსტრუქციებს ხშირად იყენებენ პოლიმერულ მასალებთან სხვადასხვა შეხამებით. საფრანგეთში თავის დროზე ხილის შესანახად მოყვანის ადგილზე იყენებდნენ გაბერილ გაცივებულ საწყობებს გარეზინებული ქსოვილებისაგან და პოლიმერული მასალებისაგან. []

ინგლისში საქმარისად პერმეტულად ითვლება კამერა, რომელშიც შინაგანი ჭარბი წნევა, რომელიც ტოლია 196,2 კა-სი, მცირდება 98,1 კასკალამდე არაუმეტეს 6 წუთის განმავლობაში. აშშ-ს სტანდარტების მიხედვით, კამერა ითვლება პერმეტულად, თუ ჭარბი წნევის დაცემის ხანგრძლივობა 245,25-დან 9,81 კასკალამდე შეადგენს 25-30 წუთს. საფრანგეთში აიროვანი გარემოს შინაგანი გენერაციის კამერებში, პერმეტიზაციის ხარისხს უყენებენ უფრო მაღალ მოთხოვნებს. თვლიან, რომ ჭარბი წნევის დაცემის ხანგრძლივობა 147,15-დანაა. ყველა თანამედროვე მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბოსტნეულის ხანგრძლივად შენახვისათვის, გამოყენებას ჰპოვებს ნივირის შემთხვევაშიც. ყოფილი საბჭოთა კავშირის ხილ-ბოსტნეულის შესანახ ბაზებში შენახვის ბოლოს ნივრის დანაკარგები 40%-ს შეადენდა. მრავალი კვლევითი სამუშაო იქნა ჩატარებული ნივრის შენახვის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით, რომელთაც ქვემოთ ნივრის შენახვის ხერხებისა და მეთოდების განხილვის დროს თანმიმდევრობით განვიხილავთ.

2 ნივრის შენახვის თანამედროვე ხერხები და მეთოდები

ცნობილია ნივრის ა) „თბილად“ შენახვა. ეს, როცა გლეხურ პირობებში ნიორს წნულის სახით ინახავენ სხვენზე ბუხრის საკვამურთან ახლოს და ბ) დაბალ ტემპერატურაზე შენახვა მაცივარ-კამერებში:

- ხის ღია ყუთებით

- პოლიეთილენის პარკებში (მთლიანი, პერფორირებული, კონტეინერები სილიკონური აპკის სარკმლით)
- შენახვა რეგულირებულ აიროვან ნარევში
- ნივრის შენახვა მაღალი სიხშირის დენის გამოყენებით
- შენახვა იონიზირებული პაერის დასხივებით
- შენახვა ოზონის დასხივებით
- შენახვა ფუმიგაციისა და აეროზოლების გამოყენებით
- შენახვა საკვებ პარაფინში
- შენახვა დამარილებული სახით

ყოველი ჩამოთვლილი მეთოდი და ხერხი გამოყენებას ჰქოვებს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ დაბალ ტემპერატურაზე შენახვისას, რომელიც მთავარი აუცილებელი პირობაა შენახვის პროცესში დანაკარგების შემცირებისათვის. ნივრის სასაქონლო დირსების შენარჩუნებაში ცივი ჰაერის დადებითი როლი იმაში გამოიხატება, რომ გარკვეული ნაწილი ნემატოდების, ტკიპების, ობის სოკოების და ბაქტერიებისა იხოცება, წყდება მავნებელთა გამრავლება, ნელდება ან საერთოდ ჩერდება საღი ბოლქვების დაავადება, ამას გარდა ბუნებრივი კლება წყლის აორთქლებისა და სუნთქვის ხარჯზე, დაბალი ტემპერატურის პირობებში გაცილებით მცირეა, ვიდრე ჩვეულებრივ ხახვისაცავებში, გაცივების გარეშე. დაბალ ტემპერატურაზე მუხრუჭდება ბოლქვების აღმოცენების პროცესი, ხანგრძლივდება მოსვენების პერიოდი. მაცივარსაცავში აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს მუდმივი ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა. ნიორი ჩვეულებრივ ყუთ-

ბადებში, ყუთ-კალათებში და არცოუ დიდი ზომის კონტეინერებში ინახება. შენახვის ტემპერატურა -2, -3°C და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75-80%-ია.

დაბალ ტემპერატურაზე შენახვის ქვედა ზღვარს განსაზღვრავს უჯრედის წვენის გაყინვის ტემპერატურა და შესანახ საცავში ამ ტემპერატურის შენარჩუნების ეკონომიურობა. -4°C-ზე ნივრის შენახვა რეკომენდებული არ არის, რადგან ამ დროს უჯრედში წარმოქმნილი ყინულის კრისტალები აზიანებენ უჯრედის გარსს, ხდება ცილების კოაგულაცია, რის გამოც ნივრის კბილები რბილდება, როგორც მოხარშული და შემდგომი შენახვის დროს ადვილად ავადდება სოკოებითა და ბაქტერიებით, ასევე არ შეიძლება ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურის მერყეობა, ეს იწვევს შენახვისუნარიანობის დაჭვეითებას და ზრდის სასაქონლო პროდუქციის დანაკარგებს. ელექტროენერგიის დანახარჯების ეკონომიურობის მიზნით ჩრდილოეთში ზამთარში იყენებენ ატმოსფერულ ჰაერს, ხოლო შემოდგომასა და გაზაფხულზე იყენებენ ხელოვნურად გაცვებულ ჰაერს. []

მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში ჩატარებული საკვლევაძიებო სამუშაოები [22] გვამცნობს, თუ რამდენად ეპნომიურია ნიორის შენახვა დაბალ ტემპერატურაზე ხელოვნური გაცივებით. აქ ორი სეზონის განმავლობაში ხანგრძლივად შენახვაზე აწყობდნენ ნიორს ხის სტანდარტული ყუთებით, როგორც მაცივარ-კამერებში, ისე ბუნებრივი გაცივების ხახვსასცავებში. მაცივარში შენახული ნიორი ხასიათდება შედარებით კარგი ხარისხითა და ნაკლები წონითი

დანაკარგებით, ვიდრე ნიორი ხახვსაცავებში ბუნებრივი გაცივებით შენახული, სადაც არის შენახვის ცუდი რეჟიმი. მაცივარში შენახული ნივრის სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა 3,7-ჯერ აღემატებოდა ხახვსაცავში შენახულისას, წონაში კლება 3,6-ჯერ მცირე იყო, საერთო დანაკარგები 17-ჯერ მცირე იყო ხახვსაცავში შენახულ ნიორთან შედარებით. []

ნივრის შესანახი ოპტიმალური ტარის დადგენის მიზნით დაკვირვებას აწარმოებდა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. [26] ყველაზე უკეთესი შედეგები მიღებულია 20-25 კგ ტევადობის ყუთებში და ყუთ-ბადეებში 8-10 კგ ტევადობით შენახვის შემთხვევებში, არ გაამართლა ბადე ტომრებმა, ვინაიდან ნაკლები ვენტილაცია და მაღალი ტენიანობა იწვევს დაავადების 10-15%-ით გაზრდას.

რეალიზაციისათვის ძალიან პერსპექტიული გამოდგა პოლიეთილენის პაკეტებში შენახვა. პერმეტულად დახურულ პოლიეთილენის პაკეტებში იქმნება სასურველი აიროვანი შედგენილობა: CO_2 – 5-6% და O_2 – 11-12%, რომელიც განაპირობებს მაღალ შენახვისუნარიანობას. ამ შემთხვევაში არსებითი სხვაობა საზამთრო და საგაზაფხულო ნიორში არ შეინიშნება, მინიმალურია მასაში ბუნებრივი კლება, მაგრამ წარმატებით შენახვისათვის აუცილებელია ტემპერატურაზე მკაცრი თვალყურის დევნება, რადგან ტემპერატურის მცირე მერყეობითაც გამოიწვევს პოლიეთილენის პარკის კედლებზე ტენის გამოყოფას და დაავადების გავრცელებას. მცირე ზომის ტარა იძლევა დამატებით ეკონომიურ ეფექტს.

მოგვავს ცხრილი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის მოცემული ავლევის შედეგებს [ცხრილი 1].

ცხრილი 1

ნივრის შენახვის უნარიანობა (შენახვა $-1, -3^{\circ}\text{C}$

ტემპერატურაზე) საჭყის მასაზე გაანგარიშებით.

შენახვის ტემპერატურა	ტარა	სასაქონლო კროდუქციის გამოს.-ბა	დანაკარგები %		
			მთლიანი	ბუნებრივი კლება	დაგვადებით გამოწვეული
უ კ რ ა ი ნ უ ლ ი თ ე თ რ ი					
0, $+2^{\circ}\text{C}$	ყუთები	80,0	20,0	8,6	11,4
-1, -3°C	ასეთივე ყუთები	92,8	7,2	4,1	3,1
	ტომრები	83,1	16,9	6,9	10,0
	ყუთი—კალა თი	90,3	9,7	6,6	3,1
	პარკები	97,5	2,5	0,1	2,4
ზ ა ი ლ ი ნ ი ს					
0, $+2^{\circ}\text{C}$	ყუთები	74,9	25,1	9,2	15,9
-1, -3°C	ყუთები	85,3	14,7	5,7	9,0
	ტომრები	77,6	22,4	7,0	15,4
	ყუთი—კალა თი	88,7	11,3	7,1	4,2
	პარკები	95,8	4,2	0,4	3,8

შენიშვნა: შენახვის ხანგრძლივობაა სექტემბრიდან მაისამდე [26]

ნიორის შენახვის მეთოდების სრულყოფის მიზნით
ჩატარებულ იქნა საკვლევაძიებო სამუშაოები ხარკოვის ხილ-
ბოსტნეულის კომბინატში $0, -3^{\circ}\text{C}$ -ზე ტემპერატურასა და 80-90%
ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, შენახვის

ხანგრძლივობა იყო 6,5-7 თვე, გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის ტარა. დანაკარგები ისრიანი ნივრისა უფრო დიდი იყო, ვიდრე უისროსი. მასაში კლება 190 დღეში შეადგენდა 7 და 6%-ს, დაავადება 25 და 9%-ს. სტანდარტული პროდუქციის შენახვისუნარიანობა ვენტილირებულ კონტეინერებში უფრო კარგი იყო, ვიდრე ყუთებში და კონტეინერებში ვენტილაციის გარეშე. პარაფინირებულ ნიორში მასაში კლება მცირეა, მაგრამ საკმაოდ მაღალია დაავადებული ბოლქვების რიცხვი. (ცხრილი 2) ნივრის შენახვისუნარიანობის შესწავლაზე ცდები ტარდებოდა მოსკოვისა და კიევის ხილ-ბოსტნეულის ბაზებში [30, 99], სადაც მიღებულია დაახლოებით იგივე შედეგები, რაც ზემოთ იყო მოცემული.

„უპრაინდი თეთრი“ ჯიშის ნივრის შენახვისუნარიანობა
შენახვის პირობებისაბან დამოკიდებულებით

ტარა	მასაში კლება %	ბოლქვები შენახვის ბოლოს %	
		საღი	დაავადებული
კონტეინერი 250 კგ ტევადობის	8,0	95	15
იგივე ვენტილაციით	4,0	93	7
ბადე-ტომრები (35-40 კგ)	2,0	90	10
ქსოვილის ტომრები (35-40 კგ)	4,0	93	7
ქალალდის ტომრები (35-40 კგ)	2,0	93	7
ყუთები (20-25 კგ)	8,0	85	15
იგივე პოლიეთილენის შეფუთვით	4,0	90	10
პოლიეთილენის ტომრები 20-30 კგ	4,0	93	7
პარაფინირებული ნიორი	1,0	92	8

აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და ბოსტნეულის სტანდარტების ლაბორატორიაში ჩატარებული იქნა ცდები ნივრის შენახვაზე სასაქონლო ხარისხის შენარჩუნების მიზნით სხვადასხვა რეჟიმითა და მეთოდებით [28]. დაკვირვება მიღიოდა ერთ ადგილობრივ ჯიშზე, მაცივარ-კამერაში +1, +2, +6, +8°C და და 85-90% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დროს, დახურულ პოლიეთილენის პაკეტებში, შეფუთვის გარეშე (საკონტროლო) ვენტილაციით, ამას გარდა ვენტილაციის ქვეშ +5, +7°C და 85-90 ფარდობითი ტენიანობის პირობებში დაწნული სახით 3-5 კგ მასით, სტელაჟებად, (25-40 სმ)

და პოლიეთილენის პარკებში (30-40 მკმ). ყველაზე კარგი შედეგი მიიღეს მაცივარში +1, +2°C-ზე შენახულმა ნიმუშებმა. ხოლო ოთახის ტემპერატურაზე თბილად შენახვის დროს ყველაზე ეფექტური გამოდგა წნულის სახით შენახვა, ასე ნიორი 200 დღე შეინახა, ხოლო სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობამ 90,7% შეადგინა, სტელაჟებზე ამ მაჩვენებელმა შენახვიდან 170 დღის შემდეგ 86% შეადგინა, პოლიეთილენის პაკეტებში 185 დღის შემდეგ – 92,5%, +1, +2°C-ზე ყველაზე კარგი შედეგი იქნა მიღებული პოლიეთილენის პაკეტებში შენახვით ნიორმა შენახვის ხანგრძლივობა 230 დღე, სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობა 98,5%, სხვა ვარიანტებში პროდუქცია შეინახა ცუდად, ჩქარა დაავადდა და დაზიანდა.

ნივრის მაღალმოსავლიანი და მაღალი შენახვისუნარიანი ჯიშების შესწავლაში, გამოვლინებასა და გამოყვანაში მთელი რიგი სამუშაოებია ჩატარებული საქართველოში. გ. ფხავაძის, პ. შარაშენიძის, თ. იოსებიძის, ნაშრომებში მოყვანილია ადგილობრივი ჯიშების თავისებურებები, მათი მოყვანის გეოგრაფიული ზონებისაგან დამოკიდებულებით. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მოცემულია მდიდარი სელექციური მასალა ახალი პერსპექტიული და დაავადებისადმი გამძლე ჯიშების გამოყვანისათვის [49, 29, 87].

საქართველოს პირობებში, ისევე როგორც სამხრეთში, ნიორის მოსვენების პერიოდი ძალიან მოკლეა, ამიტომ მისი შენახვის ხანგრძლივობაც ხანმოკლეა, რაც ჩვენს პირობებში ამნელებს ნივრის შენახვას. ა. ვ. კუზნეცოვი, როცა ნივრის ჯიშებს ეკოტიპებად ყოფს [13] აღნიშნავს, რომ სამხრეთის ნიორი გამოირჩევა მოსვენების ხანმოკლე პერიოდით და გვაძლევს დიდ

დანაკარგებს ხანგრძლივი შენახვის დროს. სამხრეთის პირობებში თბილი დღეები ხელსაყრელია არა მარტო ნივრის ნაყოფის განვითარებისათვის; ამ დროს ძლიერ ვითარდებიან ნივრის პარაზიტებიც – ნემატოდები და ტკიპები, ჩნდება ვირუსული დაავადებები, ზოგჯერ მათი განვითარების ინტენსივობა ისეთია, რომ მოსავალი მთლიანად ნადგურდება. რასაკვირველია მაცივარში შეტანის დროს პროდუქციას უხვად შეჰქვებიან მავნებლებიც. მათ წინააღმდეგ მიმართულ დონისმიებათა შორის ეფექტურია ფუმიგაციის მეთოდი, ხოლო ბოლო პერიოდში საზღვარგარეთ ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში ხილისა და ბოსტნეულის დამუშავება აეროზოლებით. ნივრის ფუმიგაციას ახდენენ მაგ. ბრომმეთილით. ბრომმეთილის ორთქლის მოქმედებით ნემატოდები და ტკიპები განვითარების ყველა სტადიაზე იღუპებიან. ხოლო ფუმიგირებული ბოსტნეული არ კარგავს თავის სასაქონლო დირებულებას და გამოსადეგია დაბალ ტემპერატურაზე ხანგრძლივად შენახვისათვის. [34, 35]

ნივრის ფუმიგაცია მიმდინარეობს სპეციალურ ჰერმეტულ საკნებში. საკნები აღჭურვილია შემათბობელი სისტემით 20°C -ის დასაჭერად, ვენტილატორები – ჰაერის შესარევად და გამწოვი ვენტილატორებით. ფუმიგაცია მიდის 4 საათის განმავლობაში. ბრომმეთილი მომწამლავი ნივთიერებაა და სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქცია აუცილებლად უნდა შემოწმდეს სანიტარულ-კვებით ლაბორატორიაში [67, 72].

აეროზოლებით დამუშავება კვების პროდუქტებისა და მათ შორის, ნიორისაც უფრო ეფექტური და დღეს ფართოდ გავრცელებული ხერხია. აეროზოლებში იგულისხმება სისტემა აირში შერეული მცირე თხევადი ან მყარი ნაწილაკებისა.

პრაქტიკულად დადგენილია, რომ გამოსაყენებელი ნივთიერებები (მაგ.: დეზინფექტატი, პესტიციდი და სხვ.), როცა მოქმედებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაზა მეტ ეფექტურობას ავლენენ მაშინ, თუ გადავიყვანთ დისპერსიულ მდგომარეობაში. ეს შესაძლებლობას ქმნის უფრო მჭიდრო კონტაქტი შეიქმნას გამოსაყენებელ ნივთიერებასა და ობიექტს შორის, რომელზეც მან უნდა იმოქმედოს. [38]

აეროზოლში ერთი ფაზა არის დისპერსიული, ხოლო მეორე – დისპერსიული არე. დისპერსიული ფაზა (პრეპარატი) მცირე ნაწილაკების სახით ერევა და განაწილდება დისპერსიულ არეში. აქედან გამომდინარე აეროზოლში არის დისპერსიული არე გაზის სახით, მასში განაწილებული მყარი (ბოლი, მტვერი) ან თხევადი (ნისლის სახით) დისპერსიული ფაზით.

საზღვარგარეთ ფართოდ ინერგება აიროზოლებით სარგებლობის პრაქტიკა მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, პვების მრეწველობაში. მაგ.: ჩეხოსლოვაკიაში ხილსაცავების, სათბურების დეზინფექციისათვის გამოიყენება აეროზოლები. [67]

აშშ-ში 1976 წელს გამოქვეყნდა ცნობა პატენტზე [58], სადაც ავტორი თვლის, რომ კვების პროდუქტების ზედაპირული დაცვისათვის შეიძლება მასზე გადავიტანოთ ანტიმიკრობული მოქმედების კონსერვანტი, რომელიც იქნება აეროზოლის ფაზაში.

საფრანგეთში შეიმუშავეს შენახული კარტოფილის ულტრამცირემოცულობის ფუნგიციდური დამუშავების ხერხი პნევმატური პისტოლების გამოყენებით. ეს ხერხი ძალიან ახლოა აეროზოლურ მეთოდთან. დამუშავებას ტუბერების დახარისხებისთანავე აწარმოებენ. გამოყენებულია ბენომილის ან ტიაბენდაზოლის სუსპენზია – 60გ მოქმედი ნივთიერება 2ლ წყალში. დანახარჯი შეადგენს 2ლ სუსპენზიას 1 ტ კარტოფილზე.

[35]. კარტოფილი გაყიდვაში გამოდის დამუშავებიდან 3 კვირის შემდეგ.

ნივრის შენახვის გახანგრძლივების მიზნით გამოყენებულ იქნა მაღალი სიხშირის დენი. ამ დროს ნივრის მთელ მასაში სწრაფად გაივლის მაღალი ტემპერატურა და ძლიერი ფიზიკური მოქმედების ელექტრომაგნიტური გამოსხივება [101].

მაღალი სიხშირის დენი კლავს ნემატოდებს, ტკიპებს განვითარების ყველა ფაზაში, ასევე სპობს ობის სოკოებს და ზოგიერთი სახის ბაქტერიას, რომელსაც ჯერ არ დაუზიანებია ნაყოფი, მაგრამ იმყოფება მასზე. ამ მეთოდის გამოყენება ხელსაყრელია იმ მხრივ, რომ ერთდროულად და სწრაფად სპობს ყველა სახის მავნებელსა და დაავადების გამომწვევთ.

ყოფილ სსრკ-ში, აშშ-ში, გერმანიაში, ინგლისში, ჩეხეთსლოვაკიაში წარმოებული ცდებით დადგინდა, რომ ელექტრო დენის პერიოდული ზემოქმედება და ამით გამოწვეული იონიზირებული ჰაერის მოქმედება ცვლის ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს.

მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ დადგენილია, რომ ელექტრო-იონური ტექნოლოგია, რომელშიც გამოყენებულია ძლიერი ელექტრული ველი და მასში აეროიონების გენერაცია, წარმატებით გამოიყენება კვების პროდუქტების შენახვის გასახანგრძლივებლად. [103].

ლენინგრადის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტის მიერ შემუშავდა ნიორის ელექტრო-იონური დამუშავებით შენახვის რეჟიმი. [42, 103]. უარყოფითი პოლარობის იონების კონცენტრაცია $2 \cdot 10^5 / \text{სმ}^3$; დამუშავების ხანგრძლივობა ნიორისათვის 20 წთ, კვირაში ერთხელ; საკვლევი და საკონტროლო ვარიანტები

შენახული იყო 0 – 10°C-ზე, 85% ფარდობითი ტენიანობის დროს, 20 – 25კგ ტევადობის ხის ყუთებით შენახვის ხანგრძლივობა ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით. სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობამ შენახვის ბოლოს 89% შეადგინა.

შენახვის პროცესში ნიორისა და ხახვის გაღივების დასათრგუნავად იყენებენ ქიმიურ პრეპარატებს, γ – გამოსხივებას და სხვა. მაგალითად ინდოეთში ბომბეის ატომური გამოცდის ცენტრში შენახვის დროს ხახვისა და ნივრის გაღივების დასათრგუნავად მოახდინეს დასხივება γ – გამოსხივებით.

ოზონის ბაქტერიოციდული მოქმედება მაცივარ-საცავებში აღნიშნულია საზღვარგარეთელ მეცნიერთა სამუშაოებში [73, 24, 79]. ზოგიერთი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს [74], რომ ოზონი ამცირებს ბაქტერიების ზომას მისი ზემოქმედების დროს, ხოლო მისი მიკოციდული და ბაქტერიოციდული ეფექტი ვლინდება ჰაერის 60%-დან 100%-მდე ფარდობითი ტენიანობის და დაბალი ტემპერატურის არეში.

ყოფილი ლენინგრადის ფ. ენგელსის სახელობის საბჭოთა ვაჭრობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული იქნა საკვლევაძიებო სამუშაოები ნივრის შენახვის გახანგრძლივების მიზნით [74], ამისათვოს მოახდინეს ნიორის დამუშავება ოზონით, რისთვისაც მაცივარ-კამერაში, სადაც მოთავსებული იყო ნიორი ჩვეულებრივი ხის ყუთებით (20-25 კგ.) უშვებდნენ თზონს გარკვეული დოზითა და ინტერვალით და აკვირდებოდნენ შენახვის მთელ პერიოდში ოქტომბრიდან მაისამდე სასაქონლო ცვლილებებს. შენახვის ტემპერატურა იყო 0-10°C, ჰაერის ფარდობით ტენიანობა 85-90%. აღმოჩნდა, რომ

ნივირის სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობამ შენახვის ბოლოს 94,8% შეადგინა. ბიოქიმიური ცვლილებები ამ მეთოდებით დამუშავებისას არის, მაგრამ არამკვეთრი საწყის შედგენილობასთან შედარებით. ნივრის შენახვის ერთ-ერთი ხერხია მისი დამარილება და სარდაფის პირობებში შენახვა. ამ დროს ხდება შეჩერება როგორც პარაზიტი, ასევე არაპარაზიტული წარმოშობის დამაზიანებლების მოქმედებისა. დამარილებული ნიორი გამოყენებას ჰპოვებს მარინადების წარმოებაში, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში გამოიყენება როგორც პირველი თავი ნედლი სახით.

3 ექსპერიმენტული ნაწილი

I კვლევის ობიექტი: აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში მოყვანილი ნივრის ორი ჯიშის – გორული და პოლიოტი – შესწავლა.

გორული – გამოყვანილი საქ. მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში და დარაიონებულია 1984 წლიდან საქართველოს ყველა რეგიონში.

პოლიოტი – გამოყვანილი ბელორუსიის კარტოფილისა და მებოსტნეობა-მევენახეობის ს/კ ინსტიტუტის მიერ, დარაიონებული 1977 წლიდან ქართლისა და ქვემო ქართლის სარწყავ რაიონებში (IX-X ზონა).

საცდელი ჯიშების აღება გათვალისწინებულია სრული სიმწიფის სტადიაში, არა გადამწიფებულის. სანედლეულო ბაზა დუშეთის რაიონი.

ნივრის წარმოშობა. ნიორი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, როგორც ენერგიის მომგვრელი და როგორც სამკურნალო წამალი მრავალი დაავადების დროს.

უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ნიორს ეგვიპტეში, საბერძნეთში, მოგვიანებით – ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. ბევრი მკვლევარი ნივრის სამშობლოდ სამხრეთ ყაზახეთს და ყირგიზეთს თვლის. ნიორის ველური ფორმები ნაპოვნია უზბეკეთის რესპუბლიკაში. [30]

გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით გამოყოფენ ნივრის შემდეგ ფორმებს:

შუაზიის (ტაჯიკეთი, უზბეკეთი, დასავლეთ ტიანშანი, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი, ავდანეთი). ნიორი აქ გვხვდება როგორც კულტურული, ასევე ველური სახით.

ხმელთაშუაზღვის. გვხვდება კულტურული ფორმები.

კავკასია-კარპატების (კავკასიის მთიანი და მთისწინა რაიონები, დასავლეთი უკრაინა, მოლდავეთი) აქ ნიორი გვხვდება კულტურული და ველური სახით.

ნიორი თავისი განვითარების ფორმით, შინაგანი და გარეგანი აგებულებით ზუსტადაა შეგუებული იმ გეოგრაფიულ პირობებს, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. მაგალითად: ნიორი შუაზიის გეოგრაფიულ ზონაში თუ არის წარმოშობილი, სადაც ვეგეტაციის პერიოდი გაზაფხულ-ზაფხულია, არასაკმარისი

ტენით, ჰაერში და ნიადაგში მაღალი ტემპერატურით, ნათელი მზიანი დღეებით, ხასიათდება ქსერომორფული აგებულებით (შენებით). ნიორი ხმელთაშუაზღვის აუზში წარმოშობილი, სადაც გეგეტაციის პერიოდი შემოდგომა-ზამთარი-გაზაფხულია, ჰაერსა და ნიადაგში გაჯერებული ტენით, ზომიერი ტემპერატურითა და დაბალი ტენაორთქლებით, გამოიმუშავებს შუაზიის ნივრის საწინააღმდეგო თავისებურებებს – სტუქტურა დაახლოებულია მეზოფიტებთან, რამდენადმე ჰიგროფიტულთან.

კავკასიისა და კარპატების მთიან და მთისწინა რაიონებში, სადაც სავეგეტაციო პერიოდი გაზაფხულ-ზაფხულია, გავრცელებულია ნიორი, რომელსაც ახასიათებს ალპურ მდელოთა თავისებურება; ისინი ხშირი და ფართოფოთლით ხასიათდებიან.

ამგვარად, მცენარის წარმოშობამ, გარკვეულ გარემოში აღზრდამ, აგროტექნიკამ, ტენის რეჟიმმა გარკვეული დაღი დაასვა ნივრის ცალკეული ფორმის მორფოლოგიასა და ფოზიოლოგიას.

ნივრის კვებითი და სამკურნალო დანიშნულება

ნიორი ხასიათდება შემდეგი ქიმიური შედგენილობით (%-ში): გშრალი ნივთიერება 36-43, წყალი 57-64, ეთეროვანი ზეთები 7-100 მგ., ცილები 6-8, 26,31 შაქრები, 0,77 უჯრედანა და 1,44 ნაცარი, ამის გარდა შეიცავს 3 ჯგუფის ვიტამინებს, ასკორბინის მჟავას, ვიტამინ D-ს, ამას გარდა ნიორი შეიცავს სპეციფიკურ გლუკოზიდს და ფერმენტს, რომლის მოქმედებით გლუკოზიდი ჰიდროლიზდება აქროლად ეთეროვან ზეთად და ფრუქტოზად, ნიორი შეიცავს აგრეთვე ინულინსა და სახამებელს.

ნივრის შემადგენლობაში მშრალი ნივთიერების მაღალი პროცენტი დაკავშირებულია ინულინის დიდ შემცველობასთან [104]. ნიორის მშრალი კბილები შეიცავს 58,24% ინულინს ნივრის უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებები შეიცავენ 23,41% ინულინს, და 21,97% ფრუქტოზას. ინულინის ჰიდროლიზით მუავასთან მიიღება 54,50% ფრუქტოზა, კუჭის წვენის სიმუავის მოქმედებით ნიორში შემავალი ინულინი ადვილად გარდაიქმნება ორგანიზმისათვის მაღალდირებულ შაქარ-ფრუქტოზად. ამით აიხსნება ნიორის დიდი კვებითი ღირებულება.

ნიორი წარმოადგენს მნიშვნელოვან სანელებელს კულინარიაში, ბოსტნეულის დამწნილებასა და დამარილებაში, გამოიყენება ასევე ძეხვის წარმოებაში.

ფართო გამოყენება აქვს ნიორს მედიცინაში არტერიოსკლეროზის წინააღმდეგ, სასუნთქი გზების კატარის, ასთმის, ტუბერკულოზის დროს, ნიორს იყენებენ გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მეცნიერებმა ნივრის შემადგენლობაში აღმოაჩინეს ელემენტი გერმანიუმი, რომელიც აუცილებელი ნივთიერებაა გულის სარქველების მუშაობის რეგულირებისათვის, ნივრის ფიტონციდები კლავენ დიფტერიის წხირს, ტიბეტურ მედიცინაში ცნობილია ჰიპერტონიული დაავადების ნივრით განკურნების მეთოდი და სხვ.

ნივრის შემადგენლობაში აღმოჩენილია – ფიტონციდები, რომლებსაც ბაქტერიოციდული თვისება გააჩნიათ. ნიორიდან გამოყოფილია ზეთისმაგვარი სითხე, რომელიც შედგება ალიცინისაგან და შენახვის დროს ადვილად იშლება, მაგრამ ახშობს ბაქტერიების მოქმედებას $1 : 250000$ განზავების დროსაც კი. ნიორის ნედლი ბოლქვები სასიკვდილოდ მოქმედებენ მარტივ მიკროორგანიზმებზე, რომლებიც ადამიანის დაავადებებს იწვევენ.

ნივრის ფიტონციდები კლავენ ან თრგუნავენ
ტუბერკულიოზის, ტიფის, დიზენტერიის, დიფტერიის, აზიური
ქოლერის ვიბრიონებს და სხვა დაავადებათა გამომწვევ
ბაქტერიების მოქმედებას.

ნივრის ბაქტერიოციდული თვისება გამოიყენება მწნილების
დამზადების დროს ობის მოკროორგანიზმების მოქმედების
დასათრგუნავად, რაც აგრძელებს პროდუქციის შენახვის დროს
და აუმჯობესებს მის ხარისხს.

დაკვირვებები გვიჩვენებენ, რომ ნივრის ფიტონციდი
აფერხებს ფიტოფტორის სოკოს მოქმედებას, იმ დროსაც კი,
როცა იგი შენახული კარტოფილის კანშია შეღწეული. ამიტომ
კარტოფილის შენახვის დროს მის მასაში მოაბნევენ ნივრის
კბილებს შეფარდებით 100 კგ კარტოფილზე 100 გ ნიორი.

ნივრის ფიტონციდები. ცოცხალ ორგანიზმები მრავალი
ნივთიერება სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ანტიბიოტიკები
ეწოდება ნივთიერებებს, რომლებსაც გამოყოფენ
მიკროორგანიზმები; ეს ნივთიერებები მოქმედებენ სხვა სახეობათა
მიკროორგანიზმებზე დამდუპველად ანდა ახშობენ მათ
ცხოველმყოფელობას. ცნობილია მრავალი ანტიბიოტიკი,
რომლებიც პრაქტიკულად მოქმედებენ მხოლოდ
მიკროორგანიზმებზე და შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენენ
უმაღლესი მცენარეების ქსოვილებზე.

1828-30 წლებში მეცნიერმა პ. პ. ტოკინმა პირველმა აღმოაჩინა
უმაღლესი მცენარეები აქროლადი ნივთიერებანი, რომლებსაც
უდაბლესი ორგანიზმებისა და ბაქტერიების მოსპობის უნარი
აქვთ. ამრიგად, ეს ნივთიერებები წარმოადგენენ უმაღლესი
მცენარეების მეირ გამომუშავებულ „ანტიბიოტიკებს“, რომლებსაც

„ფიტონციდები“ ეწოდება. ამრიგად, ფიტონციდები ეწოდებათ უმაღლესი მცენარეების ნივთიერებათა ცვლის ყველა პროდუქტს, რომლებიც ტოქსიკურად მოქმედებენ განსაზღვრულ სახეობათა მიკროორგანიზმებზე.

როგორც ვხედავთ ტერმინი „ფიტონციდი“ „ანტიბიოტიკის“ საწინააღმდეგოა. ამ ტერმინით იგულისხმება მიკრობებიდან გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც თავის მხრივ მოქმედებენ სხვა სახეობათა მიკროორგანიზმებზე. ფიტონციდები კი წარმოადგენენ უმაღლეს მცენარეებიდან მიღებულ პროდუქტებს, რომლებიც სპეციფიკურად მოქმედებენ მიკროორგანიზმებზე.

უმეტესად მცენარეების ქსოვილების დაზიანების შემთხვევებში, პირველივე წუთში წყდება ფიტონციდის გამოყოფა. გამონაკლისს წარმოადგენს გარეული იორდასალამის – *Paeonia anomala* ფესვების აქროლადი ფიტონციდების, რომელთა აღმოჩენა შეიძლება ქსოვილის დაზიანებიდან 94 საათის შემდეგაც და ნიორის – *Allium Sativum* ფიტონციდი, რომელიც განაგრძობს გამოყოფას 200 და ზოგჯერ 700 საათის შემდეგაც.

ფიტონციდების მოქმედების სიმძლავრე და დიაპაზონი ფრიად ნაირსახოვანია. მაგალითად, ნიორის ფიტონციდები სპობენ გრამდადებით და გრამუარყოფით, აერობულ და ანაერობულ, ფიტოპათოგენურ ბაქტერიებს და სოკოებს და ადამანისათვის პათოგენურ მიკროორგანიზმებს, როგორიცაა: ხოლერის ვიბრიონი, მუცლის ტიფისა და დიზენტერიის გამომწვევი და სხვ. ზოგიერთ მიკრობს ისტორიული განვითარების პროცესში გამოუმუშავდა ამ მცენარის ფიტონციდისადმი გამძლეობა. მაგ.: ნიორის ფიტონციდი

პათოგენურ ბაქტერიაზე იჩენს ძლიერ სუსტ ბქტერიოსტატუკურ მოქმედებას.

მთელ რიგ შემთხვევებში, ფიტონციდები მცენარეებში წარმოიქმნებიან არააქტიური ნივთიერებებიდან სწრაფად მიმდინარე ქიმიური რეაქციის შედეგად, რომლებსაც აწარმოებენ სათანადო ფერმენტები. მაგ.: ნიორში.

ყველაზე აქტიური ანტიბაქტერიული ნივთიერებები იმყოფება ნიორსა და სახვში. ამ მცენარეების ორთქლი და გამონაწური სპობს დიფტერიტის ჩხირებს, ჩირქის გამომწვევ მიკრობებს და ხოლერის ბაქტერიებს, ნიორის დაღეჭვის შედეგად, რამოდენიმე ხნის შემდეგ, პირის დრუში მყოფი ბაქტერიები იხოცება.

ალიცინი. ნიორიდან გამოყოფილია ფიტონციდი (ანტიბიოტიკი) ალიცინი. წმინდა სახით იგი წარმოადგენს ზეთისმაგვარ სითხეს, წყალში ცუდად ხსნადია, მაგრამ ხსნადია ეთილის სპირტსა და დიეთილეთერში. შენახვისას პრეპარატი ადვილად იშლება, ძლიერ ტოქსიკურია. ალიცინი ახშობს ბაქტერიების ცხოველმყოფელობას 1 : 250000 განზავების პირობებში.

ალიცინი წარმოიქმნება ნიორში არსებული ამინომჟავა ალიინიდან ფერმენტ ალიინაზას მოქმედებით:

ალიინაზა

ალიინი → ალიცინი + პიროყურმნის მჟავა.

ალიინს ნივრის სპეციფიკური სუნი არა აქვს, ეს სუნი დამახასიათებელია ალიცინისათვის და წარმოიქმნება ალიინის ფერმენტული გახლების შედეგად. 1 კგ. ნიორიდან მიიღება 1,5 გ. ალიცინი, იგი უფერო სითხეა. [40, 2]

ნივრის ბიოლოგიურ-მორფოლოგიური აგებულება. (*Allium sabivum*) ნიორი ერთლებნიანთა კლასის წარმომადგენელია, მიეკუთვნება შროშანასებრთა ოჯახს და შედის ხახვნაირ მცენარეებში.[30, 56]

კულტურაში გავრცელებულია ჩვეულებრივი ნიორი, რომელიც მთელ ევროპასა და აზიაშია გავრცელებული. ჩვეულებრივი ნიორის გარდა ბუნებაში გვხვდება სხვადასხვა სახის ველური ფორმა: როკამბოლი, ლანბილი და სხვ.

ნიორს ახასიათებს ცალკეული სწორხაზოვანი ფოთლები, მაღალი ცრუ დერო. ნივრის ბოლქვი რთულია, ადვილად იყოფა შემადგენელ ნაწილებად – კბილებად: თითოეული კბილი თავისი აგებულებით წარმოადგენს ტიპიურ ბოლქვაკს. ის წარმოადგენს სახეშეცვლილ ყლორტს და ფოთლებს. დეროს ნაწილს ბოლქვის ფუძე ეწოდება.

გარედან კბილანა დაფარულია მშრალი, ფირფიტოვანი ქერქლით, ეს სახეშეცვლილი ფოთოლია. კბილანის ფუძიდან ვითარდება მრავალი ფესვი, ხოლო ჩანასახიდან ვითარდება მიწისზედა დერო და ფოთლები. მოყვავილე ნიორს უვითარდება საყვავილე დერო, რომელიც ბოლოს თესლს არ იძლევა, მაგრამ ივითარებს პატარა ბოლქუნებს. ბოლქუნების ზომა ფეტვის მარცვლის სიმსხოდან ბარდის მარცვლის სისდიდემდე მერყეობს. ემბრიონალური ფოთოლაკები კბილანის სიგრძივ ჭრილში ადვილად ჩანს, რომელიც მოყვითალო-მომწვანო ფერისაა. ისრიან (მოყვავილე) ფორმებში კბილანები მიმაგრებულია ისრის ძირზე, მის გარშემო. ისარს არა აქვს სუნი და გემო და არ გამოიყენება. მცენარის მორფოლოგია წარმოდგენილია უცხოელი

მკვლევარების ჯონისა და მანის ნაშრომებში. ნივრის კბილანის ხორცოვანი ნაწილი შეიცავს 26% ნახშირწყლებს, 7% აზოტოვან ნივთიერებას და დიდი რაოდენობით მინერალურ მარილებს. ეს სამარაგო ნივთიერებებია, რომელიც შემდეგ ჩანასახის განვითარებას ხმარდება გაღივების პროცესში.

ა. კ. უზნეცოვმა [30] ნივრის ყველა ჯიში გაყო თო ჯგუფად:

- 1). ისრიანი – *Allium sativum* subsp. *sativum* Kurn, და
- 2). უისრო – *Allium sativum* subsp.*vulgare* Kurn.

ნივრის ფოთლები ისევე იზრდება, როგორც თავიანი ხახვის. ყოველი ახალი ფოთოლი პირველად იზრდება წინამავლის შიგნით. ნივრის ფოთლები ფუძესთან მილისებრია, ფოთლის ფირფიტა ბრტყელია, თასმისებური.

ნივრის ბოლქვი რთულია და შეიძლება შეიცავდეს 4 და 30-მდე კბილს, რომლებიც დასაბამს აძლევენ მომავალ მცენარეებს.

არჩევენ მოყვავილე და არამოყვავილე ნიორს. მოყვავილე ნიორი უფრო ზამთარგამდლეა. არამოყვავილე ნიორს უფრო ფართო გავრცელება აქვს. ის ნაკლებად ცხარეა, ეთერზეთების ნაკლები შემცველობის გამო.

მოყვავილე ნივრებს შორის გვხვდება ფორმები, რომლებიც მაღალ ისრებს ივითარებენ (1,5 მ-მდე) მსხვილი ყვავილებით, ნაკლები სიმაღლის ისრით და პატარა ყვავილებით, სუსტი აყავლებით. ისარი ვითარდება ცრუ დეროს შიგნით. თესლი ნიორს არ უვითარდება.

ადრე გაზაფხულზე კბილებით დარგვისას ცივი შენახვის შემდეგ ($4-0^{\circ}\text{C}$) მოყვავილე ნიორი ივითარებს ისრებს, თუკი

კბილები ინახებოდა 18-22⁰ C), მაშინ ნივრის აკავლება იგვიანებს და ასეთი მცენარეები აღარ იძლევიან მომწიფებულ ბოლქვებს.

გვიან გაზაფხულზე დარგვისას ცივად შენახვის შემდეგაც კი მოყვავილე ნიორი ივითარებს მსხვილ, არამოყვავილე ფართოკბილიან ბოლქვებს. შემოდგომაზე დარგვისას მოყვავილე ნიორი უკეთესად იზრდება.

არამოყვავილე ნიორი როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრისპირა დარგვისას, როგორც წესი, არ ივითარებს ისრებს და იძლევა მრავალკბილიან ბოლქვებს. მას უწოდებენ გაზაფხულის ნიორს. უკრაინული გაზაფხულის ნიორი ინახება როგორც მაღალ (18-20⁰ C) ტემპერატურაზე, ისე 0⁰C-ზე დაბალ ტემპერატურაზე.

ნივრის ფესვთა სისტემა გაზაფხულზე დარგვიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ ვრცელდება სიღრმეზე 45 სმ-მდე და გვერდიდან 65 სმ-მდე. ცალკეული ფესვები კი ნიადაგში 90 სმ სიღრმეზე აღწევენ. მაგრამ მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი გავრცელებისა, ნივრის ფესვთა სისტემას ძალიან ცოტა ბუსუსები აქვს, ამიტომ ის საჭიროებს ნაყოფიერ ნიადაგს და ადვილად მისაწვდომი სასუქის შეტანას.

არამოყვავილე ნიორიც კარგად ზამთრობს ლია გრუნტში.

ნიორი ორწლიანი მცენარეა. ბოლქვი კვერცხისებრი, შედგება 6-10 პატარა ბოლქუნებისაგან. თესლს არ გვაძლევს, ამიტომ მრავლდება მარტო ვეგეტატიურად.

მცენარე გვხვდება ყოფილ სსრკ-ს მრავალ რაიონში. სუნი და ცხარე გემო გამოწვეულია ნორში შემავალი ეთერზეთით, რომელიც იმყოფება ალიინთან შეკავშირებული ფორმით. ფერმენტული დაშლის შედეგად საბოლოო პროდუქტად

გვევლინება ეთერზეთი და ფრუქტოზა. ცხარე გემოს ავლენს ალიცინი, რომელიც ასევე სფეციფიკურ სუნს აძლევს ნიორს. ნიორიდან გამოიყო ასევე ერთი შენაერთი, იზომერი ალიცინი. [2]

ეთერზეთს შეიცავს მცენარის ყველა ნაწილი. მისი რაოდენობა ბოლქვში შეადგენს 0,06-0,1%-ს. მთელი მცენარე ნედლ მდგომარეობაში შეიცავს 0,005-0,009% ეთერზეთს. ბოლქვიდან მიღებული ეთერზეთი ხასიათდება შემდეგი კონსტანტებით: $d^{14,5}1,0525$ α_{D}^0 , ეთერზეთს მთლიანი მცენარიდან აქვს $d^{15}1,046-1,057$, α_{D}^0 . ეთ.ზეთის შემადგენლობაა: დიალილდისულფიდი (60%-მდე), დიალილტრისულფიდი (20%-მდე), ალილპროპილდისულფიდი (6%-მდე), დივინილსულფიდი და ალილვინილსულფოქსიდი. გარდა ეთერზეთისა ნივრის ბოლქვი შეიცავს ინულინს და ვიტამინებს B, C და D. ნივრიდან გამოიყო ცხრა გლუტამილპეპტიდი . [104]

II კვლევითი სამუშაოს მიზანი და ამოცანები

კვლევის დროს შესასწავლილი ამოცანები იყო:

1. საკვლევი ჯიშებისათვის დაგვედგინა შენახვის ოპტიმალური რეჟიმი.
2. ქიმიური შედგენილობის ცვლილებები შენახვის სხვადასხვა პირობებში.
3. ტარის შერჩევა რომელშიც სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა იქნებოდა მაღალი.

III კვლევითი სამუშაოს შესრულების მეთოდიკა.

ნივრის საცდელი ჯიშების გამოკვლევაზე სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული იყო:

1. ნივრის შენახვაზე ჩატარებულ კვლევით სამუშაოზე არსებული ლიტერატურული წყაროების გაცნობა და ანალიზი.
 2. ორგანიზაციული საკითხები – ნედლეულის მომარაგების და ცდაზე ჩასაწყობ სამუშაოებთან დაკავშირებით.
 3. ნივრის საცდელი ჯიშების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა საწყის ნედლეულში და შენახვის პერიოდში.
1. შენახვის პერიოდში ნედლეულის ტექნიკური და ქიმიური ანალიზების პერიოდულად ჩატარება.
 2. კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული მასალების დამუშავება და ანგარიშების გაფორმება.

კვლევითი მეთოდიკა ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

1. ნივრის საცდელი ჯიშების ორგანოლეპტიკური ანალიზი.
2. ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრა: ბოლქვების ზომები, მასა და მოცულობა.
3. შენახვის პერიოდში ბოლქვების წონაში ცვალებადობის დინამიკა, ბუნებრივი დანაკარგებისა და აბსოლიტური ნარჩენების განსაზღვრა.
4. პოლიმერული რეზინის აპკებში შენახული ნიმუშებისათვის აირების (O_2 , CO_2) შედგენილობის დადგენა.
5. საწყის ნედლეულში და შენახვის მანძილზე პერიოდულად ნიმუშების ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მშრალი ნივთიერება – საერთო და ხსნადი – გამოშრობითა და რეფრაქტომეტრით.

შაქრები – ბერტრანის მეთოდით.

მჟავები – ტუტით ტიტრაციის მეთოდით.

ვიტამინი „C“ – ტილმანსის მეთოდით.

პექტინოვანი ნივთიერება – კალციუმის პექტატის მეთოდით.

თავისუფალი და ბმული წყალი – მუდმივ წონაში შრობით და ელექტრომეტრული მეთოდით.

ეთერზეთები – ქრომატოგრაფიის მეთოდით.

აიროვანი შემადგენლობის დადგენა – ქრომატოგრაფიით.

დაკვირვება ხდებოდა ლაბორატორიულ და ნახევრად საწარმოო პირობებში. დუშეთის ზონაში მოყვანილი ნივრის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნარგაობის მოსავალზე.

ნივრის ორი ჯიში – გორული და პოლიოტი შესანახად შემოგვქონდა საქ. აგრარული უნივერსიტეტის ს/მ პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის კათედრაზე არსებული კომპლექსური ლაბორატორიის სამაცივრო განყოფილებაში, სადაც დამონტაჟებულია „KX-6“ ტიპის 4 მაცივარ-საკანი, რომელშიც ჩადგმული კონტაქტური თერმომეტრები საშუალებას გვაძლევდა დაგვემყარებინა მაცივარ-კამერაში სასურველი ტემპერატურული რეჟიმი გარკვეული t_{\min} -ით და t_{\max} -ით.

ცდის ვარიანტები

№	შენახვის ვარიანტი	ნივრის ჯიშები
1.	პოლიეთილენის პარკი 40 მკმ სისქის	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
2.	პოლიეთილენის პარკი 60 მკმ სისქის	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა

3.	პოლითილენის პარკი სილიკონის სარკმლით	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
4.	ანტისეპტიკური ქაღალდი	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
5.	პოლიმერული რეზინის აპკი	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
6.	საკონტროლო ხის ლია ყუთებით	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა

ქსპერიმენტის პირველი წლის შედეგებიდანვე ყველაზე საუკეთესო მონაცემები აჩვენა მე-3 ვარიანტმა. იმ მიზნით, რომ გარკვეულიყო პოლიმერული რეზინის აპკში მასის მატების შესაბამისად ნედლეულის სასაქონლო ხარისხის სახე, ჩატარებული იქნა ცდები პოლიმერული რეზინის მასალისაგან დამზადებულ სხვადასხვა მოცულობის პარკებში.

ექსპერიმენტის ყოველი წლის მოსავალი მაცივარ-კამერაში მოთავსებული იყო $+1,5$, $+2^{\circ}\text{C}$ -ზე, 85-90% ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

ნივრის საკონტროლო ვარიანტები ინახებოდა 10-12 კგ ტევადობის ხის სტანდარტულ ყუთებში, ხოლო ფიქსირებული სინჯები მოთავსებული იყო იგივე ფორმის 2 კგ ტევადობის ხის ყუთებში. ყუთებს გაკეთებული ჰქონდა ეტიკეტი ყველა საჭირო მონაცემებით. შიგ მოთავსებული თითოეული ბოლქვი დანომრილი

იყო, ხოლო ჟურნალში აღნიშნული იყო ნომრის შესაბამისი ბოლქვის დიამეტრი, სიმაღლე, წონა. დიამეტრის და სიმაღლის გაზომვა ხდებოდა შტანგენფარგლით, ხოლო წონა იზომებოდა ელექტრო სასწორით 0,3 გ. სიზუსტით.

თითოეული რეზინის აპკის წონა და ნომერი ფიქსირებული გვქონდა ჟურნალში. მეთოდიკის შესაბამისად ყოველთვიურად ხდებოდა ფიქსირებული სინჯების აწონვა, ბუნებრივი კლების დადგენა და მეთოდიკით გათვალისწინებული სხვა მაჩვენებლების შესწავლა.

სასაქონლო ხარისხის ცვლილებების დასადგენად ვსარგებლობდით სტანდარტით ბოსტ 7977 „ნედლი ნიორი“. წონაში კლება შეისწავლებოდა ფიქსირებული სინჯების მეთოდით, ხოლო დანაკარგები დაავადებით გამოწვეული და პროდუქციის საერთო მდგომარეობა შეისწავლებოდა იანვრის, თებერვლის და მაისის ბოლო რიცხვებში, რისთვისაც თითოეული ვარიანტიდან ვიღებდით 5 ერთეულს (5 პარკს) და მისგან მიღებული ანალიზის შედეგებს ვავრეცელებდით მოელ ვარიანტებს.

ცდის ვარიანტები:

№	შენახვის ვარიანტები	ჯიშის დასახელება
1.	პოლიმერული რეზინის აპკი 1 კგ-ზე ტევადობით	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
		პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა

2.	პოლიმერული რეზინის აპკი 5 კგ-მდე ტევადობით	პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
3.	პოლიმერული რეზინის აპკი 15 კგ-მდე ტევადობით	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა
4.	პოლიმერული რეზინის აპკი 30 კგ-მდე ტევადობით	პოლიოტის საგაზაფხულო ნარგაობა პოლიოტის საშემოდგომო ნარგაობა გორულის საგაზაფხულო ნარგაობა გორულის საშემოდგომო ნარგაობა

3.1 შენახვის დროს ნიორში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური პროცესები

როგორც ცნობილია ნიორს, კატროფილისაგან განსხვავებით ღრმა მოსვენების პერიოდი არ ახასიათებს. თუ ნივრის ბოლქვი მოხვდა ტემპერატურისა და ფარდ. ტენიანობის ოპტიმუმში, ის გაღივებას დაიწყებს. გაღივების შეზღუდვის მიზნით საჭიროა ხელოვნურად შევქმნათ მოსვენების პერიოდი. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიდია მოსვენების პერიოდი, მით უფრო ხანგრძლივად ხდება შენახვა.

რას წარმოადგენს მოსვენების პერიოდი და რითია იგი დაკავშირებული მოსვენებიდან ზრდის პერიოდზე გადასვლასთან. ეს პროცესი გარკვეულად არის დამოკიდებული როგორც მცენარის ზრდის სტიმულირების საშუალების შერჩევაზე, ასევე ზრდის დამთრგუნველ საშუალებებზე.

მოსვენების პერიოდის ბიოქიმიური ბუნების ასახსნელად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ნიორის ბოლქვს, ცალკეულ კბილს გააჩნია ძლიერი სამარაგო ქსოვილი (პარენქიმა) – თითქმის ერთი ზომის უჯრედების სახით, რომელიც სავსეა საკვები ნივთიერებებით. ისინი განსაზღვრავენ აგრეთვე მერისტემულ ქსოვილებს, რომლებიც შედგებიან ემბრიონალური უჯრედებისაგან – ისინი უფრო სიცოცხლის უნარიანნი არიან და განკუთვნილნი არიან ახალი ორგანოების – ფესვების, ყლორტების, ყვავილების წარმოსაქმნელად. მოსვენების პერიოდის ასახსნელად საჭიროა მხედველობაში გვქონდეს მოსვენების და გადივების მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები.

აუცილებელია მკაცრად გაირჩეს დრმა მოსვენების პერიოდი, რომლის დროსაც მცენარე არ დიგდება, მის შიგნით ხელსაყრელი პირობების დროსაც – იძულებითი მოსვენების პერიოდისაგან, რომლის დროსაც მცენარის ზრდა ხელოვნურად ქვეითდება. იძულებითი მოსვენების მდგომარეობის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ნიორის ბოლქვის მდგომარეობა შენახვის დროს, როცა მისი გადივების შემაფერხებელს წარმოადგენს სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური საშუალებები. ბუნებრივი დრმა მოსვენების პერიოდი ბოლქვებისათვის, ტუბერებისაგან განსხვავებით, არ არსებობს.

ექსპერიმენტული კვლევით დადგენილია, რომ მცენარის ზრდის შეჩერების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს კანონზომიერი ცვალებადობა მერისტემულ ქსოვილებში ნუკლეინის მჟავების შემცველობისა. დადგენილ იქნა მთელ რიგ შემთხვევებში მოსვენების პერიოდიდან ზრდაში გადასვლის დროს ნუკლეინის მჟავების შემცველობის გადიდება, რაც პირველ რიგში კავშირშია

მათი სინთეზის აქტივიზაციასთან, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ცილების სინთეზის, სტიმულირებასთან.

მოსვენების პერიოდში ნუკლეინის მჟავების და ცილების სინთეზის დაქვეითების მექანიზმი (მოსვენების დროს) და ცილების მასინთეზირებელი აპარატის აქტიურობის აღდგენის მექანიზმი (მოსვენების დამთავრებისას) დამოკიდებულია მოცემული მცენარის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე. ნიორი მდიდარია მერისტემულ ქსოვილებში ნუკლეინის მჟავებით. მოსვენების პერიოდიდან გამოსვლის დროს კი მათი შემცველობა მერისტემულ ქსოვილებში იზრდება, პარენქიმულში კი – მცირდება. პროფ. მეტლიცკის მონაცემებით, თუ ბოლქვების მერისტემული ქსოვილები შენახვის წინ შეიცავდა ნუკლეინის მჟავებს (1 მკგ P 1გ. მშრალ ნივთიერებაზე) 3809 ერთეულს, გაღივების დასაწყისში ის შეადგენდა 4401 ერთეულს. პარენქიმულ ქსოვილებში ამ მჟავების შემცველობა ბოლქვებში შენახვის წინ იყო 503 მკგ P 1გ. მშრალ ნივთიერებაზე,. ხოლო გაღივების წინ 380. ე. ი. მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლა, ნუკლეინის მჟავების სინთეზი და მისი შემცველობის გაზრდა შეიძლება ჩავთვალოთ სწორედ გაღივების პროცესის დასაწყისად. გამოკვლეულია, რომ ნუკლეოტიდური ბმების მართვით შეიძლება ვასტიმულიროთ მცენარის გადასვლა შესვენების მდგომარეობიდან გაღივებისაკენ და პირიქით. პროცესის როგორც შეჩერება, ასევე სტიმულირება შესაძლებელია როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ზრდის მარეგულირებელი ნივთიერებებით. [46, 40]

მოსვენების პერიოდიდან გამოსვლის დროს, როცა ინჰიბიტორების შემცველობა ქსოვილებში მცირდება, ნუკლეინის

მუავების ბიოსინთეზი იზრდება და მათი შემცველობა მნიშვნელოვნად მატულობს, ბოლქვებში შემჩნეულია რნმ-ს (რიბონუკლეინის მჟავის) შედგენილობის ცვალებადობა. კერძოდ, გაღივების დასაწყისში ძლიერდება რნმ-ს ყველა ფრაქციის სინთეზი და ჩნდება მაღლმოლეკულური რნმ-ს ახალი ფრაქცია. მოსვენებული მდგომარეობის მერისტემაში ნუკლეინის მჟავების სინთეზის შეზღუდვის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს დი და ტრიფოსფატების უპმარისობა. ზრდის ბუნებრივი ინპიბიტორების შედარებით მაღალი ეფექტი ემთხვევა დი და ტრიფოსფატების შედარებით დაბალ შემცველობას. არსებული ლიტერატურული მონაცემების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზრდამარეგულირებელი ნივთიერებები არ მოქმედებენ უშუალოდ ნუკლეოტიდების და ნუკლეინის მჟავების სინთეზზე, ამისათვის მცენარეებს უნდა პქონდეთ გარკვეული მედიატორები – შუამავლები ცილების ან ფერმენტების სახით. ასეთ მედიატორს წარმოადგენს ადენოზინმონოფოსფატი უჯრედის შიგნით მის მებრანასა და გარკვეული ფერმენტების სისტემებს შოროს. ქიმიური სიგნალი თითქოსდა ესტაფეტასავით გადაეცემა ერთი შუამავლიდან მეორეზე და ამ ესტაფეტასში მონაწილე მოლეკულების რიცხვი იზრდება.

არსებული ლიტერატურული მონაცემების თანახმად [40], ზრდამარეგულირებელი ნივთიერებების მოქმედების მექანიზმი მოსვენების მდგომარეობაში და იქიდან გამოსვლის დროს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მოსვენების პერიოდში რნმ-ზე სინთეზირდება ცილები, რომლებიც აუცილებელია მერისტემული უჯრედის ნორმალური მეტაბოლიზმისათვის. ამ დროს მერისტემაში სინთეზდება ორი ტიპის ცილა: პირველი – სწრაფადმიმოქცევადი (სწრაფადსინთეზირებადი და სწრაფად

დაშლადი). ეს ის ცილებია, რომლებიც ინპიბიტორების მოქმედებით აქტივობის დაქვეითებას ექვემდებარებიან. ამ ცილებს შეუძლიათ იყვნენ ინპიბიტორების მეტაბოლიზმის ფერმენტები, რომლებიც აქვეითებენ ზრდას, ან იყვნენ სპეციალური ცილა-აქცეპტორები, რომლებიც მოქმედებენ ზრდის რეგულატორებთან ერთად. მეორე ტიპის ცილები სინთეზირდებიან ნელა და გროვდებიან. მოსვენების პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ამ ცილების სინთეზის სიჩქარეზე. მოსვენების პერიოდის დამთავრების მომენტში ასეთი ცილების კონცენტრაცია უჯრედში აღწევს გარკვეულ კრიტიკულ დონეს. ამ ცილებს შეუძლიათ დააქვეითონ ცილების სინთეზი მერისტემაში მოსვენების დროს, გადაიყვანონ ინპიბიტორები ზრდის მასტიმულირებელ ფორმაში. ასეთ პირობებში მიმდინარეობს მიმოცვლის პროცესების ისეთი სახით გარდაქმნა, რომ დრმა მოსვენების პერიოდის დროს დამაქვეითებელი ნივთიერებები იწყებენ ამ პროცესის სტიმულირებას – მოსვენების პერიოდის დამთავრებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ნიორში ადგილი აქვს ანატომიურ და ბიოქიმიურ ცვლილებებს.

ანატომიური: ზრდის კონუსების წაგრძელება, ყვავილების ჩასახვა და სხვ.

ბიოქიმიური: ზრდის კონუსებში რნბ-ს წარმოქმნა და დაგროვება, ამინომჟავა პროლინის დაგროვება, პარენქიმაში სახამებლის შემცირება და კვირტებში შაქრის დაგროვება. ყველაფერი ეს მთავრდება ადრე გაზაფხულზე და იწყება ინტენსიური გაღივება – ამ დროს აჩქარებულად მიმდინარეობს ზრდის წერტილების დიფერენციაცია და დგება ისეთი მომენტი, როდესაც ზრდის წერტილების სწრაფი რეპროდუქციული

განვითარება ხდება და მისი შეჩერება უკვე აღარ შეიძლება გარეგანი ჩარევით.

ასეთია ძირითადად ის პიოქიმიური ბუნება მოსვენების პერიოდისა, რომელიც ნიორის და ბოლქოვნების ქსოვილებში მიმდინარეობს შენახვის დროს.

3.2 ექსპერიმენტის დროს გამოყენებული მოსვენების მდგომარეობის გახანგრძლივების ხერხები

ნივრის გაღივების დათრგუნვა ანუ ხელოვნური მოსვენების მდგომარეობის გახანგრძლივება შეიძლება ენდოგენური წარმოშობის ნივთიერებებით – ფიტოპორმონებითა და ინჰიბიტორებით, ასევე ეგზოგენური ზრდამარეგულირებელი ნივთიერებებით. განვიხილოთ ის გარეგანი ზემოქმედების ხერხები, რომლებითაც შეიძლება ვმართოთ ზრდამარეგულირებელი ნივთიერებების აქტიურობა.

ყველაზე გავრცელებული ხერხი მოსვენების მდგომარეობის გახანგრძლივებისა არის შენახვა დაბალ ტემპერატურაზე. რაც დაბალია ტემპერატურა, მით უფრო ნელა სინთეზირდება მერისტემულ ქსოვილებში ზრდის ფიტოპორმონები და მით უფრო ნელა ჩაერთვება ბმები, რომლებსაც არეგულირებს ზრდის პროცესების ინჰიბიტორები. ექსპერიმენტული კვლევის დროს ნივრის ხელოვნური მოსვენების მდგომარეობის გახანგრძლივების მიზნით გამოყენებული იყო:

1. შენახვა დაბალ ტემპერატურაზე. საჭირო შეიქმნა შეგვერჩია შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა. საერთოდ ნივრის შენახვა ნულის ქვემოთ, კერძოდ

-3⁰C-ზე კარგ შედეგს იძლევა, მაგრამ ამ დროს ზუსტად უნდა იყოს დაცული შენახვის ტემპერატურა. ჩვენს სინამდვილეში ამ პირობის დაცვა საკმაოდ რთულია. ამავე დროს -3⁰C-ზე შენახვა ელექტროენერგიის საკმაოდ დიდ დანახარჯებს გვაძლევს. -3⁰C-ზე ქვემოთ ტემპერატურის დაცემა გაყინვას გმოიწვევს, ხოლო ტემპერატურის მომატება წყლის კონდენსაციას და ზედმეტ დატენიანებას. ამავე დროს ჩვენი მიზანი იყო შენახული ნიორი გაზაფხულზე გამოყენებული ყოფილიყო სადედე მასალად და ვარგისი ყოფილიყო სარეალიზაციოდ. ამის გათვალისწინებით, მიზნად დავისახეთ შეგვერჩია ტემპერატურა 0⁰C-ს ზევით, კერძოდ +1, +2⁰C-ის ინტერვალში, მაგრამ ეს ბიოქიმიური პროცესების გაძლიერებას გამოიწვევდა და ამ პროცესების დამუხრუჭება დამატებით სხვა საშუალებით უნდა მოგვეხდინა.

2. შენახვა რეგულირებულ აიროვან ნარევში (რან), კერძოდ აიორგანი გარემოს შინაგანი გენერაცია, რომელშიც იგულისხმება გარემოს შემადგენლობის ცვლილება ნაყოფების ბუნებრივი სასიცოცხლო პროცესის – სუნთქვის შედეგად.

ცნობილია, რომ ხილის და ბოსტნეულის გარემომცველ ჰაერში O₂-ის კონცენტრაციის შემცირება და CO₂-ის კონცენტრაციის გაზრდა შენახვის პროცესში ახანგრძლივებს შენახვის დროს. ეს მეთოდი იწოდება რეგულირებულ აიროვან ნარევში შენახვად (რან). ჩვენი მიზანი იყო ნიორი შეგვენახა ისეთ აიროვან გარემოში, რომელშიც შენახვის დროს ნედლეულში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნები იმგვარად შესუსტდებოდა, როგორც -3⁰C-ზე შენახვისას, ამავდროულად თავიდან უნდა აგვეცილებინა ზედმეტი წყლის აორთქლება, არ უნდა ჰქონოდა ადგილი ნედლეულის დატენიანებას და

დასნებოვნებას, რაც ადვილი მოსალოდნელი იყო დადგებით ტემპერატურაზე შენახვის დროს. ამ მიზნით შევარჩიეთ პოლიეთილენის პარკები 40 მეტ და 60 მეტ სისქის და პოლიმერული აპკი.

სამწლიანი დაკვირვების შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნები პოლიეთილენის მასალამ ვერ გაამართდა. პოლიეთილენის პარკებში შენახული ნედლეული სწრაფად დატენიანდა და დაობდა, დაზიანებას გადარჩენილი ეგზემპლარები იანვრის ბოლოს, თერბერვლის დასაწყისში გაღივდნენ და დაკარგეს სასაქონლო სახე. ეფექტური შედეგი მივიღეთ პოლიმერული აპკის (პრა) გამოყენებისას. შენახვის ბოლომდე ნივრის ბოლქვები ბიოგაკუუმში იმყოფებოდა, მათზე პოლიმერული რეზინის აპკი კანის სახით იყო შემოკრული.

3. შენახვა ატმოსფეროსთან შედარებით დაბალ წნევაზე. იმისათვის, რომ ნიორი $+1$, $+2^{\circ}\text{C}$ -ზე შეგვენახა შენელებული ბიოქიმიური პროცესებით, ნედლეული მოვათავსეთ ატმოსფერულთან შედარებით დაბალ წნევაზე. ე. ი. მოვახდინეთ ჰაერის ნაწილობრივ გაუხშოება. პოლიმერული რეზინის აპკში (პრა) შენახვის დასაწყისში დარჩენილი ნაწილი ჰაერისა ისეთივე შედგენილობისაა, როგორც ატმოსფერული ჰაერი. ე. ი. $\text{N}_2 - 79\%$, $\text{CO}_2 - 0,03\%$, $\text{O}_2 - 21\%$; შენახვის პროცესში სუნთქვის შედეგად შთაინთქმება O_2 და გამოიყოფა CO_2 . ამასთანავე შენახვის მოვლ ჰაერიოდში ბიოგაკუუმი არ ირღვევა და გამოყენებული მასალის სელექციური გამტარებლობის მიზეზით მოხდა ნახშირორჟანგის დაგროვება. გაზრდილი ნახშირორჟანგის შემცველობამ კი

ხელოვნურად შეაფერხა ბოლქვებში ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობა.

4. ოპტიმალური ფარდობითი ტენიანობის შერჩევა – ჩვენს შემთხვევაში 85-90%. ნივრის ტონაში კლება დიდადაა დამოკიდებული არა მარტო შენახვის ტემპერატურაზე, არამედ ჰაერის ფარდობით ტენიანობაზეც. ნიორის შენახვა დაბალ 80% ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე და 0°C-ს ქვემოთ ძალიან კარგ შედეგს იძლევა, მაგრამ ასეთი პირობები შეიძლება შევქმნათ ზამთრის პერიოდში ნიორსაცავებში, სადაც გვაქვს ბუნებრივი გენტილაცია და ბუნებრივი გაცივება.

თანამედროვე მსხვილ სტაციონალურ საცავებში ხელოვნური გაცივებით, სადაც ასეულობით ტონა პროდუქცია ინახება, შედარებით დაბალი ფარდობითი ტენიანობის (80%) შენარჩუნება ძნელდება არასაკმაო და არათანაბარი ვანტილაციის გამო საცვის მთელ მოცულობაში, გაცივებულ სისტემაზე ზოგჯერ „ქერქის“ გაჩენის გამო და სხვ. ამიტომ საწარმოო პირობებთან მიახლოების მიზნით ნივრის შენახვის საკვლევაძიებო სამუშაოებში ჰაერის ფარდობით ტენიანობად ირჩევენ 85-90%. მაგალითად: ხარკოვის ხილ-ბოსტნეულის კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული ექსპერიმენტი ნივრის შენახვაზე ტარიმართა 0, -3°C და 80-90% ტენიანობაზე [26] მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სას. სამ. აკადემიაში ჩატარდა ცდები ნივრის შენახვაზე . . .85 % ტენიანობაზე [98, 99], აზერბაიჯანის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა ცდები ნივრის შენახვაზე 85-90% ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე [75.] ლენინგრადის ვაჭრობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული იქნა ცდები ნივრის შენახვაზე 85-90% ჰ. ფ. ტ-ზე [38...]. ჩვენი

ექსპერიმენტის დროს ნიორის შენახვის მაღალი ფ. ტ. 85-90% 1. იმ მიზეზის გამო, რომელიც ზემოთ იქნა მოყვანილი, 2. კუზნეცოვის მონაცემებით ცნობილია, [30] რომ ნიორის გაღივება დიდადაა დამოკიდებული გარემომცველი ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე – რაც უფრო მაღალია ჰაერის ფარდობითი ტენიანობა საცავში, მით მეტია გაღივების ინტენსივობა. 0°C -ზე გაღივება არა გვაქვს, ხოლო თუ გავზრდით ტემპერატურას თუნდაც $0,5^{\circ}\text{C}$ - 1°C -ით აღმოცენებას უკვე ჰაერის ტენიანობა განსაზღვრავს. -3°C -ზე შენახვისას აღმოცენება არ ხდება ფარდობითი ტენიანობისგან დამოკიდებულებით, ასევე არ ხდება აღმოცენება $+20^{\circ}\text{C}$ -ზე და 60-70% ჰ. ფ. ტენიანობაზე. [12] იმისათვის, რომ გვქონდა აღმოცენების უნარის მქონე ნედლეული, საჭირო იყო არა მარტო შენახვის ტემპერატურის გაზრდა ($+1$, $+2^{\circ}\text{C}$), არამედ მაღალი ფარდობითი ტენიანობის არსებობაც, რის გამოც ექსპერიმენტის დროს ავირჩიეთ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 85-90%.

ასეთია ის ხერხები, რომლებითაც შევცადეთ ექსპერიმენტის დროს არჩეულ შესანახ მასალაში მინიმალური სიჩქარით წარმართულიყო ნივრის ბოლქვებში სასიცოცხლო ბიოქიმიური პროცესები.

**3.3 ხილისა და ბოსტნეულის შესანახად მემბრანული
სილიკონური მასალების გამოყენება და ნივრის
შენახვისუნარიანობის გახანგრძლივების მიზნით პოლიმერული
რეზინის აპკის გამოყენების შესაძლებლობა.**

საზღვარგარეთ ფართოდ არის გავრცელებული ხილ-ბოსტნეულის შენახვა მოდიფიცირებულ ატმოსფეროში – შემცირებული O_2 -ის, გაზრდილი CO_2 -ის და N_2 -ის პირობებში. ეს მეთოდი ითვლება პერსპექტიულად, რადგან ხილსა და ბოსტნეულში შესაძლებელია ბიოქიმიური პროცესების რეგულირება, რაც თავისთვად იწვევს გადამწიფებისა და გადივების პროცესის შეფერხებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს შენახვის დროს სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდას და ხილ-ბოსტნეულში საუკეთესო ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.

მოდიფიცირებული ატმოსფეროს მიღების რამოდენიმე ხერხი არსებობს, რომლის შესაქმნელად გამოიყენება გაზოგენერატორები, მშთანთქმელები, დიფუზორები, პოლიმერული აპკოვანი აირსელექციური მასალები (СППМ).

მოდიფიცირებული ატმოსფეროს მიღების ყველა ხერხი შეიძლება ორ ჯგუფად დაყორთ:

1. ხერხები, რომელთა დროსაც სარგებლობენ აიროვანი გარემოს შექმნის შინაგანი გენერაციით.
2. ხერხები, რომელთა დროსაც სარგებლობენ აიროვანი გარემოს შექმნის გარეგანი გენერაციით.

აიორვანი გარემოს შენაგანი გენერაციის ქვეშ ესმით გარემოს შემადგენლობის ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს

ნაყოფების ბუნებრივი სასიცოცხლო პროცესების შედეგად. სუნთქვის პროცესში ისინი სარგებლობენ ჰაერის O_2 -ით, გამოყოფენ CO_2 -ს. პოლიმერული ტარის ჰერმეტულობის შემთხვევაში ნაყოფების სუნთქვის შედეგად გარემოს აიროვანი შემადგენლობა იცვლება ვენტილაციის გამოყენებით, საიზოლაციო მასალების სელექციური გამჭოლადობით, ჰაერის გაწმენდით შეიძლება შევინარჩუნოთ სასურველი აიოროვანი რეჟიმი.

გარეგანი გენერაციის დროს ხილსაცავების კამერებში ან სხვა ჰერმეტულ ტარაში ხელოვნურად შეყავთ აიროვანი ნარევის ან ცალკეული კომპონენტების საჭირო თანაფარდობა, ე. ი. მოდიფიცირებული აიროვანი ნარევი ხელოვნურად რეგულირდება და ვიღებთ რეგულირებულ აიროვან ნარევს. [43]

შინაგანი გენერაციის გზით აიროვანი გარემოს მოდიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა მასალების გამოყენებით. აიროვანი გარემოს შემადგენლობა ასეთ ტარაშა იცვლება თვითონ ნაყოფების ფიზიოლოგიური აქტივობის შედეგად და მასალის სელექციური გამჭოლადობის გამო. მასალად უფრო ხშირად გამოიყენება პოლიეთილენი, ცელოფანი, პლიოფილი და სხვ.

დღეისათვის წარმატებით გამოიყენება აიროვანი გარემოს რეგულირების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია სილიკონური მასალების – სილიკონური კაუჩუკის, სელექციური გამჭოლადობის გამოყენებაზე. აირების ქიმიურ-მოლეკულურ ბუნებაზე დამოკიდებულებით მათი დიფუზიის სიჩქარე ასეთი მასალისგან დამზადებულ ტარაში განსხვავებულია. სილიკონური კაუჩუკი ხასიათდება O_2 -ისა და CO_2 -ის გამტარებულობის ისეთი

უნარით, რომ დიფუზორული ზედაპირის ზომის სწორი შერჩევისას (შესანახად ჩაწყობილი ხილ-ბოსტნეულის რაოდენობის მიხედვით) საცავში შენარჩუნებული იქნება აიროვანი გარემოს შემდეგნაირი სტაბილური შემადგენლობა: O₂ – 3%, CO₂ – 3-5%.

პოლიმერული აპკოვანი აირსელექციური მასალები (СППМ) ხილ-ბოსტნეულის შენახვის ზემოაღნიშნული მეთოდის ვარირების ფართო შესაძლებლობას ქმნის. [51, 43]

ჩვენი საკვლევაძიებო სამუშაოების შესასრულებლად ყურადღება შევაჩერეთ სწორედ იმ მასალაზე, რომლისგანაც სათამაშო საპაერო ბურთებია დამზადებული, ხოლო უფრო დიდი მოცულობის შესაფუთ მასალად გამოვიყენეთ ბურთ-პილოტები. ბურთ-პილოტებიც დამზადებულია კაუზუკური რეზინისაგან. [66, 1, 77, 82, 53 70] ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელიც ახასიათებს ბურთ-პილოტების ფორმას.

Nº	Δ (სმ)	სმ
20	80	$\pm 0,9$
15	60	$\pm 0,8$
10	40	$\pm 0,7$
6	30	$\pm 0,5$

ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ბურთი № 6, 10 და 15, ხოლო საპაერო საბავშვო ბურთები გამოყენებული იყო ფიქსირებული ნიმუშების დასამზადებლად. სტანდარტის თანახმად აირგამ-ტარებლობა ასეთია: ბურთ-პილოტები გავსებულია ჰაერით.

ცხრილში მოცემული ზომების მიხედვით, მათ არ უნდა ეცვლებოდეთ ნაჩვენები ზომები მუდმივ ტემპერატურაზე არანაკლებ 1 სთ და 15 წთ-ისა №6 ბურთისათვის, არანაკლებ 2სთ-ისა №10, 15, 20 ბურთებისათვის.

მოცემული მასალა, რომელშიც მოთავსებულია შესანახი ნედლეული, ჩვენს შემთხვევაში ნიორი, აპკის სახით თავისთავად არ ეკვრის მას. ამისათვის ჰაერის გამოქაჩვა ხდება ვაკუუმ-ტუმბოთი. პოლიმერული რეზინი აპკის სახით ეკვრის მასში მოთავსებულ ნიორის მასას, რადგაც მისგან ჰაერია გამოტუმბული და ნაწილობრივ შექმნილია ჰაერის გაუხშოება. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ბიოლოგიური ვაკუუმი. რეზინის პარკში ჩაიყრება ნიორი, შემდეგ ვაკუუმ-ტუმბოთი ხდება ჰაერის გამოქაჩვა \approx 0,5 ატ-მდე და თავის მოკვრა. ეს პროცესი საკმაოდ ადვილია რეზინის ელასტიურობის წყალობით. შიგთავსში იქმნება ვაკუუმი, რომელიც (თუ მასალა ახალი და ხარისხიანია) შენარჩუნებულია შენახვის ბოლომდე შექმნილი ბიოგაკუუმით--აირცვლა მიღის ისე, რომ არ ირდვევა ბიოლოგიური ვაკუუმი, გარეთ გამოიყოფა ეთეროვანი ზეთებიც, რაც ორგანოლეპტიკურადაც შეინიშნება შენახვის პროცესში, განსაკუთრებით შენახვის ბოლოს. შემოკრული აპკი თითქოს „ცოცხალი კანის“ სახით გვევლინება მოცემულ ვარიანტში. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ერთი გარემოება: როცა ცდიდან მოხსნილ ნიმუშებში გარკვეული ხნის შემდეგ სასაქონლო სახე დაკარგა ნიორმა (დაობდა, დალპა), აპკის ზედაპირზე გაჩნდნენ სოკოს სპორები, ზოგ შემთხვევაში ფიქსირებული სინჯები გარედან მოლიანად დაიფარა სოკოს თეთრი სპორებით.

გამოტუმბულ პრა-ში მოთავსებული ნიორი ფრთხილად ჩაიწყობა კონტეინერში.

აღსანიშნავია ერთი მოვლენაც: როცა საცავიდან გამოტანილი ეგზემპლარები – ფიქსირებული სინჯები მოვათავსეთ ოთახის ტემპერატურზე, ორთქლის კონდენსაცია მოხდა პრა-ის გარე

ზედაპირზე, განსხვავებით პოლიეთილენისა, სადაც დატენიანება პოლიეთილენის პარკის შიგა ზედაპირზე ხდება, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა შიგთავსის პათოგენური მიკროფლორით დაზიანებისა.

ჩვენს შემთხვევაში გამორიცხულია რეგულირებული აიროვანი ნარევის წინასწარ შეშვება, რაც აიოლებს სამუშაოს. შენახვის პერიოდში შიგთავსში იქმნება გარკვეული აიროვანი გარემო, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის თითქმის მთლიანად შეჩერდეს ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებების გავრცელება, ასეთ ტარაში მოთავსებული ნედლეულის სუნთქვის დროს გამოყოფილი CO_2 -ის ნაწილი გროვდება შიგთავსში, ამავდროულად მცირდება O_2 -ის შემცველობა, რაც არახელსაყრელ პირობებს ქმნის მიკროსკოპული ორგანიზმების განვითარებისთვის, გამოყოფილი ეთეროვანი ზეთები ანტისეპტიკურ როლს ასრულებს აპკის შიგნით მოთავსებულ გარემოში, აპკი ხელს უშლის წყლის აორთქლებას და ამ გზით წონაში კლებას, ის ამავე დროს გამოყოფს ნედლეულს გარემოსგან და იცავს მას გარემოში არსებული სოკოს სპორებითა და მიკრობებით დაბინძურებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრა მჭიდროდ ეკვრის ნედლეულის ზედაპირს, მაგრამ არ ხდება უჯრედის წვენის გარეთ გამოსვლა, რადგან ნიორი მიეკუთვნება თითქმის ყველაზე „მშრალ“ მცენარეულ ნედლეულს, მასში მშრალი ნივთიერება 36-43%-ია. ქიმიური ანალიზის შედეგები ადასტურებენ პრა-ის ასევე კეთილსასურველ ზეგავლენას შესანახ ნედლეულზე.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ ნივრის შენახვისუნარიანობის გახანგრძლივების მიზნით პოლიმერული რეზინის აპკის გამოყენების შესაძლებლობა.

3.4 შენახვისუნარიანობა და სასაქონლო ცვლილებები ნივრის შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით

მთელი წლის მანძილზე მოსახლეობის ნივრით დაკმაყოფილება მნიშვნელოვანი ამოცანაა, ამიტომ საჭიროა ამ ნედლეულის ხანგრძლივად შენახვა (7-8 თვე). შენახვის დროს ნივრის დანაკარგები ხილ-ბოსტნეულის ბაზებში ძალიან მაღალია, ზოგჯერ ის 40-50%-ს აღწევს. ასეთი დანაკარგები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნიორი შენახვის პერიოდში ძლიერ კარგავს სასაქონლო სახეს, ამ დროს შენახული ნედლეული ავადდება ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებებით, ხდება ნაადრევი გაღივება, საბოლოოდ ეცემა სასქონლო ხარისხი და იზრდება დანაკარგები, ამიტომ დანაკარგების მინიმუმამდე დასაყვანად საჭიროა შენახვის ოპტიმალური რეჟიმის შემუშავება, რომელიც ხელოვნურად შეუქმნის მოსვენების პერიოდს, გაზრდის ქსოვილების გამძლეობას მიკროორგანიზმებისადმი, დათრგუნავს ამ უკანასკნელის მოქმედებას, უზრუნველყოფს სასაქონლო ხარისხისა და კვებითი დირებულების შენარჩუნებას, შეამცირებს შენახვაზე დახარჯულ ხარჯებს.

ამ გეგმით ჩატარდა ექსპერიმენტული სამუშაოები ნივრის ხანგრძლივად შენახვაზე ს/მ პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის კათედრაზე. ნივრის შენახვისუნარიანობას ვაკვირდებოდი სხვადასხვა სახის ტარაში: სხვადასხვა სისქის პოლიეთილენის პარკებში (პეპ) და პოლიმერული რეზინის აპჟში (პრა). შენახვის ტემპერატურა იყო $+1,5$, $+2^{\circ}\text{C}$, პაერის ფარდობითი ტენიანობა 85-90%, შენახვის დასაწყისი იყო ოქტომბერი, შენახვის ბოლო-- ივნისის დასაწყისი.

როგორც აღვნიშნე, მეთოდიკა ითვალისწინებდა ცდებს საქართველოში და რაიონებში ორ ჯიშზე – გორული და პოლიოტი. ვიღებდი ორივე ჯიშის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნარგაობიდან მიღებულ მოსავალს.

სასაქონლო ხარისხზე დაკვირვება წრმოებდა შემოტანილი ნივრის მთლიან პარტიაზე და გხელმძღვანელობდით სტანდარტით – ბოსტ 7977 „ნედლი ნიორი“. წონაში კლება შეისწავლებოდა ფიქსირებული სინჯების მეთოდით, დაავადებით გამოწვეული დანაკარგები და პროდუქციის საერთო მდგომარეობა შეისწავლებოდა დეკემბრის, თებერვლის, მარტის და მაისის ბოლო რიცხვებში.

დაკვირვების შედეგები შენახული ნივრის ხარისხზე ემსახურება სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობის დადგენას. საკვლევი ნედლეულის სასაქონლო ხარისხის ცვლილებები ექსპერიმენტის მთელ პერიოდში მოცემულია ცხრილებში 5 და 6.

შენახვის დასაწყისში სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა ყველაზე მაღალი იყო პოლიოტისათვის. ეს მაჩვენებელი დარგის ორივე ვადაში მოყვანილ მოსავალში მაღალია ჯიშ გორულთან შედარებით (ცხრილი 18), ხოლო თუ ჯიშის შიგნით მოვახდენთ შედარებას, მაშინ სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა შემოდგომაზე დარგულ მოსავალში უფრო მაღალია. მსჯელობის გასამარტივებლად ვიხმარ ასეთ აღნიშვნებს:

სამართლებულის სასამოწმლო გამოსავლიანობა ნიღაში

ცხრილი 18

ჯიშის დასახე- ლება	სტანდარტ- პროდუქტ- გამოსავ- ზო-ქი	ზომის არასტან- დარტ. %	გადამწყვ. კე ზემცლ. % %	დაავადე ბული გზ. %	ნარჩენე ბის %	ბოლქვის საშუალო დიამეტრი სმ.	ბოლქვის საშუალო სიმძლა ოსმანი სმ.	დასარგვე ბის სიმძლა ოსმანი სმ.
გ 6 გ								
84,35	3,3	7,3	3,3		38,0	5,5	5,2	5,5
80,3	8,1	5,1	2,2		33,2	5,1	5,0	5,1
88,12	7,5	1,5	2,2		42,0	5,4	6,0	6,2
85,6	9,2	1,2	1,5		35,5	5,0	5,9	7,1

საშემოდგომო ნარგაობიდან მიღებული მოსავალი – შნმ.

საგაზაფხულო ნარგაობიდან მიღებული მოსავალი – გნმ.

პოლიეთილენის პარკი – პეპ.

პოლიმერული რეზინის აპკი – პრა.

ცხრილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობამ პოლიოტში შეადგინა შნმ-ში 88,12%, გნმ-ში 85,6%, ხოლო გორულში – შნმ-ში 84,35%, გნმ-ში – 80,3%. გაზაფხულზე დარგული მოსავალი უფრო საღია, მცირეა ნემატოდებითა და ტკიპებით დაზიანება, მაგრამ მასში ბევრია ზომით არასტანდარტული თავები -სტანდარტის გათვალისწინებით 2,5 სმ-ზე ნაკლები. როგორც ცხრილიდანაც ჩანს ზომით არასტანდარტული ბოლქვები უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება ორივე ჯიშის გაზაფხულის ნარგაობის მოსავალში. ლიტერატურული მონაცემებიც გვიდასტურებენ გაზაფხულზე დარგული ნიორი შემოდგომაზე დარგულთან შედარებით ფესვთა სისტემას ძლიერ ივითარებს, ვერ ასწრებს ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების მაქსიმალურად ამოღებას და დაგორგებას, მთლიანად ვერ იყენებს გაზაფხულსა და ზამთარში დაგროვებულ ტენს, ხოლო შემოდგომის ნარგაობის ნიორი გაზაფხულს განვითარებული ფესვთა სისტემით ხვდება და ინტენსიურად ვითარდება.

ცხრილებში 5 და 6 წარმოდგენილია სასაქონლო ხარისხის ცვლილებები ნიორში შენახვის მთელ პერიოდში ვარიანტების მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი შენახვისუნარიანობა გამოავლინა პოლიმერული რეზინის აპკში (პრა) მოთავსებული ნივრის ორივე ჯიშმა – გორულმა და პოლიოტმა. აქ შენახვის მთელ პერიოდში შენარჩუნებულია სტანდარტული პროდუქციის მაღალი გამოსავლიანობა. მაისის

ცხრილი 5

სასაქონლო მაჩვენებლების ცვლილებები ნიორის შენახვის დროს ჯიში გორული

№	ვარიანტები	საშეფისი მონაცემები	ოქითებები	იანგარი						თებერვალი						მაისი	
				სტანდარტ.პროდ.გარები.	სამუშაო დანაგარები	ბუნებრივი ინტერესი	დაავალებული ეტაპები	გადაფიქტური ეტაპები	სტანდარტ.პროცესების	სამუშაო დაწარმეტებები	გაავალებული ეტაპები	სტანდარტ.პროცესების	გადაფიქტური ეტაპები	სტანდარტ.პროცესების	გადაფიქტური ეტაპები		
შემოდგომის ნარგაობა																	
1.	40 მკმ სისქის პეპ	100	88	13	1,5	7	5	74	15,9	1,9	5	9	მოხსნილია ცდიდან				
2.	60 მკმ სისქის პეპ	100	86,93	13,9	0,8	9,1	4	72,3	17,1	1,5	7,1	8,5	მოხსნილია ცდიდან				
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	100	100	2,0	2,0	-	-	100	1,0	1,0	-	-	92,8	15,	7,9	4,1	
4.	საკონტროლო	100	90,2	21,8	12	6	3,8	76	22,3	8,3	6,1	8,1	მოხსნილია ცდიდან				

		გაზაფხულის ნარგაობა												
1.	40 მკმ სისქის პეპ	100	87,68	13,2	1,8	6,62	5,7	73,9	1,2	1,2	5,51	8,23	მოხსნილია ცდიდან	
2.	60 მკმ სისქის პეპ	100	86,88	14,2	1,1	8,12	5,0	71,7	1,5	1,5	6,21	8,0	მოხსნილია ცდიდან	
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	100	100	2,1	2,1	-	-	100	2,91	2,91	-	-	93,2 14 7,2 3,3 3,5	
4.	საკონტროლო	100	90,05	20,0	10,1	5,71	4,25	76,6	9,2	9,2	5,9	7,3	მოხსნილია ცდიდან	

ცხრილი 6

სასაქონლო მაჩვენებლების ცვლილებები ნიორის შენახვის დროს ჯიში პოლიოტი

		ოფიციალური	იანგარი	თებერვალი	მაისი
			იანგარი	თებერვალი	მაისი

Nº	ვარიანტები	საწყისი მონაცემები	სტანდარტული გამოცდა	საქროო დანაკარგი	ბუნებრივი პლეია	დაავადებული ებზება	გადივებული ებზება	სტანდარტული გამოცდა	საქროო დანაკარგი	ბუნებრივი პლეია	დაავადებული ებზება	გადივებული ებზება	სტანდარტული გამოცდა	საქროო დანაკარგი	ბუნებრივი პლეია	დაავადებული ებზება	გადივებული ებზება
1.	40 მკმ სისქის პეპ	შემოდგომის ნარგაობა															
		100	90,5	10,7	1,3	7,25	4,2	74,8	15,6	1,5	5,41	8,25	მოხსნილია ცდიდან				
2.	60 მკმ სისქის პეპ	100	86,9	14,0	1,0	8,91	4,1	74,5	13,7	1,3	5,31	7,12	მოხსნილია ცდიდან				
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	100	100	2,1	2,1	-	-	100	0,59	0,59	-	-	93,9	13,1	7,1	4,1	2,0
4.	საკონტროლო	100	89,95	20,0	11,9	5,25	2,9	78,7	21,0	7,91	5,10	8,0	მოხსნილია ცდიდან				
1.	40 მკმ სისქის პეპ	გაზაფხულის ნარგაობა															
		100	88,9	13,1	1,9	7,1	4,21	73,8	15,9	1,11	5,71	9,1	მოხსნილია ცდიდან				
2.	60 მკმ სისქის პეპ	100	86,5	13,5	1,5	8,1	3,9	73,5	16,7	1,21	7,3	8,2	მოხსნილია ცდიდან				
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	100	100	2,2	2,2	-	-	100	1,0	1,0	-	-	93,6	13,9	7,5	4,3	2,1
4.	საკონტროლო	100	88,79	20,6	11,5	5,1	4,11	77,7	21,8	8,77	5,96	7,1	მოხსნილია ცდიდან				

სასაქონლო მაჩვენებლების ცვალებადობა ნიორში პრა-ის მოცულობისგან დამოკიდებულებით
ჯიში გორული

№	ვარიანტები	შენახვის დასაწყისი	შენახვის შუალედი	შენახვის ბოლო	საშემოდგომო ნარგაობა									
					შენახვის ბანგრძლივობა დღე	არასეგანდარტ.პროც.	დაავადება %	გადივება %	სეინდარტ.პროცესის გადივება %	არასეგანდარტ.პროც.	დაავადება %	გადივება %	სეინდარტ.პროცესის არასეგანდარტ.პროც.	დაავადება %
1.	1 კბ-მდე	X-დან	3,1	1,0	-	96,9	-	-	-	100	1,7	-	1,7	98,3
2.	5 კბ-მდე	VI-მდე	3,1	1,0	-	96,9	-	-	-	100	7,2	2,3	4,9	92,8
3.	15 კბ-მდე		3,1	1,0	-	96,9	-	-	-	100	7,5	2,0	5,5	92,5
4.	30 კბ-მდე		3,1	1,0	-	96,9	-	-	-	100	7,5	1,9	5,6	92,5
5.	საკონტროლო ხის ღია ყუთი		3,1	1,0	-	96,9	24	12	11	76	-	-	-	-

		საგაზაფხულო ნარგაობა												
1.	1 კვ-მდე	5,0 5,0 5,0 5,0 5,0	5,0	1,0	-	94,1	-	-	-	100	1,5	0,5	1,0	98,5
2.	5 კვ-მდე		5,0	1,0	-	94,1	-	-	-	100	6,2	3,0	3,2	93,8
3.	15 კვ-მდე		5,0	1,0	-	94,1	-	-	-	100	7,2	3,1	4,1	92,8
4.	30 კვ-მდე		5,0	1,0	-	94,1	-	-	-	100	6,3	2,4	3,9	93,7
5.	საკონტროლო ხის ღია ყუთი		5,0	1,0	-	94,1	23	13	9,5	77	-	-	-	-

ცხრილი 8

სასაქონლო მაჩვენებლების ცვალებადობა ნიორში პრა-ის მოცულობისგან დამოკიდებულებით
ჯიში პოლიოზი

		გ ვ ხ ს	შენახვის დასაწყისი	შენახვის შუალედი	შენახვის ბოლო

№	გარიანტები	არასტანდარტ.პროც.												
		X-დან	VI-მდე	არასტანდარტ.პროც.	დაავალება %	გადივება %	სტანდარტ.პროც.გამოს	არასტანდარტ.პროც.	დაავალება %	გალივება %	სტანდარტ.პროც.გამოს	არასტანდარტ.პროც.	დაავალება %	გადივება %
1.	1 კბ-მდე	X-დან VI-მდე	2,0	1,0	-	97,7	-	-	-	100	1,3	0,8	0,5	98,7
2.	5 კბ-მდე		2,0	1,0	-	97,7	-	-	-	100	6,7	3,1	3,6	93,3
3.	15 კბ-მდე		2,0	1,0	-	97,7	-	-	-	100	5,8	2,5	3,3	94,2
4.	30 კბ-მდე		2,0	1,0	-	97,7	-	-	-	100	6,2	3,8	2,4	93,8
5.	საკონტროლო ხის დია ყუთი		2,0	1,0	-	97,7	2,3	8,5	14	77	-	-	-	-
1.	1 კბ-მდე	9,5	-	-	90,5	-	-	-	100	1,8	1,0	0,8	98,2	
2.	5 კბ-მდე		-	-	90,5	-	-	-	100	7,8	4,3	3,5	92,0	
3.	15 კბ-მდე		-	-	90,5	-	-	-	100	6,5	2,7	3,8	93,5	

4.	30 ՃՇ-ՃՋ		9,5	-	-	90,5	-	-	-	100	6,2	2,9	3,3	93,8
5.	Տայոնիքրոլու եօն լուս ցյուղու		9,5	-	-	90,5	21,2	13	9,5	78	-	-	-	-

ბოლოს ორივე ჯიშის ორივე ვარიანტში – შემოდგომის ნარგაობის მოსავალში (შნმ) და გაზაფხულის ნარგაობის მოსავალში (გნმ) სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა შეადგენდა ჯიშ გორულში შნმ – 92,8%-ს, გნმ – 93,2%-ს, პოლიოტში შნმ – 93,9%-ს, გნმ – 93,6%-ს, ხოლო საკონტროლო ვარიანტს ამ დროს მთლიანად დაკარგული ჰქონდა სასაქონლო სახე. ამიტომ მაისის ყველა ვარიანტის მონაცემებს შევადარებო საკონტროლო ნიმუშების მარტის მონაცემებს. მარტის ბოლოს სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა საკონტროლო ვარინტში შეადგენდა გორულში: შნმ 60,1 - %-ს, გნმ 63%-ს; პოლიოტში: შნმ 57,2 - %-ს, გნმ 53 %-ს. დანაკარგებში შედიოდა ობის სოკოებით, ბაქტერიული დაავადებით დაზიანებული ბოლქვები. დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ პრა-ში მოთავსებულ ნედლეულში შენახვის ბოლოს დაავადებული ეგზემპლიარები მცირე რაოდენობით გვხვდება და ამ დაავადებებიდან ჭარბობს ბაქტერიებით გამოწვეული დაავადებები, ხოლო საკონტროლო ვარიანტში პირიქით – უმეტესად სოკოგანი დაავადება გვხვდება. დაავადების პროცენტი პრა-ში მაისის ბოლოს საკმაოდ უმნიშვნელოა საკონტროლოსთან და სხვა ვარიანტებთან შედარებით, რაც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი 5 და 6).

ცხრილების ანალიზიდან ვხედავთ, რომ საკონტროლო ვარიანტში (ხის ღია ყუთები) ჯიში პოლიოტი უფრო მაღალ შენახვისუნარიანობას ამჟღავნებს, ვიდრე გორული. ხის ღია ყუთებში შენახული ჯიში გორული თებერვალში იწყებს გაღივებას, ხოლო პოლიოტი თებერვლის ბოლო რიცხვებიდან. პრა-ში ორივე ჯიში კარგად ინახება და საკონტროლო ვარიანტში

ფიქსირებული ზემოაღნიშნული განსხვავება არ გვხვდება. ამიტომ პრა-ში შენახული ნედლეულის სტანდარტული პროდუქციის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია.

პრა (პოლიმერული რეზინის აპკი) აფერხებს გაღივების პროცესს. მაისის ბოლოს, როცა ცდა მოიხსნა, გაღივებული ეგზემპლიარები მცირე რაოდენობით იყო. კბილის სიგრძივ განაჭერში კარგად განვითარებული ჩანასახის კვირტის ლერაკი ჩანს, რომელიც გორულში კბილის წვეროდან უკვე გამოსვლას აპირებს, ხოლო პოლიოტში ჩანასახის კვირტის ლერაკი კარგად განვითარებულია, თუმცა კბილანის წვერომდე არ არის მიღწეული.

მოცემული ფარდობითი ტენიანობის (85-90%) და ტემპერატურის მერყეობის (როგორც ზემოთ აღვნიშნე ელექტროენერგია ხშირად წყდებოდა) პირობებში პოლიეთლენის პარკებში (პეპ) შენახული ნიორი ძალიან დაბალი შენახვისუნარიანობით გამოირჩევა. ჯერ კიდევ შენახვის დასაწყისში პეპ-ის კედლებზე შევამჩნიე კონდენსირებული წყლის წვეთების წარმოქმნა. 60 მკმ სისქის პეპ-ის კედლები თითქმის მთლიანად შებურული იყო ტენით, ხოლო 40 მკმ სისქის პეპ-ში დატენიანება შედარებით ნაკლები იყო. იანვრის ბოლოს ორივე ვარიანტში გვაქვს დატენიანებული და ობჟაკიდებული, გაღივებული ეგზემპლიარები, საკმაოდ დიდია აბსოლიტური ნარჩენი, თუმცა 60 მკმ სისქის პარკებში აბსოლიტური ნარჩენი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჭარბობს 40 მკმ სისქის პარკებში შენახულს. ეს მონაცემები მოყვანილია ცხრილში 5 და 6 მოცემული ვარიანტები (პეპ 40 და 60 მკმ სისქის) ორივე ჯიშისათვის ცდიდან მოიხსნა თებერვლის ბოლოს, როცა საერთო დანაკარგებმა დაახლოებით 27-30% შეადგინა. თებერვლის

ბოლოს, ერთი თვის მანძილზე გადივებული ბოლქვების რაოდენობამ შეადგინა 60 მკმ სისქის პეპ-ში გორულისათვის დაახლოებით 8-8,5%, პოლიოლტისათვის – 7-8% 40მკმ სისქის პეპ-ში გორულისათვის დაახლოებით 8-9%, პოლიოტისათვის დაახლოებით 8,25-9,1%. საერთო დანაკრგბი 60 მკმ პეპ-ში უფრო დიდია, ვიდრე 40 მკმ სისქის პეპ-ში. საერთოდ, თხელ პოლიეთილენში უფრო შეუფერხებლად მიდის აირცვლა, ასევე ტემპერატურული ცვლა, რაც იწვევს ჩაორთქვლის შემცირებას და საბოლოო ჯამში პათოგენური მიკროფლორის გაჩენის შესაძლებლობას ამცირებს. 40 მკმ სისქის პეპ-ში სუნთქვა უფრო ინტენსიურია (ცხრ. 9 და 10). სუნთქვის ინტენსივობა თებერვლის ბოლოს ასეთია შემდეგი ჯიშებისათვის:

— შნმ – 6,1 მგ CO₂ კგ/სთ.
გორულისათვის — გნმ – 5,3 მგ CO₂ კგ/სთ.

— შნმ – 8,8 მგ CO₂ კგ/სთ.
პოლიოტისათვის — გნმ – 6,6 მგ CO₂ კგ/სთ.

საკმაო რაოდენობით ტენი და გაზთაცვლა, შედარებით მაღალი ტემპერატურა (ნულის ზემოთ) ხელსაყრელ პირობებს ქმნის თხელ პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნივრის გასაღივებლად; ამიტომ თებერვლის ბოლოს 40 მკმ სისქის პეპ-ში მოთავსებული ნედლეული კარგავს სასაქონლო დირსებას გადივების გამო; ხოლო 60 მკმ სისქის პეპ-ში მოთავსებული ნედლეული კარგავს სასაქონლო დირსებას დაობებული ეგზემპლიარების პროცენტი 40 და 60 მკმ სისქის პეპ-ში გორულის შნმ-ში შესაბამისად 5 და 7,1%-ია, ხოლო

№	გარიანტები	ცდის ჩატანა-	ბუნებრივი კლება %			სუნთქვის ინტენსივობა მდე CO_2				
			გ	6	8					
1.	40 გვთხავა		X XI XII I II	- 0,9	0,1 0,1	0,1 0,8	1,5 2,8	2,8 6,1	3,1 6,1	5,1
2.	60 გვთხავა		X XI XII I II	- 1,5	0,1 0,5	0,1 0,5	0,8 2,2	2,8 5,2	3,3 2,3	4 2,5
3.	პოლიმერული რეზინის აპელი		X XI XII I II III IV V	- 1	2,9 4,1	0,5 2,1	2 1,2	2,8 2,8	3,3 3,7	4 4,1
4.	საკონტროლო		X XI XII I II III IV	- 22,5	31,2 45,1	5,5 6,3	1,2 6,3	2,8 8,8	3,1 8,8	4,1 15,5
							გ	6	8	
1.	40 გვთხავა		X XI XII I II	- 1,2	0,1 0,3	0,5 1,1	1,8 3,1	3,1 5,3	3,5 4,0	4,1
2.	60 გვთხავა		X XI XII I II	- 1,5	0,1 0,5	0,3 0,8	0,8 2,1	3,1 3,1	3,0 4,0	3,5
3.	პოლიმერული რეზინის აპელი		X XI XII I II III IV V	- 2,91	3,3 4,3	0,5 3,3	7,2 4,2	2,1 4,2	3,3 4,5	3,5 5,0
4.	საკონტროლო		X XI XII I II III IV	- 23,4	28,1 44,24	2,1 4,1	10,1 4,0	3,1 4,0	3,3 8,1	3,8 14,2

გუნდების კლების და სუნთქვის ნაფენსივობის ცვალებადობა ნიურეტ გენაციის დროს ჯიში კოლოფი

№	ვარიანტები	ცდის ჩატარების დრო	ბუნებრივი კლება %			სუნთქვის ინტენსივობა მგ/სთ.	გვ. CO ₂
			გ	6	8		
1.	40 გვ. სისქის პეპ	X XI XII I II	- 1,5	0,1 1,3	0,2 -	1 0,8	1,9
2.	60 გვ. სისქის პეპ	X XI XII I II	- 1,3	- 0,3	0,2 0,5	2 2,1	5,1
3.	პოლიმერული რეზინის აპე	X XI XII I II III IV V	- 2,5	0,3 3,5	0,5 5	8,3 7,1	4,0
4.	საკონტროლო	X XI XII I II III IV	- 21,01	5,1 35	8 42,2	2,1 2 2,1 8,1	1,5 1,5 1,5 16,1
						გ	3,9
1.	40 გვ. სისქის პეპ	X XI XII I II	- 1,11	0,2 0,1	0,3 0,9	1,9 1,5	6,6
2.	60 გვ. სისქის პეპ	X XI XII I II	- 1,21	- 0,1	0,2 0,9	2,3 2,3	2,5
3.	პოლიმერული რეზინის აპე	X XI XII I II III IV V	- 2,5	0,2 3,8	0,5 5,1	2,3 7,5	2,3
4.	საკონტროლო	X XI XII I II III IV	- 21,83	4,1 30,3	5,3 40	11,5 - 5,1	7,1 7,2 7,2 10,5

პოლიოტისათვის 5,41 და 5,31%-ია, იგივე სისქის პეპ-თვის გორული გნმ-ში დაავადებული ეგზემპლარები 5,51 და 6,21% ხოლო პოლიოტისათვის 5,71 და 7,3%-ია. მოტანილი მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დავადებული ეგზემპლარების 60 მკმ სისქის პეპ-ში დაახლოებით 1-2%-ით აჭარბებს 40 მკმ სისქის პეპ-ში არსებულ გაღივებულ ეგზემპლარებს. თუ მოცემული ვარიანტების მონაცემებს შევადარებთ საკონტროლოს (ცხრილები 5 და 6), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პეპ-ებში მოთავსებულ ნიორში გაღივებული ეგზემპლიარები საკონტროლოსთან შედარებით მეტია, ხოლო დაავადებული ეგზემპლიარები თითქმის ერთნაირად გვხვდება ან მცირედ აჭარბებს საკონტროლოს.


როგორი იყო ბუნებრივი კლება პეპ-ში. ჩხრილებიდან 9 და 10 ჩანს, რომ ბუნებრივი კლება პეპ-ის ორვე ვარიანტში შენახვის დასაწყისიდან დეკამბრის ბოლომდე სტაბილურად მიდიოდა, მაგრამ ისეთი ინტენსიური არ იყო, როგორც საკონტროლო ვარიანტში, იანვრიდან სუნთქვის ინტენსივობა იზრდება, ხოლო თებერვლის ბოლოს საწყის მონაცემებთან შედარებით გაიზარდა თითქმის 2,5-ჯერ, ხოლო თუ სუნთქვის ინტენსივობას თებერვლის ბოლოს საკონტროლო ვარიანტის იგივე პერიოდს შევადარებთ, ეს მონაცემი თითქმის ერთნაირია, თითქოს მოსდალოდნელი იყო პეპ-ში შენახვის ბოლოს სუნთქვის ინტენსივობის დაბალი მაჩვენებელი საკონტროლოსთან შედარებით. ეს წინააღმდეგობა იმით აიხსნება, რომ თებერვლის ბოლოს გაღივებული ეგზემპლიარების რაოდენობა პეპ-ში ჭარბობს საკონტროლო ვარიანტში გაღივებულ ბოლქვებს, რაც იწვევს სუნთქვის მაღალ ინტენსივობას.

ბუნებრივი კლება პეპ-ში შენახულ ეგზემპლიარებში საკონტროლოსთან შედარებით საკმაოდ დაბალია, რადგან საკონტროლო ვარიანტში წყლის აორთქლება უფრო ინტენსიურია, ვიდრე პოლიეთილენში. ექსპერიმენტის დროს მიღებული შედეგები დასტურდება ლიტერატურული მონაცემებით [20, 107, 27].

3.5 ბიოქიმიური შემადგენლობის ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები (ცხრილი 11, 12) გვიჩვენებს, რომ შენახვის დროს ნივრის ქიმიური შედგენილობის ძირითადი კომპონენტები ცვლილებებს განიცდის.


მშრალი ნივთიერების დანაკარგები შენახვის ბოლოს ნიორში მაღალია (ცხრ 11 და 12). შენახვის ბოლოს პრა-ში ეს პერიოდი იგნირდება, საკონტროლო ვარიანტი აღარ გვქონდა, ხოლო მარტის მონაცემების მიხედვით ხსნადი მშრალი ნივთიერება საკონტროლო ვარიანტში საწყისთან შედარებით შემცირდა;




ხსნადი მშრალი ნივთიერების ცვლილება საწყისთან შედარებით ვარიანტების მიხედვით ასეთია: 1) პოლიმერული რეზინის აპკში:



2) 60 მკმ სისქის პეპ-ში:



3) 40 მკმ სისქის პეპ-ში:




ე. ი. საწყისი ხსნადი ნივთიერება ყველა ვარიანტში შემცირებულია ამ მაჩვენებლის ყველაზე დიდ ცვლილება განიცადა საკონტროლო ვარიანტმა, შემდეგ პოლიმერული რეზინის აპში მოთავსებულმა ნიორმა, თუმცა მისი შედარება დანარჩენ ვარიანტებთან არ შეიძლება, რადგან იგი სამი თვის მოგვიანებით მოიხსნა ცდიდან.

შაქრების შემცველობა პოლიეთოლენის პარკებში და რეზინის აპში შენახვის დროს მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. საერთო შაქრების ცვალებადობა საწყისთან შედარებით თითოეულ ვარიანტში ჯიშების მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს: ცხრილები 11 და 12).

3. 60 მკმ სისქის პეპ-ში საწყის რაოდნობასთან შედარებით შაქრების კლება შეადგენს;



4. 40 მკმ სისქის პეპ-ი:



5. პრა:



զորացընթօ — զնի՝ 2,7%-ի ։ Յոլոտընթօ — զնի՝ 2,76%-ի։

ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით
ჯიში გორული

№	ვარიანტი	ანალიზის ჩატარების თარიღი	მშრალი ნივთიერ. %	ხსნადი მშრალი ნივთ. %	ნახშირწყლები %				ასკორბინის მჟავა მგ%
					მონო საქარდ.	ოლიგო საქარიდ.	პოლი საქარიდ.	საერთო საქარიდები	
ং ৬ ৮									
1.	40 ბეტ სისქის პეპ	X	38,00	30,8	1,7	20,4	7,9	28,3	17,2
		II	37,17	27,9	0,5	18,7	7,7	26,4	15,1
2.	60 ბეტ სისქის პეპ	X	38,00	30,8	1,7	20,4	7,9	28,3	17,2
		II	37,5	28,1	-	19,1	7,5	26,6	16,2
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	X	38,00	30,8	1,7	20,4	7,9	28,3	17,2
		II	37,9	29,2	1,8	19,0	7,7	26,7	17,1
		V	37,63	27,8	1,5	18,3	7,4	25,7	17,0
4.	საკონტროლო	X	38,00	30,8	1,7	20,4	7,9	28,3	17,2
		II	37,1	25,2	1,5	15,2	7,2	22,4	17,8
		III	37,5	22,2	1,0	13,6	7,5	21,1	18,2

1.	40 ბინა სისქის პერ	ბ გ ბ							
		X	38,11	32,3	1,5	22,1	8,1	30,2	15,3
		II	37,0	30,1	1,0	20,1	8,0	28,1	14,2
2.	60 ბინა სისქის პერ	X	38,11	32,3	1,5	22,1	8,1	30,2	15,3
		II	38,00	30,2	0,7	20,98	7,92	28,0	15,1
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	X	38,11	32,3	1,5	22,1	8,1	30,2	15,3
		II	38,1	29,9	1,9	19,7	8,0	27,7	15,1
		V	38,0	29,1	1,9	19,6	7,9	27,5	13,2
4.	საკონტროლო	X	38,11	32,3	1,5	22,1	8,1	30,2	15,3
		II	37,5	25,1	1,7	15,5	8,0	23,5	15,5
		III	37,0	23,2	1,7	15,2	7,9	23,1	17,1

ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით
ჯიში პოლიოტი

№	ვარიანტი	ანალიზის ჩატარების თარიღი	მშრალი ნივთიერ. %	ხსნადი მშრალი ნივთ. %	ნახშირწყლები %				ასკორბინის მჟავა მგ%
					მონო საქარდ.	ოლიგო საქარიდ.	პოლი საქარიდ.	საერთო საქარიდები	
მ ნ ბ									
1.	40 მკმ სისქის პეპ	X	39,93	33,9	1,84	21,04	8,3	29,34	14,08
		II	38,2	31,2	0,63	19,44	8,1	27,54	11,7
2.	60 მკმ სისქის პეპ	X	39,93	33,9	1,84	21,04	8,3	29,34	14,08
		II	39,00	30,5	-	17,80	8,4	26,2	10,2
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	X	39,93	33,9	1,84	21,04	8,3	29,34	14,08
		II	39,0	32,1	2,21	18,5	8,3	26,8	12,8
		V	38,95	29,7	2,00	17,7	8,1	25,8	11,8
4.	საკონტროლო	X	39,93	39,1	1,84	21,04	8,3	29,34	14,08
		II	38,1	30,1	1,95	18,1	8,0	26,1	15,0
		III	37,0	29,6	1,1	13,29	7,91	21,2	15,81

ყველა ვარიანტში შაქრების %-ლი შემცველობა დაკლებულია. შემოდგომის ნარგაობისა და გაზაფხულის ნარგაობის მოსავლის შენახვის დროს ცვალებადობა ძირითადი კომპონენტებისა ერთნაირია – ერთი მიმართულებით მიღის და რაიმე არსებითი ცვლილება არ შეინიშნება. ამის სურათს იძლევა ცხრილები 11 და 12. ყოველივე დასტურდება ლიტერატურული მონაცემებით [19].

საკონტროლო ვარიანტში „C“ ვიტამინის ცვალებადობა „უფრო მკაფიო სურათს იძლევა. დღის დასაწყისში „C“ ვიტამინის ცვლილებები (შემცირების სიჩქარე) უფრო სტაბილურია, თებერვალ-მარტში შეინიშნება „C“ ვიტამინის %-ლი შემცველობის ზრდა. ეს ზრდის დაწყებით არის გამოწვეული. ამ დროს ხდება კვირტების დიფერენციაცია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქიმიური კომპონენტების გაორმაგება (ორმაგდება დნმ, რნმ, ცილები, ამინომჟავები, ნუკლეოტიდები და სხვ.) და მათ შორის ასკორბინის მჟავის წარმოქმნაც. აპრილის დასაწყისში ასკორბინის მჟავა საწყისთან შედარებით გაიზარდა:

$$\begin{array}{c} \text{პოლიმერული} \quad \text{შნმ} - 1,73 \text{ მგ \%-ს} \\ \text{პოლიოტში} \quad \swarrow \quad \text{გნმ} - 0,9 \text{ მგ \%-ს} \end{array} \quad \begin{array}{c} \text{გორულში} \quad \text{შნმ} - 1 \text{ მგ \%-ს} \\ \swarrow \quad \text{გნმ} - 1,8 \text{ მგ \%-ს.} \end{array}$$

პოლიმერული რეზინი მაინციბირებელ როლს ასრულებს გადივებისა და ასკორბინის მჟავის დაგროვების პროცესზე. აპრილში „C“ ვიტამინის შემცველობა საკონტროლო ვარიანტში შეადგენდა 18,2 მგ \%-ს, ხოლო პრა-ში 16 \%-. ექსპერიმენტული კვლევის სამი წლის შედეგმა გვიჩვენა, რომ პრა აქვეითებს უანგვა-ალდგენითი ფერმენტების პეროქსიდაზასა და

პოლიფენოლოქსიდაზას აქტივობას, რადგანაც მათი აქტივობის დაქვეითებით ხდება სუნთქვის ინტენსივობის „დაცემა“ საკონტროლოსთან შედარებით (იხ. ცხრილები 9 და 10) და C ვიტამინის ცვალებადობის შენელებაც. ეს უკანასკნელი კი მონაწილეობს ჟანგვა-ადდგენითი პროცესების ჯაჭვში და ამდენად მისი შემცველობის ცვალებადობა წარმოდგენას გვაძლევს ნიორის შენახვის საერთო მდგომარეობაზე. გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ პოლიმერული რეზინი არ აუარესებს ნივრის ბიოქიმიურ შედგენილობას, პირიქით აუმჯობესებს ნიორის შენახვისუნარიანობას. სხვა ვარიანტებთან შედარებით, ერთნაირ ტემპერატურაზე და პაერის ფარდობით ტენიანობაზე, პოლიმერული რეზინის აპკი გაცილებით უკეთ ინახავს ნედლეულს, უზრუნველყოფს საღი და გაუდივებელი ბოლქვების მაღალ გამოსავლიანობას.

როგორია ტენშემცველობის ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს. მოსავლის აღების პირველ პერიოდში ნიორი გასცემს ზედმეტი რაოდენობის ტენს და ხდება თავაკების ქერქლის გამოშრობა. ეს პროცესი აუცილებელია, რადგანაც შესანახად მხოლოდ გამომშრალი ბოლქვებია ვარგისი. ამ დროს ტენის გაცემა გარკვეულ ზღვრამდე ხდება, შემდეგ ამ პროცესში ჩაერთვება უჯრედის პროტოპლაზმის წყალშემკავებელი ძალა, რომელიც უნარჩუნებს უჯრედს ტურგორს. შენახვის არახელსაყრელ პირობებში ხდება წყლის დიდი რაოდენობით აორთქლება, რომელიც ნივრის გარეგნულ სახეში პპოვებს გამოხატულებას – ხმება, იკარგება სასაქონლო ხარისხი, მცირდება მასა და მოცულობა, რაც მეტია წყლის აორთქლების ინტენსივობა, მით ცუდია შენახვისუნარიანობა ბოსტნეულისა და

მით უფრო ინტენსიურია პათოგენური მიკროფლორის ფიზიოლოგიური აქტივობა.

წყლის აორთქლებით გამოწვეული გამოშრობა ბოსტნეულისა გამოწვეულია: ტემპერატურის ამაღლებით და ჰაერის დაბალი ფარდობითი ტენიანობით. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა და დაბალია ჰაერის ფარდობითი ტენიანობა შესანახ საცავში, მით მეტი წყალი აორთქლდება. თბილი მშრალი ჰაერის მოძრაობის სიჩქარე (ცირკულაცია) ზრდის წყლის აორთქლებას. წყლის აორთქლება ბოსტნეულიდან იმ სახით როდი ხდება, როგორც წყლის თავისუფალი ზედაპირიდან: ნაწილი აორთქლებული წყლისა დამოკიდებულია ნივრის ბიოლოგიურ სახეზე და ჯიშზე, ბოლქვის გარეგან და შინაგან აგებულებაზე, მათ ქიმიურ შედგენილობაზე და ასევე მისი სიმწიფის ხარისხზე და ბოლქვების ზომებზე. მაგ.: ნიორი უფრო მეტ წყალს კარგავს, ვიდრე იგივე პირობებში მოქცეული ხახვი. ეს თავისებურება გამოხატულებას ჰპოვებს ნედლი ბოსტნეულის მასაში კლების ნორმებში. საშემოდგომო ნარგაობის მოყვავილე (ისრიანი) ნიორი ხასიათდება არამკვრივი ბოლქვებით, დია ყელით, არა მოყვავილე (უისრო) გაზაფხულის ნარგაობის ნიორთან შედარებით, რომელიც მკვრივი, მსხვილი, გრძელი ყელით ხასიათდება. ბოლქვების სიმწიფის ხარისხი მკვეთრად ვლინდება წყლის აორთქლების ინტენსივობაში. მოუმწიფებელი ბოლქვი არამკვრივია, ხასიათდება ნედლი, დია, ცუდად გამომშრალი ყელით, მფარავი ქერქლებიც ასევე არადამაკმაყოფილებლად არის გამომშრალი და მცირე რაოდენობით. ამიტომ ტენის დანაკარგი მოუმწიფებელ ბოლქვებში მაღალია მომწიფებულთან შედარებით. მომწიფებულ ბოლქვებში მფარავი ქერქლების მეტი რაოდენობა გვაქვს, რომელიც მტკიცედ ეკვრის ბოლქვს, ყელი

მკვრივია, მშრალი, უკეთ ინახავს ტენს და ხელს უშლის პარაზიტული დაავადებების გაჩენას. 5-6 მფარავი ქერქლით დაფარული მომწიფებული ბოლქვი თრჯერ ნაკლებ წონას კარგავს, ვიდრე 2-3 მფარავი ქერქლით დაფარული მომწიფებული ბოლქვი. გადამწიფებული ბოლქვები ჩქარა კარგავენ მფარავ ქერქლებს, რის გამოც ბოლქვები და კბილები ღიად რჩებიან, კარგავენ დიდი რაოდენობით ტენს, ქვეითდება სასაქონლო ხარისხი და შენახვისუნარიანობა. რაც უფრო პატარაა ბოლქვი, მით მეტ წყალს აორთქლებს თანაბარ პირობებში.

როგორც აღინიშნა, ბოლქვის ქიმიური შედგენილობა დიდ გავლენას ახდენს წყლის აორთქლების ინტენსივობაზე: რაც უფრო დიდა მათში კოლოიდური ბუნების ქიმიური ნაერთები, როგორიცაა ცილები, პექტინოვანი ნივთიერებები, რთული ნახშირწყლები და სხვ., მით მეტია ნედლ ქსოვილებში კოლოიდებთან შეკავშირებული წყალი და მით მცირეა თავისუფალი წყლის აორთქლების ინტენსივობა. გაზაფხულზე ბოსტნეულიდან წყლის აორთქლების ინტენსივობის ზრდა გამოწვეულია კოლოიდების დაბერებით და მათში ტენშეკავების უნარის დაჭვეითებით. მეცნიერთა მონაცემებით თავისუფალი წყალი ნიორში 24-29%, ხოლო ბმული წყალი 30-40%.

როგორც ცხრილებიდან 13 და 14 ჩანს, უჯრედის ტენშეკავების უნარი ჯიშ გორულში უფრო მაღალია, ვიდრე ჯიშ პოლი თემში, ხოლო პოლიმერულ მასალაში შენახული ნედლეულის ტენშეკავების უნარი იზრდება. ამის დასტურია ცხრილებში (ცხრილები 13 და 14) მოცემული ტენშემცველობა შენახვის სხვადასხვა ვარიანტში. თუ ვიანგარიშებთ, რამდენია ბუნებრივი კლების დროს წყლის აორთქლებით გამოწვეული დანაკარგი, მაშინ უფრო მკაფიო სურათს მივიღებთ (იხ. ცხრილი 9).

ტენის მარკებისა და პექტინოვან ნივთიერებათა ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს
ჯიში გორული

№	ვარიანტი	ცდის ჩატარების თარიღი	ტენის მარკების ცვალება %	პექტინი %		
				წყალში ხსნადი პექტინი	წყალშიუხსნადი პექტინი	საერთო პექტინი
1.	40 მეტ სისქის პეპ			მ ნ ბ		
				X	62,0	1,9
				II	61,83	1,5
2.	60 მეტ სისქის პეპ			X	62,0	1,9
				II	61,0	2,0
3.	პოლიმერული რეზინის აპკი			X	62,0	1,9
				II	61,8	-
				V	61,1	1,2
4.	საკონტროლო			X	62,0	1,9
				II	59,5	-
				III	59,1	2,0

	1. 40 გვერდის სისქის პერიოდი	გვერდის სისქის პერიოდი				
		X	60,37	1,7	1,1	2,8
II	59,3			1,8	0,1	1,9
2. 60 გვერდის სისქის პერიოდი	X	60,37		1,7	1,1	2,8
II	59,19			1,0	-	1,0
3. პოლიმერული რეზინის აპკი	X	60,37		1,7	1,1	2,8
II	59,8			-	-	-
V	59,9			1,1	0,1	1,2
4. საკონტროლო	X	60,37		1,7	1,1	2,8
II	59,1			-	-	-
III	58,21			1,9	-	1,9

ტენის მარკებისა და პექტინოვან ნივთიერებათა ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს
ჯიში პოლიოტი

№	გარიანტი	ცდის ჩატარების თარიღი	ტენის მარკების ცვალება %	პექტინი %		
				წყალში ხსნადი პექტინი	წყალშიუხსნადი პექტინი	საერთო პექტინი
1.	40 მეტ სისქის პექ			მ ნ ბ		
				X	60,7	1,9
				II	59,8	2,0
2.	60 მეტ სისქის პექ		X	60,07	1,9	0,39
			II	60,00	1,0	0,1
3.	პოლიმერული რეზინის აპკი		X	60,07	1,9	0,39
			II	59,1	-	-
			V	58,05	1,1	0,2
4.	საკონტროლო		X	60,07	1,9	0,39
			II	58,2	-	-
			III	57,9	2,2	-
						1,0

	1. 40 გვერდის სისქის პერიოდი	გვერდის სისქის პერიოდი				
		X	II	III	IV	V
2.	60 გვერდის სისქის პერიოდი	X	60,37	1,1	1,2	2,3
		II	60,00	0,9	0,9	2,8
3.	პოლიმერული რეზინის აპკი	X	60,37	1,1	1,2	2,3
		II	59,8	-	-	-
4.	საკონტროლო	X	60,37	1,1	1,2	2,3
		II	58,0	-	-	-
		III	57,88	2,0	-	2,0

მოცემული ცხრილიც იგივეს ადასტურებს. ე. ი. წყლის აორთქლების ინტენსივობით გამოირჩევა ჯიში პოლიოტი, ხოლო ჯიში გორული უფრო მაღალი ტენშეკავების უნარით ხასიათდება. ამ პროცესის შედეგი ვიზუალურადაც ჩანს: მაისის ბოლოს გორულის ბოლქვები ახალშემოსულივით ნედლი და „წვნიანია“ პოლიოტან შედარებით. ამ თვისების გამო ჯიში გორული უტოლდება პოლიოტს შენახვისუნარიანობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ გორული შეიცავს ეთერზეთების მცირე რაოდენობას პოლიოტან შედარებით: ტენშეკავების მაღალი უნარი მის შენახვისუნარიანობას ზრდის და ეთერზეთების „ცხარე“, მიკროორგანიზმებისადმი მდგრად ჯიშ პოლიოტის შენახვისუნარიანობას უტოლებს. ამიტომ პრა-ში შენახული ორივე ჯიში ერთნაირი შენახვისუნარიანობით ხასიათდება.

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისით პეპ-ში შენახულ ვარიანტებზე. რაც უფრო სქელია პოლიეთილენი, მით შეფერხებულია წყლის აორთქლება, მაგრამ იმავდროულად სუსტდება გაზთაცვლა და სუნთქვა. ცხოველქმედების დროს გამოყოფილი წყლის ორთქლი პოლიეთილენის პარკის (პეპ) პედლებზე კონდენსირდება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მიკროორგანიზმების განვითარებისათვის. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პოლიეთილენის ოპტიმალური სისქის შერჩევა. ამ მხრივ ჩვენი ვარიანტებიდან უკეთეს შედეგს გვაძლევს 40 მკმ სისქის პოლიეთილენის პარკები.

პრა-ში შენახული ნივრის სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობის მიხედვით შეიძლება დაგამყაროთ კორელაციური დამოკიდებულება კარგ შენაზხვისუნარიანობასა და ბოლქვების მაღალი ტენშეკავების უნარს შორის.

3.6 ნახშირწყლების ცვალებადობა ნიორში შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით

ნიორში, ისევე როგორც სხვა ბოსტნეულში, შენახვის დროს ხდება მაღალმოლეკულური ნახშირწყლების დაშლა მარტივ შაქრებად. [19, 98, 38]

ნიორი ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტია. ნახშირწყლებიდან ნიორში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ოლიგოსაქარიდები, მცირე რაოდენობით მონოსაქარიდები, ასევე გვხვდება მაღალმოლეკულური პოლისაქარიდები – სახამებელი, ინულინი და სხვა.

ამ საქარიდებიდან რედუცირებული შაქრები და ოლიგოსაქარიდები კარგად იხსნებიან როგორც წყალში, ასევე სპირტში, ხოლო მაღალმოლეკულურნი წარმოდგენილნი გლუკოფრუქტოზანების სახით წყალში (უმეტესად ცხელ წყალში) ხსნადები არიან. ამიტომ რედუცირებული შაქრები და ოლიგოსაქარიდები პოლისაქარიდებისაგან შეიძლება დავაცალკევოთ სპირტით, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რედუცირებული შაქრები, ოლიგოსაქარიდები, პოლისაქარიდები და საერთო შაქრები.

წარმოდგენილი ლიტერატურული მონაცემები ნიორის შემადგენელ ნახშირწყლებზე ემთხვევა ექსპერიმენტის შედეგებს. (ცხრილები 11 და 12) შენახვის დასაწყისში ყველა ვარიანტში რედუცირებული შაქრების შემცველობა მცირეა, ხოლო სამარაგო სახით წარმოდგენილი ოლიგოსაქარიდები და გლუკოფრუქტოზანების შემცველობა მაღალია, ჯამში მათი

პროცენტული შემცველობა მერყეობს ≈28-30%-ის ფარგლებში და იცვლება ჯიშისა და დარგვის ვადებისგან დამოკიდებულებით. საწყის ნედლეულში ყველაზე დიდი რაოდენობით საქარიდებს შეიცავს ჯიში პოლიოტი. შენახვის პროცესში მცირდება მხოლოდ სამარაგო ნახშირწყლები – ოლიგოსაქარიდები, მცირედ იცვლება (მცირდება) პოლისაქარიდების რაოდენობა. შენახვის პროცესში საკონტროლო ვარიანტში იხარჯება დიდი რაოდენობით ოლიგოსაქარიდები, რომლებიც ხმარდებიან ნაყოფში მიმდინარე სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებს. (ცხრ. 11, 12) პრა-ში ოლიგო- და პოლისაქარიდების ჯამი საწყისთან შედარებით უმნიშვნელოდ არის შემცირებული. ამ თვალსაზრისით პოლიმერული რეზინის აპკი ხელსაყრელია, რადგან ძირითადი ქიმიური ნივთიერების – შაქრების შემცველობა ნედლეულში საწყისთან შედარებით უმნიშვნელოდაა შემცირებული.

შენახვის დროს ნივრის ქიმიური შედგნილობის ცვალებადობა, განსაკუთრებით ოლიგო- და პოლისაქარიდებისა, განპირობებულია ჰიდროლიზური ფერმენტების აქტივობის ზრდით. თუ დავაკვირდებით შენახვის დროს ოლიგო- და პოლისაქარიდების დინამიკას, შეგვიძლია გავიგოთ ფრუქტოფურანოზიდაზის გაქტიურების დასაწყისი მოცემულ ვარიანტებში.

β – ფრუქტოფურანოზიდაზის ჰიდროლიზური მოქმედების გააქტიურება საკონტროლო ვარიანტში შეინიშნება უკვე დეკემბრის ბოლოს, მაშინ როცა ამ ფერმენტების აქტივობა პრა-ში შეინიშნება მხოლოდ აპრილში, პეპ-ში კი – იანვრის თვეში.

შეფარდება საქართვა/მონოზა გ 1-ზე, ბოსტნეულის კარგი
შენახვისუნარიანობის მაჩვენებელია. ცხრილები 15 და 16
გვიჩვენევს ნივრის შენახვის სხვადასხვა ეტაპზე ფარდობას
ოლიგოსაქარიდი/მონოსაქარიდი რიცხვითი კოეფიციენტების
სახით. შენახვის პროცესში ეს კოეფიციენტი თანდათან
კლებულობს; ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრია
საკონტროლო ვარიანტში. პრა-ში კოეფიციენტის შემცირება
უფრო ნელა მიმდინარეობს.

ჰიდროლიზური მოქმედება ფერმენტის გენაცულ ნიორში იწყება მაშინ, როცა ხდება მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლა და გაღივების პროცესისი დაწყება, ამ დროს ნიორში ადგილი აქვს ანატომიურ და ბიოქიმიურ ცვლილებებს.

ანატომიური ცვლილებებიდან: ზრდის კონუსის წაგრძელება, ყვავილების ჩასახვა, რქის განვითარება

ბიოქიმიური ცვლილებებიდან: ზრდის კონუსში რნმ-ის
წარმოქმნა და დაგროვება, ამინომჟავების დაგროვება, კვირტებში
შაქრის და „C“ ვიტამინის დაგროვება. ყველა ეს ცვლილება
კვირტების დიფერენციაციის სახელითად ცნობილი. ყველა ეს
პროცესი ცოცხალ უჯრედში ენერგიის ხარჯვასთან არის
დაკავშირებული. ამ დროს საჭირო ენერგიას ცოცხალი უჯრედი
პირველ რიგში შაქრების დაშლის ხარჯზე იღებს, [40] ეს კი
შაქრების დამშლელი ფერმენტის მეშვეობით ხდება. ფერმენტი β
- ფრუქტოფურანოზიდაზა პოლიმერული რეზინის აპგში
შენახულ ნედლეულში აქტიურდება მაისის თვეში, როცა
ინტენსიურია სუნთქვა, კბილანების გადანაჭერში კარგად ჩანს
ჩანასახიდან განვითარებული ფესვაკი და დერაკი.

მონოლიგოსაქარიდების ურთიერთ თანაფარდობის დინამიკა ნივრის შენახვის დროს
ჯიშის გორულის

№	ჯიშის დასახელება	ანალიზის ჩატარების დრო	საკონტროლო			პოლიმერული რეზინის აპე		
			მონოსა ქარიდი კარიდი	ოლიგო საქარიდი	<u>ოლიგოსაქარიდი</u> მონოსაქარიდი	მონოსა ქარიდი კარიდი	ოლიგო საქარიდი	<u>ოლიგოსაქარიდი</u> მონოსაქარიდი
1.	გორული შენ	ოქტომბერი	20.4 1.7	12	1.7	20.4	12	
2.		დეკემბერი	18.3 1.9	9.6	1.9	19.3	10.2	
3.		თებერვალი	15.2 1.5	10.1	1.8	19.3	10.1	
4.		მარტი	13.6 1.0	13.6	1.8	19.0	10.6	
5.		მაისი	-	-	1.5	18.3	12.2	

			-					
1.	გორული გნა	ოქტომბერი	1.5	22.1	14.7	1.5	22.1	14.7
2.		დეკემბერი	1.6	18.5	11.6	1.5	19.9	13.2
3.		თებერვალი	1.7	15.5	9.1	1.7	19.7	11.2
4.		მარტი	1.7	15.2	8.9	1.9	19.7	10.2
5.		მაისი	-	-	-	1.9	19.6	10.3

მონოლიგოსაქარიდების ურთიერთ თანაფარდობის დინამიკა ნივრის შენახვის დროს

ჯიში პოლიოტი

№	ჯიშის დასახელება	ანალიზის ჩატარების დრო	საკონტროლო			პოლიმერული რეზინის აპკი		
			მონოსა ქარიდი	ოლიგო საქარიდი	ოლიგოსაქარიდი	მონოსა ქარიდი	ოლიგო საქარიდი	ოლიგოსაქარიდი
1.	პოლიოტი შემ	ოქტომბერი	1.84	21.04	11.4	1.84	21.04	11.4
2.		დეკემბერი	1.58	20.7	13.1	1.91	20.9	10.9
3.		თებერვალი	1.95	18.1	9.3	2.00	19.7	9.8
4.		მარტი	1.1	13.29	12.1	2.21	18.5	9.2
5.		მაისი	-	-	-	2.00	17.7	8.8

1.		ოქტომბერი	1.63	22.61	13.9	1.63	22.61	13.9
2.	პოლიოტი გნა	დეკემბერი	1.3	19.1	14.5	1.7	20.9	12.3
3.		ოქტომბერი	1.2	17.2	14.3	1.9	20.7	10.1
4.		მარტი	-	16.13	16.13	2.1	20.6	9.8
5.		მაისი	-	-	-	2.5	20.25	8.1

მონოლიგთსაქარიდების ურთიერთ თანაფარდობის დინამიკა ნივრის ჯიშის პოლიობის

შენახვის დროს

№	ჯიშის დახურვის დრო	ანალიზის ჩატარების დრო	საკონტროლო			პოლიმერული რეზინის აპე		
			მონოსა	ოლიგო	ოლიგოსაქარიდი	მონოსა	ოლიგო	ოლიგოსაქარიდი
			ქარიდი	საქარიდი	მონოსაქარიდი	ქარიდი	საქარიდი	მონოსაქარიდი
1.	პოლიოტი შნა	ოქტომბერი	1.84	21.04	11.4	1.84	21.04	11.4
2.		დეკემბერი	1.58	20.7	13.1	1.91	20.9	10.9
3.		ოქტომბერი	1.95	18.1	9.3	2.00	19.7	9.8
4.		მარტი	1.1	13.29	12.1	2.21	18.5	9.2
5.		მაისი	-	-	-	2.00	17.7	8.8

1.		ଓଡ଼ିଆମ୍ବାରୀ	1.63	22.61	13.9	1.63	22.61	13.9
2.	ବ୍ୟାଙ୍ଗନୀଯାକ ଧର୍ମ	ପ୍ରଦୀପାର୍ଥୀ	1.3	19.1	14.5	1.7	20.9	12.3
3.		ମହାଶ୍ରଦ୍ଧାରୀ	1.2	17.2	14.3	1.9	20.7	10.1
4.		ପାର୍ବତୀ		16.13	16.13	2.1	20.6	9.8
5.		ପାର୍ବତୀ	-	-	-	2.5	20.25	8.1

ნახშირწყლებიდან მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია პექტინოვანი ნივთიერებები. [71] პექტინოვანი ნივთიერებები მცენარის სამარაგო ნივთიერებებია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ნახშირწყლების ბმებში. როგორც ლიოფილური კოლოიდები პექტინოვანი ნივთიერებები განაპირობებენ უჯრედის პროტოპლაზმის წყალშეკავების თვისებას. მცენარეში პექტინი იმყოფება ორი ფორმით: წყალში ხსნადი და წყალში უხსნადი (პროტოპექტინის) სახით. ფერმენტ ჰიდროლაზების მონაწილეობით წყალში უხსნადი პექტინი გადადის წყალში ხსნად პექტინში და ზრდის წყალში ხსნადი პექტინის რაოდენობას. ასეთი ცვლილებები ხდება ნივრის შენახვის დროსაც, რაც ჩანს ცხრილების 13 და 14-ის მონაცემებიდან. ნივრის შენახვის დროს საკონტროლო ვარიანტში იზრდება ხსნადი პექტინის რაოდენობა, შენახვის ბოლოს საერთო პექტინის რაოდენობა შემცირებულია და ეს ცვლილება შეადგენს პოლიოტის შნმ-ში 40,3%-ს საწყის რაოდენობასთან შედარებით, იგივე ჯიშის გნმ-ში 39%-ს საწყის რაოდენობასთან შედარებით. პოლიეთილენის პარკებში და პოლიმერული რეზინის აპკებში შენახულ ნიორში პექტინის რაოდენობა უმნიშვნელოდ მცირდება.

3.7 ჟანგვა-აღდგენითი პროცესების დინამიკა ნივრის შენახვის დროს ვარიანტების მიხედვით

ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, პირველ რიგში სუნთქვა, ითვლება მნიშვნელოვან პირობად შენახვის დროს მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცეში. ნივროს შენახვის დროს სუნთქვის ინტენსივობა დამოკიდებულია შენახვის ტემპერატურაზე, ვენტილაციაზე, ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე, საცავში ატმოსფერული აირების შემადგენლობაზე, შენახვის პერიოდზე, სიმწიფის ხარისხზე, ჯიშსა და სახეობზე, ბოლქვის გარეგან და შინაგან აღნაგობაზე, ქიმიურ შედგენილობაზე, ბოლქვის მავნებლის სახეზე და მრავალ სხვა ფაქტორზე.

ხანგრძლივი შენახვის დროს, განსაკუთრებით მაღალ ტემპერატურაზე, ნიორში არასრული ჟანგვითი პროდუქტების აღდეპიდების, სპირტების და სხვა ნივთიერებათა შემადგენლობა იზრდება. ნიორში მაცივარში 9 თვის შენახვის შემდეგ აღდეპიდები შეადგენდა 2,6 მგ %-ს და სპირტი 92 მგ %-ს, ხოლო ფარდულში შენახული ნიორი შეიცავდა აღდეპიდებს 4,3 მგ %-ს და სპირტს 168 მგ %-ს, ნარჩენები ორჯერ მეტი იყო.

სუნთქვის ინტენსივობა ნიორში უფრო მაღალია, ვიდრე თავიან ხახვში. $0-2^{\circ}\text{C}$ -ზე შენახულ ნიორში სუნთქვის ინტენსივობა შეადგენდა 3 მგ CO_2 -ს კგ/სთ, ხოლო ხახვში 2 მგ CO_2 კგ/სთ-ს. ნიორისა და ხახვის სუნთქვის ინტენსივობა გაცილებით მცირეა კარტოფილთან, ჭარხალთან და კომბოსტოსთან შედარებით. [20, 56]

ანალიზის შედეგებით თუ ვიმსჯელებოთ (ცხრილები 9 და 10) შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ჯიშის ყველა ვარიანტში სუნთქვის ინტენსივობა ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის თვეში დაბალია და სტაბილური. იანვრიდან პეტში სუნთქვის ინტენსივობა ფეთქებადია. ასეთივე ცვლილება შეინიშნება საკონტროლო ვარიანტშიც. ამ პერიოდში საკონტროლო ვარიანტში სუნთქვის ინტენსივობა 2-ჯერ იზრდება საწყისთან შედარებით. 40 მკმ სისქის პარკებში ეს მაჩვენებელი ოდნავ აჭარბებს საკონტროლოს ორივე ჯიშის ორივე ვარიანტში. 60 მკმ სისქის პარკებში სუნთქვის ინტენსივობა ორივე ჯიშის ორივე ვარიანტში საკონტროლოსთან შედარებით დაბალია. პრა-ში კი სუნთქვის ინტენსივობის მატება თანდათანობით სტაბილურად იზრდება, ხოლო მაისის თვეში 2-3-ჯერ იმატებს საწყისთან შედარებით.

ასკორბინის მჟავა მონაწილეობს იღებს უანგვა-ალდგენით რეაქციებში და მისი შემცველობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ შენახული ხილ-ბოსტნეულის მდგომარეობაზე, მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ინტენსივობაზე. [40]

ექსპერიმენტული კვლევის დროს შეისწავლებოდა ასკორბინის მჟავის ცვლილებები ვარიანტების მიხედვით. შენახვის პროცესში ასკორბინის მჟავა ყველა ვარიანტში იკლებს. ნიორში ასკორბინის მჟავის შემცველობა აპრილამდე ჯიშ პოლიოტში შემცირდა საკონტროლოში 10%-მდე, 40 მკმ სისქის პეტში 11,7%-მდე, პრა-ში 13,2%-მდე. პრა-ში ასკორბინის მჟავის დანაკარგები მცირეა საკონტროლოსთან შედარებით. (ცხრილი 11,12). ეს მიანიშნებს მოცემულ ვარიანტებში ცხოველქმედების პროცესების დაჭვეითებას და პროდუქციის კარგ შენახვისობას.

3.8. ნივრის ეთეროვანი ზეთების ცვალებადობა შენახვის პროცეში და არომატული კომპონენტების განაწილება

3.8.1 ეთერზეთები. აქროლადი ნივთიერებები ყველა ხილში და ბოსტნეულშია გაგრცელებული, რომლებიც განსაკუთრებულ სუნსა და გემოს აძლევენ მას. ეთეროვანი ზეთები აქროლადი ნივთიერებების – სხვადასხვა სპირტების, ალდეკიდების, კეტონებისა და ოთული ეთერების ნარევია. ნიორიდან მიღებულია 28 აქროლადი კომპონენტი. ნივრის ეთერზეთებში ძირითადი კომპონენტებია: მონო-, დი- და ტრისულფიდები. აქროლადი ნივთიერებები ნიორში შეიძლება დავყოთ ნაკლებად აქროლად ნივთიერებებად, რომლებსაც მიეკუთვნებიან: დიალილდისულფიდი, 1,2-დიმერკაპტოციკლოპენტანი, 3-გინილ - 4Н -1,2-დითინი, 2-გინილ-4Н-1-დითინი და მაღალაქროლად ნივთიერებებად, რომლებსაც მიეკუთვნებიან: პროპენტიოლი, 1,2-ეპიტიოპროპანი, მეთილალილსულფიდი, დიალილსულფიდი, ტეტრაგიდრო-2,5-დიმეთილთიოფენი, მეთილპროპილდისულფიდი.

ეთეროვანი ზეთები პირველად შესწავლილ იქნა 1844 წ. გერტგეიმის მიერ. ა. ცვერგალის მიერ (1952 წ.) ჩატარებულ იქნა ძირფესვიანი შესწავლა ნივრის ეთეროვანი ზეთებისა. მან ნივრიდან მიიღო ზეთის 23 ფრაქცია. ეთეროვან ზეთებში გოგირდის შემცველობის მიხედვით ვლინდება მათი სხვადასხვა ეკოლოგიური წარმოშობა. ასე მაგალითად, შვეიცარიის ნიორი (ბაზელსკის საცდელი ბაზი) შეიცავს გოგირდს – 110-172გრ, ბერნის – 102 გრ, ესპანერი ველლაფრანკი 97 გრ, იტალიის (პიაჩენცი) 179 გრ, 100 გრ. მშრალ ნივთიერებაზე. ნიორის

ეთერზეთის ბაქტერიოციდული უნარი ფიტონციდური ნივთიერებებით არის გამოწვეული. ნიორის მიერ გამოყოფილი ფიტონციდები დიფტერიის ჩხირს კლავს.

ანალიზის შედეგები (ცხრილი 22) გვიჩვენებს, რომ გაზაფხულის პერიოდში ნიორის მერისტემულ და სამარაგო ქსოვილებში ეთერზეთების შემცველობა იზრდება.

საერთოდ ეთერზეთების ცვლა პეპ-ში და პრა-ში შენახულ ეგზემპლიარებში ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს, საკონტროლოსთან შედარებით. ამ ვარიანტში შენახვის პირველ ნახევარში შეინიშნება ეთერზეთების შემცირება. (ცხრილი 22), ხოლო შენახვის ბოლოს ეთერზეთების შემცველობის მატება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაგროვილი დაშლის პროდუქტები ორგანულ ნივთიერებებისა ნიორში, რომელიც შენახულია საკონტროლო ვარიანტად, ხელშემწყობი პირობაა ეთეროვან ზეთებში შემავალი კომპონენტების გაძლიერებული სინთეზისა.

ექსპერიმენტის პერიოდში ნივრის ეთეროვანი ზეთების გამოსაყოფად და შესასწავლად ცდები ჩატარებულ იქნა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრაზე. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდი. ეთერზეთებიდან გამოვყავი ორი ფრაქცია თითოეულ ვარიანტში. ფრაქციები დაყოფილია ხვედრითი წონის მიხედვით წყალზე მძიმე და წყალზე მსუბუქ ეთერზეთებად. ეთერზეთების გამოხდა წარმოებდა შენახვის დასაწყისში (ოქტომბერი), შენახვის შუალედში (თებერვალი) და შენახვის ბოლოს (ივნისის

დასაწყისი). თითოეული ფრაქცია გატარებულ იქნა ხელსაწყო – ქრომატოგრაფში და მიღებული პიკების მიხედვით (ფართობის გამოთვლით) გავიგეთ ეთერზეთების %-ული რაოდენობა (ცხრილი 22) ცხრილიდან ჩანს, რომ პოლიოტი გაცილებით უფრო მეტ ეთერზეთს შეიცავს, ვიდრე გორული და ასეთი შემცველობა გრძელდება შენახვის ბოლომდე. შენახვის დროს ეთერზეთების მომატება შეიმჩნევა ორგანოლეპტიკურადაც. პრა-ში მოთავსებულია ნიორი შენახვის ბოლოს ეთერზეთებს აპკის გარეთაც გამოყოფს, რაც შეინიშნება მაცივარ-საკანში. შუალედური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ჯერკიდევ თებერვლის ბოლოს ეთერზეთების რაოდენობა თითქმის არ იცვლება, ზოგიერთ ვარიანტში მცირედ არის მომატებული, ხოლო შენახვის ბოლოს რამდენიმე ერთეულით გაზრდილია (ცხრილი 22).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნიგრის შემცველი აქროლადი კომპონენტები მჭიდრო კავშირშია აზოტის მეტაბოლიზმთან, რომელსაც ადგილი აქვს ამინომჟავებისა და მისი წარმოებულობის ბიოსინთეზის დროს, ხოლო ამინომჟავების ინტენსიური ბიოსინთეზი შენახვის ბოლოს ხდება, როცა მიმდინარეობს კვირტების დიფერენციაციისთვის მზადება. ყოველივე ეს ანალიზის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ჩვენს შემთხვევაში შეინიშნება მარტი, აპრილი, მაისისპერიოდში შესაბამისად ვარიანტების მიხედვით. [40, 36, 104]

ჟოერზების ცვალებადობა ნიორზი შენახვის დროს

N _o		აირგის შემაღლებელობა %-ში	N ₂	ნეელად აქროლა	ჟოერზები მდ %	ცდის ჩატარების დრო
1.	CO ₂	CO ₂	N ₂	აქროლა დ	საერთო	
	0,03	21,0	78,0	39,3	1,3	40,6
	0,03	21,0	78,0	40,3	0,13	40,43
	2,5	16,0	81,5	37,9	2,1	39,0
	2,9	17,0	80,5	37,41	1,5	38,91
	6,0	12,0	82	40,23	1,9	41,23
	5,0	14,5	80,5	41,2	0,93	42,13
	7,5	13,0	79,5	41,0	1,3	42,3
	7,5	10,5	82	43,0	0,19	43,39
	0,03	21,0	78,0	36,6	0,66	37,36
2.	გორულის გენ	0,03	21,0	78,0	40,0	40,4
	3,0	17,0	80,0	35,95	1,05	37,0
	2,0	18,0	80,0	39,07	0,93	40,0
	5,0	13,0	82,0	37,13	0,97	38,1
	7,0	13,0	80,0	40,69	0,61	41,3
	8,0	12,0	80,0	40,0	4,0	44,0
	9,0	10,0	81,0	42,5	0,37	42,87


3.8.2. არომატული კომპონენტების განაწილება ნივრის სხვადასხვა ქსოვილში და მისი რაოდენობრივი განსაზღვრა ქრომატოგრაფიით

ნივრის კბილის სიგრძივ განაჭერში თვალსაჩინოდ გამოკვეთილია სხვადასხვა ქსოვილები. მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა როგორ ნაწილდებოდა თითოეული სახის ქსოვილში არომატული ნივთიერებები, რომელშიც მოიაზრება თიოსულფინატი და პირუვატი და როგორი იყო ეს სურათი შენახვის ბოლოს.

საანალიზო ნიმუშად აღებული ნივრის კბილები დავყავით 5 ნაწილად.

ნივრის თავს ყოფენ კბილებად და აცლიან მფარავ ქერქლს, კბილს ჭრიან ზუსტად შუაზე და აცალკევებენ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შიგა ქსოვილები, ფოთოლაკები (4)


(ემბრიონალური ფოთლები) ბოლოვდება მომწვანო-მოყვითალო წვეროთი და ბოტანიკურად არ გაცალკევდება ფუძისაგან (5) რომელზეც ფოთოლაკებია დამაგრებული. მფარავი ფურცელი(1) ზევიდან კანივით ეკვრის რბილობს (2). კბილის განაჭერის სიღრმეში მოთავსებულია ჩანასახი (3).



ცალკეულ ქსოვილებზე ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ
არომატული კომპონენტები არათანაბარი რაოდენობითაა
განაწილებული მათში. არომატის ინტენსივობა განისაზღვრებოდა
ფერმენტალიინაზას მოქმედებით ნივთიერებაზე, რომელიც სუნსა
და გემოს განაპირობებდა. ეს ნივთიერებაა ამინომჟავა ალიინი,
რომელსაც ნივრის სპეციფიკური სუნი არა აქვს. სუნი
წარმოიქმნება ალიინის ფერმენტული გახლების შედეგად.

კაგშირი პირუვატსა, თიოსულფინატსა და რეაქციის დროს
წარმოქმნილ ცისტეინს შორის შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი
ტოლობით:

ალიინაზა



S – ალკ(ენ)ინ – L – ცისტეინი სულფოქსიდთიოსულფინატი +



პიროყურძენმჟავა

თიოსულფინატის განსასაზღვრავად ნივრის კბილების შემადგენელი ქსოვილების ცალკეულ ნაწილებს აქცემაცებენ ფაფისებრ კონსისტენციამდე და ურევენ 9W გ. წყალს 0°C-ზე, სადაც W არის ქსოვილის წონა. დისპერსიულ (შენჯღრევით მიღებულ) ხსნარს ფილტრავენ აბრეშუმის ფილტრში და ანჯღრევენ ორმაგი მოცულობის ჰექსანის დამატების შემდეგ. ეს პროცედურა შეძლებისდაგვარად ჩქარა უნდა წარიმართოს. წინასწარ ნივრის თავები მდნარ ყინულში 1 საათის განმავლობაში.

პიროყურმენმჟავა მარილი (პირუვატი). საერთო პირუვატის განსასაზღვრავად (P_T) გამოიყენება იგივე ექსტრაქტი ქსოვილებისა, რაც თიოსულფინატის ანალიზში გამოვიყენეთ. საჭიროა განისაზღვროს საკონტროლო პირუვატი P_C – რომელიც ფერმენტული გახლების შედეგად არ წარმოქმნილა. ფერმენტულ გახლებაში იგულისხმება იმ ნივთიერებების ფერმენტული რეაქციები, რომლებიც წარმოქმნიან სუნსა და გემოს.

საკონტროლო პირუვატის განსაზღვრისათვის წინასწარ ამჟღავებენ საანალიზო მასალას – ნიორის მთლიან კბილებს, ფერმენტების ინპიბიტორი ნივთიერება – ტრიქლორმარმჟავათი. ფერმენტული გახლების გზით წარმოქმნილი პირუვატი P_E მიიღება სხვაობით (P_T-P_C). ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილებში 20 და 21.

თიოსულფინატის კონცენტრაცია ნივრის ცალკეულ ქსოვილში

№	ქსოვილის ნაწილები	ქსოვილის ქონიგონები (გ)	მოდებული აღნიშვნა მონაცემები %-ზე გათვალისწინებული ათვებულ აღნიშვნები	თიოსულფინატი		
				განაკვეთი გ/კონკრეტული მონაცემი	განაკვეთი გ/კონკრეტული მონაცემი	აღნიშვნა მონაცემი
1.	მფარავიქერქლი	0,11	3,1	0,06	0,01	0,01
2.	რბილობი	2,78	79,4	42,2	117,3	90,4
3.	ჩანასახი	0,28	8,0	21,5	6,1	4,7
4.	ფოთოლაკი	0,16	4,6	19,0	3,0	2,6
5.	ფუძე	0,17	4,9	19,6	3,3	2,5

- ა) საერთო წონა ნაწილებისა №1-5 შეადგენს 3,5 გრ
- ბ) საერთო კონცენტრაცია ნაწილებში №1-5 არის 129,7 მკმოლი. მთლიანად აღებულ მასაზე (3,5 გრ) მოდის 129,7 მკმოლი თიოსულფინატი ყოველ 1 გრ ნიორზე მოდის 37,1 მკმოლი თიოსულფინატი.

3

იტუვატის კონცენტრაცია

ნივრისცალკეულ ქსოვილში

№	ქსოვილის ნაწილები	პ ირუვატი						დამოკიდებულება თითის უკანასკნელი საერთო
		P _T მკმოლი/გ წონა ცალკეულ ქსოვილებთან	P _C მკმოლი/გ წონა ცალკეულ ქსოვილებთან	P _E მკმოლი/გ წონა ცალკეულ ქსოვილებთან	P _L საერთო რაოდენობა ქსოვილებში გენტი	წონასთან %		
1.	მფარავი ქერქი	2,65	2,53	0,12	0,01	0,01	2,00	
2	ღბილობი	129,9	5,07	124,8	346,90	90,2	2,98	
3	ჩანასახი	68,3	3,13	66,2	18,26	4,8	3,01	
4.	ფოთოლაკი	58,8	2,40	56,4	9,02	2,4	2,97	
5	ფუძე	64,3	3,27	61,0	10,37	2,7	3,13	

ა) საერთო რაოდენობა P_L ნაწილებში № 1-5 შეადგენს 384,56 მკმოლს, როგორც ცხრილებიდან ჩანს არომატული ნივთიერებების 90%-ზე მეტი მოდის რბილობზე. პირუვატი P_E, რომელიც მიღებულია ფერმენტული გახლების შედეგად რბილობის ქსოვილებში თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ცალკეულ ქსოვილში.

არსებული არასაკმარისი ინფორმაცია მეტაბოლიზმზე
არაორგანულ აზოტსა, გოგირდსა და იმ ორგანული
ნივთიერებების სინთეზზე, რომელიც განაპირობებს ნივრის სუნსა
და გემოს, არ იძლევა მყარი დასკვნების გაკეთების საშუალებას,
თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნივრის ძირითადი მერისტემული
ქსოვილი, რომელშიც თავმოყრილია სამარაგო ნივთიერებები,
მდიდარია ეთერზეთებით და სუნისა და გემოს გამომწვევი სხვა
კომპონენტებით.

თვალსაჩინოა რომ S-ალკ/ენ/ილ – L- ცისტეინსულფოქსიდი,
რომელიც თავმოყრილია მერისტემულ ქსოვილში ვლინდება
გოგირდის საჭირო წყაროდ შენახვის პროცესში ნივთიერებათა
ცვლის დროს. ამინიმუმავა ცისტინი, როგორც ამინიმუმავათა დიდი
უმრავლესობა L რიგს ეკუთვნის, კარგად შეითვისება მცენარის
მიერ და ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა პროცესში ადვილად
ერთვება. იგი ამინიმუმავა ალიინის ფერმენტული გახლების
პროდუქტია და შედის მცენარეულ ცილებში ყველაზე უფრო
ხშირად შემსვედრ 20 ამინიმუმავას შორის.

3.9. პოლიმერული რეზინის აპკში აიროვანი შედგენილობის ცვალებადობის დინამიკა შენახვის მთელ პერიოდში

ექსპერიმენტული მუშაობის შედეგების ანალიზი საშუალებას
გვაძლევს დაგასკვნათ, რომ აღებული ვარიანტებიდან ყველაზე
კარგი შედეგები მივიღეთ ვარიანტში „ოპტიმალური რეზინის
აპკი“ (პრა). პრა-ში მოთავსებული ნიორი ახალი მოსავლის

მიღებამდე (ივნისის დასაწყისში) ინარჩუნებდა სასაქონლო ხარისხს.

პოლიმერული რეზინი აპკის სახით ეპგრის მასში მოთავსებული ნიორის მასას, რადგანაც მისგან ჰაერი გამოტუმბულია და ნაწილობრივ შექმნილია ჰაერის გაუხმოება. რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს მხოლოდ ბიოლოგიურ ვაკუმთან და აქ არ იგულისხმება ტექნიკური ვაკუუმი. თითოეული პოლიმერული რეზინის აპკი ჩადებულია კონტეინერში. პრა შენახვის ბოლომდე ინარჩუნებს ბიოგაკუუმს, მდგარადია საცავში შექმნილი დაბალი ტემპერატურისა და ტენის მიმართ, საკმაოდ ელასტიურია და ადგილად არ იხევა თვით იმ დროსაც კი, როცა მას ნივრის გახევებული „ისარი“ ედება და ჰაერი იტუმბება, ამ დროს მასში დაახლოებით 0,5 ატმ წნევა იქმნება. მისი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით პრა შიგთავსით ფრთხილად იდება კონტეინერში. შენახვის დროს პოლიმერულ რეზინში მოთავსებული ნიორი, როგორც ყველა სხვა მცენარეული ნედლეული, განაგრძობს სუნთქვას. ამ დროს პრას შიგთავსში ხდება CO_2 -ის კონცენტრაციის ზრდა და O_2 -ის კონცენტრაციის შემცირება, რაც შენახვის ბოლომდე გრძელდება. ექსპერიმენტის დროს შესწავლილი იქნა პრა-ში აიროვანი შედგენილობის ცვალებადობის დინამიკა ნივრის შენახვის მთელ პერიოდში. კვლევა ჩატარდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის ადსორბციის ლაბორატორიაში და ხელმძღვანელობდა ამ ლაბორატორიის გამგე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ოკუჯავა. აიროვანი შედგენილობის განსაზღვრა ხდებოდა გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდით ხელსაწყოზე, რომელიც „პოლიხრომის“ სახელწოდებით მოიხსენიება.

აიროვანი შედგენილობის შესასწავლად აღებული იყო ფიქსირებული სინჯები, რომელიც ინახებოდა დაბალ ტემპერატურაზე მაცივარში და პერიოდულად ხდებოდა „შიგთავსის ამოდება“ და „პოლიხრომში“ გატარება. რადგან შენახული ნივრის გარემოში ბიოგაკუუმი იყო და აირის მოტანა რეზინის მასალიდან შპრიცით ძნელდებოდა, საჭირო გახდა თითოეული სინჯის გათბობა; რის შედეგადაც გაზი გაფართოვდა, რეზინი აპკის სახით აღარ იყო შემოჭდობილი ნედლეულზე. გაცივების შემდეგ ბიოგაკუუმი კვლავ აღდგა და რეზინი კვლავ აპკის სახით შემოჭდო ბოლქვებს. ამოდებულ სინჯს ვაცივებდით ოთახის ტემპერატურაზე და ვუშვებდით დოზატორში. ანალიზები ტარდებოდა შენახვის დასწყისში, შენახვის ბოლოს და შენახვის მთელ პერიოდში ორი თვის ინტერვალით. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილ. 22 -ში. ცხრილიდან ჩანს, რომ შენახვის დასაწყისში პრა-ში აიროვანი შედგენილობა ატმოსფერულის მსგავსია და შემდგომ იცვლება შენახვის ხანგრძლივობის შესაბამისად.

ცხრილიდან ჩანს, რომ შენახვის მთელ პერიოდში, როგორც წესი, სუნთქვის დროს პრა-ში გვხვდებოდა ნახშირორჟანგი და მცირდებოდა უანგბადის კონცენტრაცია. ცხრილიდან ჩანს, რომ O₂-ის პროცენტული კლება პროპორციული არ არის CO₂-ის კონცენტრაციის მატებისა. ყოველ ვარიანტში (ნახშირორჟანგი) მომატებული CO₂ დაკლებულ O₂-ზე მცირება. სავარაუდოა, რომ CO₂-ის მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დიფუნდირდება შიგნიდან გარეთ, რასაც ცხრილის მონაცემებიდან ვხედავთ. მაგალითად, პოლიოტის გაზაფხულის ნარგაობაში O₂-ის %-ლი შემცველობა შემცირდა 10,5%-ით, ხოლ CO₂-მა იმავე პერიოდში მოიმატა 7,4%-ით. გორულის გაზაფხულის ნარგაობაში შენახვის

ბოლოს ჟანგბადი შემცირდა 11%-ით, ხოლო CO_2 -ის კონცენტრაციამ მოიმატა $\approx 9\%-ით$.

შენახვის ცალკეულ მონაკვეთში თუ O_2 -ის შემცირების ან იმავდროულად CO_2 -ის კონცენტრაციის მატების სიჩქარის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც მოსალოდნელი იყო, შენახვის დასაწყისში სუნთქვა ნელა მიდის და CO_2 -ის დაგროვების სიჩქარეც იზრდება. მაგალითად (ცხრ.ილი 22-ის მიხედვით) შენახვის პირველ ეტაპზე 4 თვის განმავლობაში გორულის გნაზი CO_2 -ის პროცენტული შემცველობა 0,03-დან მხოლოდ 2%-მდე გაიზარდა, შემდგომ 2 თვეში – 5%-ით, ხოლო მომდევნო ორ თვეში გაიზარდა 4%-ით. პოლიოტის გნაზი შენახვის პირველ ეტაპზე CO_2 -ის კონცენტრაცია 0,03%-დან გაიზარდა 2,5%-ით, შემდგომ ორ თვეში – გაორმაგდა, ხოლო მომდევნო ორ თვეში კიდევ იგივე ტემპით 2,5%-ით გაიზარდა. ასეთივე დინამიკა შეინიშნება სხვა ვარიანტებში.

ცდის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნივრის შენახვის ბოლოს პოლიმერული რეზინის აპკში გვაქვს ასეთი შედგენილობის რეგულირებული აიროვანი ნარევი:

$$\text{O}_2 \approx 11,1\%, \quad \text{CO}_2 \approx 8\%, \quad \text{N}_2 \approx 80,9\%.$$

მოცემული აიროვანი ნარევი აღებულ მასალაში ნივრის ხანგრძლივი შენახვისათვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

პოლიმერული რეზინის აკეში აიროვანი შედგენილობის ცვალებადობა

Nº		აირების შემადგენლობა %-%	CO_2	O_2	N_2	მნელად აქტოლა ლ	აღვილა საერთო	მგ %	ცდის
1.	<u>პოლიოტი გნე</u>	0,03	<u>21,0</u>	<u>78,0</u>		<u>39,3</u>	<u>1,3</u>	<u>40,6</u>	<u>ნატარების დრო</u>
		<u>0,03</u>	<u>21,0</u>	<u>78,0</u>		<u>40,3</u>	<u>0,13</u>	<u>40,43</u>	
		<u>2,5</u>	<u>16,0</u>	<u>81,5</u>		<u>37,9</u>	<u>2,1</u>	<u>39,0</u>	<u>იანვარი</u>
		<u>2,9</u>	<u>17,0</u>	<u>80,5</u>		<u>37,41</u>	<u>1,5</u>	<u>38,91</u>	
		<u>6,0</u>	<u>12,0</u>	<u>82—</u>		<u>40,23</u>	<u>1,9</u>	<u>41,23</u>	<u>მარტი</u>
		<u>5,0</u>	<u>14,5</u>	<u>80,5</u>		<u>41,2</u>	<u>0,93</u>	<u>42,13</u>	
		<u>7,5</u>	<u>13,0</u>	<u>79,5</u>		<u>41,0—</u>	<u>1,3—</u>	<u>42,3</u>	<u>მაისი</u>
		<u>7,5</u>	<u>10,5</u>	<u>82</u>		<u>43,0</u>	<u>0,19</u>	<u>43,39</u>	
		<u>0,03</u>	<u>21,0</u>	<u>78,0</u>		<u>36,6</u>	<u>0,66</u>	<u>37,36</u>	<u>ოქტომბერ</u>
		<u>0,03</u>	<u>21,0</u>	<u>78,0</u>		<u>40,0</u>	<u>0,40</u>	<u>40,4</u>	<u>0</u>
2.	<u>გორულის გნე</u>	<u>3,0</u>	<u>17,0</u>	<u>80,0</u>		<u>35,95</u>	<u>1,05</u>	<u>37,0</u>	<u>იანვარი</u>
		<u>2,0</u>	<u>18,0</u>	<u>80,0</u>		<u>39,07</u>	<u>0,93</u>	<u>40,0</u>	
		<u>5,0</u>	<u>13,0</u>	<u>82,0</u>		<u>37,13</u>	<u>0,97</u>	<u>38,1</u>	<u>მარტი</u>
		<u>7,0</u>	<u>13,0</u>	<u>80,0</u>		<u>40,69</u>	<u>0,61</u>	<u>41,3</u>	
		<u>8,0</u>	<u>12,0</u>	<u>80,0</u>		<u>40,0</u>	<u>4,0</u>	<u>44,0</u>	<u>მაისი</u>
		<u>9,0</u>	<u>10,0</u>	<u>81,0</u>		<u>42,5</u>	<u>0,37</u>	<u>42,87</u>	

4. დუშეთის რაიონის მაღალმთიან ზონაში ნივრის მოყვანის და ახალი ხერხით შენახვის მიზანშეწონილობა.

4.1. დუშეთის რაიონის აგროკულიმატური დახასიათება

დუშეთის რაიონი საქართველოს ერთ-ერთი დიდი რაიონია, რომელიც დიდ ფართობზე არის გადაჭიმული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამხრეთიდან იგი ესაზღვრება მცხეთის რაიონს, დასავლეთიდან ახალგორის რაიონს, აღმოსავლეთიდან თიანეთისა და ახმეტის რაიონებს, ხოლო ჩრდილოეთიდან ყაზბეგის რაიონს და ჩეჩენ-ინგუშეთს. დუშეთის რაიონი ძირითადად მთაგორიანი რაიონია. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მთებსა და ქედებს, მდინარეთა ხეობებს, მხოლოდ მისი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში ვხვდებით ვაკე და ბორცვიან ადგილებს, რომელთაც რაიონის ტერიტორიის უმნიშვნელო პროცენტი უკავიათ, რაიონში გამოიყოფა სამი მაღალმთიანი კუთხე: მთიულეთი, ფშავი და ხევსურეთი, რომელთაგან უკანასკნელია ცნობილი მაღალი მთებითა და მიუვალი ჭიუხებით, მდინარეთა ხეობებითა და მკაცრი ბუნებრივი პირობებით. როგორც ავლიშნეთ, დუშეთის რაიონის ფარგლებში ამ სამი მაღალმთიანი კუთხის გარდა შედის მისი ტერიტორიის სამხრეთი შედარებით დაბალმთიანი და ვაკე ნაწილი.

ფშავ-ხევსურეთი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. მთავარი წყალგამყოფი ქედის ფრაგმენტი

ჭიუხიდან მთა ბორბალომდე ხევსურეთის ქედის სახელით არის ცნობილი, იგი ხევსურეთს ორ ნაწილად – პირიქით და პირაქეთ ხევსურეთად ყოფს. ეს ქედი აღმოსავლეთისაკენ თანდათან დაბლდება, მაგრამ საერთოდ მაინც დიდ სიმაღლეს ინარჩუნებს (საშ. სიმაღლე 2960 მ). ხევსურეთის ქედისათვის დამახასიათებელია ციცაბო კალთებისა და შედარებით მოსწორებული თხემის განვითარება, რომელზედაც მწვერვალები იშვიათად გამოიკვეთებიან. ეს ქედი ჩრდილეთისა და სამხრეთისაკენ მრავალ განშტოებას წარმოშობს. მთა აღმოსავლეთ ჭიუხთან გამოიყოფა გუდამაყრის ქედი, რომელიც მერიდიანულადაა გადაჭიმული 53 კმ-ზე და ფშავ-ხევსურეთის დასავლეთიდან საზღვრავს. მთა დიდ ბორბალოსთან კი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს მასარის ქედი გამოეყოფა – ეს ქედი სამხრეთით მიემართება და ვიწრო და კლდოვანი თხემით ხასიათდება. იგი წყალგამყოფია ფშავის არაგვსა და ალაზნის სათავეებს შორის (წიფლოვანის წყალი). მთა მახარასთან (3276 მ) ქედი ორ შტოდ იყოფა – ერთი შტო სამხრეთისაკენ მიემართება და კახეთის ქედს აძლევს საწყისს, ხოლო მეორე დასავლეთისაკენ მოიხრება და თიანეთის ქედს წარმოშობს. ეს ქედი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 25 კმ-ზე გრძელდება; იგი წყალგამყოფს წარმოადგენს ივრისა და ფშავის არაგვის ზემო წელის აუზებს შორის. ქედის საშუალო სიმაღლე 2860 მ აღწევს. მისი ცალკეული მწვერვალები კი 3000 მ სიმაღლისაა. მთა მისელურთან იწყება ქართლის მერიდიანული ქედი, რომლის ალპური ნაწილი შედარებით რბილი რელიეფით ხასიათდება და ფშავის სხვადასხვა ნაწილში სხვადახვა სახელით იწოდება. ქედი ფშავის არაგვის ხეობისაკენ რამდენიმე განშტოებას წარმოქმნის,

წყალგამყოფებით ფშავის არაგვის მარცხენა შემდინარეთა შორის.

მთიანი მხარის ორთოგრაფიული სურათი შექმნაში ქედებთან ერთად მნიშვნელოვანია მდინარეთა ხეობები, ქვაბურები და სხვ. იქ, სადაც ხეობების მიმართულება ამგებელი ქანების შრეთა გაწოლას ემთხვევა, ისინი განიერძირანი და შედარებით დამრეცფერდობებიანია, ხოლო სადაც მდინარეთა ხეობები ტექტონიკური სტრუქტურების გარდიგარდმოა განვითარებული, ისინი ვიწრო და ციცაბოკალთებიანია. საერთოდ კი მდინარეთა ზემო წელში მთავარ ხეობათა კალთები ინტენსიურადაა დანაწევრებული შენაკადთა ხეობებითა და მშრალი ხევებით.

საკვლევი ტერიტორიის კლიმატი მის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. ბუნებრივია, რომ კავკასიონის ჩრდილო კალთებზე მოთავსებული არხოტისა და შატილის ხეობების კლიმატი შედარებით მკაცრია და განსხვავებული არაგვის აუზისაგან, რომელიც კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს და საკმაოდ არის დაცილებული როგორც კასპიის, ისე შავი ზღვიდან, რის გამოც ამ ზღვათა გავლენა კლიმატის ფორმირებაზე შესუსტებულია [7, 8]

მდ. არაგვის აუზის მაღალი და საშუალო სიმაღლის ქედები კლიმატზე როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას ახდენენ. ჩრდილოეთიდან მონაბერი ჰაერის მასები, ჩვეულებრივ ვერ გამოდიან კავკასიონის ქედზე და იძულებული არიან შემოუარონ მას. ჩრდილო კალთებზე კი მათი გავლენა მნიშვნელოვანია. შედეგების დადებითი გავლენა კლიმატზე, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ ისიც არის, რომ არაგვის ხეობაში სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასებს ისინი იძულებულს ხდიან მაღლა აიწიონ, რის

გამოც ორთქლის შედარებით დარიბი მასები ქედების კალთებზე მაინც იძლევიან ნალექთა მნიშვნელოვან რაოდენობას; მაღალი ქედების, განსაკუთრებით მერიდიანული განშტოებების, უარყოფითი გავლენა ჰავაზე ის არის, რომ ისინი აკავებენ დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მონადენ ჰაერის მასებს და ორთქლისაგან აღარიბებენ მათ.

ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციურ პროცესებთან მჭიდრო კავშირშია ქარების მიმართულება და სეზონური ცვლა. გარდა ამისა, ქარების მიმართულებაზე გავლენას ახდენს კავკასიონის რთული ოროგრაფიული პირობები. ხშირად ქარების მიმართულება ემთხვევა მთავარი ოროგრაფიული ერთეულების მიმართულებას.

გარდა ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებთან დაკავშირებული ქარებისა, დამახასიათებელია ადგილობრივ მთა-ხეობათა ქარების განვითარება, რისთვისაც პირობები იქმნება განსაკუთრებით ზაფხულის წყნარი ამინდის დროს. მთიანი რელიეფი გავლენას ახდენს არა მარტო ქარების რეჟიმზე, არამედ სხვა მეტეოროლოგიურ ელემენტებზეც. თერმულ რეჟიმზე გავლენას ახდენს რელიეფის ფორმების თავისებურებანი. არაგვის აუზი მნიშვნელოვანად უფრო თბილია, ვიდრე კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ასისა და არღუნის მდინარეთა აუზები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კავკასიონის ქედის როლი, რომელიც მის სამხრეთით მდებარე მხარეს ჩრდილეთის ცივი ჰაერის მასების უშუალო გავლენისაგან იფარავს. დაახლოებით 1500 მეტრიდან ჰაერის ტემპერატურის საშუალო მინიმუმი უარყოფითი ნიშნით 5 თვის განმავლობაშია: სიმაღლის მატებასთან ერთად კი, თანდათან მატულობს და 3600 მ-ის სიმაღლეზე მთელი წლის განმავლობაში უარყოფითი ნიშნითაა. ჰაერის მაქსიმალური

ტემპერატურები აუზის ფარგლებში დიდი მერყეობით არ ხასიათდებიან: აბსოლიტური მაქსიმუმი ყველა პუნქტისათვის აგვისტოშია აღნიშნული. საშუალო მთიან ნაწილში ზაფხული ხანგრძლივია, მაგრამ შედარებით გრილია (10° -ზე მაღალი ტემპერატურა 5 თვის განმავლობაშია, მაგრამ უცხელესი თვის ტემპერატურა 20° -მდე ვერ აღწევს). მაღალმთიან ნაწილში ზაფხული ხანმოკლე და გრილია, 2-4 თვის განმავლობაში საშუალო თვიური ტემპერატურა 10° -ს აღემატება – ასეთი მდგომარეობაა დაახლოებით 2500 მდე. მის ზემოთ, განსაკუთრებით 3000 მ-დან, ზაფხული სულაც არაა გამოხატული და ხანმოკლე გრილი გაზაფხული იცის.

კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობზე მნიშვნელოვნად ნაკლები ნალექი მოდის, ვიდრე სამხრეთში. სიმაღლის მატებასთან ერთად ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე ნალექის რაოდენობას შორის სხვაობა მცირდება. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რჩება. არაგვის აუზში 1200-1300 მ და 1800-1900 მ-დე. დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო, ზომიერად ცივი კლიმატი ხანგრძლივი გრილი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით. დამახასიათებელია ცივი ზამთარი. იანვრის ტემპერატურა მერყეობს -3° -დან -6° -მდე. უთბილესი თვის ტემპერატურები $19,4^{\circ}$ -დან $15,3$ -მდე, 4-6 თვის განმავლობაში საშუალო თვიური ტემპერატურა 10° -ზე მეტია (ზაფხული გრილი და ხანგრძლივია). აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურები -25° , -28° -მდე ეცემა. ნალექების მაქსიმუმი მაისშია. კლიმატის აღნიშნული ტიპი ემთხვევა მთის ტყეთა ზედა სარტყლის გავრცელებას. ამ კლიმატს ზემოთ მოსდევს ზომიერად ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და ხანმოკლე გრილი ზაფხულით. ნალექების მაქსიმუმით გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის

დასაწყისში და მინიმუმით იანვარში. კლიმატის ეს ტიპი მოიცავს ზონას 1800-1900-დან 2400-2500 მ სიმაღლემდე. უთბილესი თვის ტემპერატურა 10^0 -დან 15^0 -მდე აღწევს (წინეადუ $14,8^0$). 2-4 თვის განმავლობაში საშუალო თვიური ტემპერატურა 10^0 -ზე მეტია. ზონის ქვედა საზღვარზე ზაფხული საკმაოდ ხანგრძლივი, მაგრამ გრილია. ზედა საზღვარზე კი გრილია და ხანმოკლე. ნალექები დიდი რაოდენობით მოდის (1200-1500 მმ.) ნალექების მაქსიმუმი იცის გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დასაწყისში. მინიმუმი კი იანვარში. შედარებითი სინოტივის მაქსიმუმი წლის თბილ პერიოდს ემთხვევა (75-76%), მინიმუმი კი ცივ პერიოდშია (65-71%). თოვლის საბურველი დიდი სიმაღლისაა (2 მ-დე) და დიდი ხნის განმავლობაში დევს (5-7 თვე). დანესტიანების კოეფიციენტი მეტად დიდია (3-4). განხილულ კლიმატურ პირობებს ზემოთ უზაფხულო კლიმატებთან გვაქს საჭმე. სადაც უთბილესი თვის ტემპერატურაც კი არ აღემატება $10,0^0$ -ს. 2400-2500 მ-დან 3400-3500 მ-მდე. ვრცელდება მაღალი მთის უზაფხულო კლიმატი. ზამთარი მკაცრი და ხანგრძლივი იცის, იანვრის საშუალო ტემპერატურა - 12^0 , -14^0 -ია, ივნისის საშუალო ტემპერატურა 5^0 - 10^0 -მდე მერყეობს. საშუალო თვიური ტემპერატურები დადებითი ნიშნით 4-6 თვის განმავლობაშია, რაც ზონის ქვედა ნაწილში თითქმის საკმარისია მოსული თოვლის გასაღნობად. ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი -30^0 -მდე ეცემა. ნალექების რაოდენობა იმდენივე უნდა იყოს როგორც წინა ზონაში, ან შესაძლოა ოდნავ მცირდება, მაგრამ მაინც ბევრი რჩება, რაც ტემპერატურის დაცემასთან ერთად იწვევს დანესტიანების კოეფიციენტის გადიდებას. თოვლის საბურველის სიმაღლე საკმაოდ დიდი უნდა იყოს (150-200 სმ) იგი დევს 6-7 თვეს ზონის ქვედა საზღვარზე. ზემოთ უკვე მაღალი მთის

კლიმატია, მარადი თოვლით, რომელიც 3500 მ-ზე ზემოთ კრცელდება: დამახასიათებელია ძალზე ციგი და მკაცრი ზამთარი. უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა -14⁰-ზე დაბლა ჩაოდის. ზაფხული კლიმატის ამ ტიპისათვის დამახასიათებელი არ არის. უთბილესი თვის ტემპერატურა 5⁰-მდე ვერ აღწევს; აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურები -30⁰, -35⁰-მდე ეცემა. ნალექების წლიური ჯამი შეიძლება რამდენადმე შემცირდეს ქვედა ზონებთან შედარებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რჩება. თოვლი თითქმის მთელი წლის განმავლობაში დევს, ქვედა საზღვარზე მხოლოდ ნაწილობრივ დნება 15-30 დღით და შემდეგ ისევ იქმნება. დამახასიათებელია ძლიერი ქარები, რაც რამდენადმე დაბლა სწევს დანესტიანების კოეფიციენტს.

მთიულეთი ფშავ-ხევსურეთის მსგავსად მაღალმთიანი კუთხეა, მისმა უღრანმა ტყეებმა, რომლებმაც სხვადასხვა ძნელბედობის უამს განიცადეს განადგურება, მაინც შეინარჩუნეს თავიანთი სიდიადე და სილამაზე. აქ შეგვიძლია შევხვდეთ ბუმბერაზ ხეებს, რომელთა დიამეტრი რამოდენიმე მეტრია, ხოლო სიმაღლე რამოდენიმე ათეული მეტრით განიზომება. ტყის სარტყლის ზევით მთის ფერდობები დაფარულია დეკას გაუგალი შამბნარით. აქვე ადამიანის თვალწინ იშლება სუბ-ალპური და ალპური მდელოები, რომლებიც საძოვრებად არის გამოყენებული. თეთრი და შავი არაგვის აუზების ფარგლებში, როგორც მთელ თავის აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიონს აქვს სამხრეთისაკენ დაქანებული ფერდობები, რომლებიც უერთდება არაგვის ვაკეს. ეს ქედები თავის ქვედა ნაწილში დაფარულია ბუჩქნარებითა და ნახევრადბუჩქნარებით, ხევების ფსკერი კი ავსებულია დორდით. გარდა აღნიშნული მაღალმთიანი კუთხეებისა დუშეთის რაიონის ტერიტორია მოიცავს სამხრეთით მდებარე შედარებით

დაბალმთიან და ვაკე ადგილებს ეს ტერიტორია დაწერილია ტყიანი ქედებით, რომლებიც ზოგან შემოსაზღვრავენ საკმაოდ დიდ მინდვრებს. ეს ვაკე ადგილები მიწათმოქმედების ძირითადი კერებია აღნიშნულ რაიონში და მაშასადამე მიეკუთვნებიან კულტურულ ლანდშაფტს. ამ ტერიტორიაზე მოდის მდ. არაგვის ქვემო დინება, რომელსაც უერთდება სხვადასხვა ხევები. აქ არის რაიონის ერთადერთი მოზრდილი ტბა – ბაზალეთის ტბა.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში მოცემულია დუშეთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები [4].

ჰაერის საშუალო დღიური ტემპერატურის გადასვლის გადები 0° -ზე ქვევით და ზევით და პერიოდების ხანგრძლივობა (დღეებში) ნაჩვენები საზღვრების ზევით და ქვევით.

საზღვრის ზევით				საზღვრის ქვევით			
0°	5°	10°	15°	0°	-5°	-10°	-15°
20 II	21 III	21 IV	20 V	17 XII			
17 XII	17 XI	24 X	25 IX	20 III			
299	240	185	127	66			

ნალექების საშუალო დეპაზური რაოდენობა (მმ)

იანვარი			თებერვალი			მარტი			აპრილი			მაისი			ივნისი		
1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
8	6	7	9	11	12	13	14	16	20	2	25	3	36	35	31	29	28
										3		4					

ივლისი			აგვისტო			სექტემბერი			ქვითმბერი			ნოემბერი			დეკემბერი		
1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
23	21	17	15	13	14	16	18	17	16	1	17	1	21	18	14	11	9

ცხრილი 29

ნალექების საშუალო რაოდენობა მგ-შ0

მეტეოსა დგური	თვეები												წლიური საშ.
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
დუშეთი	21	32	43	68	105	88	61	42	51	47	58	34	659
მუხრანი	15	21	29	56	87	74	51	35	53	39	39	23	512
ფასან აური	36	56	63	97	145	129	95	76	74	65	68	55	957

ცხრილი 29'

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურები

მეტეოსა დგური	თვეები												წლის საშუა ლო
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	

დუშეთი	1,5	1,6	4,1	9,2	14,3	17,6	10,4	20,5	16,5	11,5	5,4	0,4	9,8
მუხრანი	1,6	2,1	5,0	9,8	15,2	18,6	21,8	21,7	17,5	12,0	5,9	1,0	10,0
ფასანაჟ რი	4,8	-3,0	-2	+1,7	12,5	16,0	18,7	18,6	14, 3	2,5	3,2	-1,8	7,6

საკვლევი ობიექტის პავა ხასიათდება ზომიერად ნოტო კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრითა და თბილი, ხანგრძლივი ზაფხულით პირველი ყინვიანი დღეები 31 ოქტომბრიდან იწყება, ხოლო უკანასკნელი ყინვები აპრილის დასაწყისშიცაა მოსალოდნელი. უყინვო დღეთა რიცხვი მუხრანში 198-ია, ხოლო დუშეთში 203 დღეს შეადგენს. ქარების გაბატონებული მიმართულება აღმოსავლეთისაა. ხშირად ქრის ხეობის ქარები, რომლებიც უმეტესად ზონალური ხასიათისაა: ზღვის დონის მატებასთან ერთად (ფასანაური, გუდამაყრის ხეობა) პავა თანდათან მკაცრი ხდება.აქ ნალექების უმეტესი ნაწილი მოდის V–XI თვეებზე, ხოლო მინიმუმი კი – XI–III თვეებზე.

4.2. ნივრის მოყვანის აგროტექნიკა დუშეთის ზონაში ამ ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების ფონზე

ნივირის მოყვანა მისი დარგივიდან მოსავლის ადების ჩათვლით ასეთი სქემის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ნივრის კბილებად დანაწილება → ნივრის დარგვა წინასწარ გაფხვიერებულ ნიადაგში → სასუქების შეტანა → მოყვანილი ნივრის ნარგაობაში საყვავილე დერის მოტეხვა → მოსავლის → →

აღება ფონჩების წაჭრა და ბოლქვების გაწმენდა ბოლქვების გაშრობა და შესანახად გამზადება.[91, 61, 92, 64]

ნივრის კბილებად დაყოფა ითვალისწინებს ბოლქვების დაშლას კბილებად და იქიდან მსხვილი გარეთა კბილების სათესლედ გადარჩევას. კბილებად დაყოფა ხდება ხელით ან სპეციალური მანქანით. ხელით გადარჩევის დროს იხარჯება 20-25 კ/დღე 1ტ ბოლქვის კბილებად დაყოფაზე, რაც ძალიან შრომატევადია, ამიტომ ბევრ მოწინავე საწარმოში გამოიყენება მანქანები. ასეთი მანქანა მოსახერხებელია მოთავსდეს ნიორსაცავში. ჩასატვირთი ტრანსპორტიორით მანქანის სატვირთო ბუნკერში ჩაყრიან სათესლე მასალას, აქედან ნიორი ულუფებად გადაეცემა ბუნკერ-დოზატორს, რომელშიც მოძრაობს ორი დამწოდი ლილვი, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ ნებისმიერი სიჩქარით, ვალცებს შორის ხვდება ნივრის ბოლქვები, ხოლო მანძილი სპეციალური ჭანჭიკით რეგულირდება ბოლქვის დიამეტრისგან დამოკიდებულებით, ნიორი პირველადი დანაწევრებით იყრება გამომტან ტრანსპორტიორზე. საბოლოო დანაწევრება ხდება ტრანსპორტიორსა და ნელა მოძრავი ვალცის შუა ზონაში, აქედან ტრანსპორტიორით გამოიტანება გარეთ ნარჩენებთან ერთად პირდაპირ დამხარისხებელში, სადაც კბილები თავისუფლდება ნარჩენებისაგან და ხარისხდება ფრქციებად. მანქანის წარმადობა მაღალია და ათავისუფლებს ადამიაინებს ხელით შრომისაგან. [47]

დარგვის წინ აუცილებელია აირჩეს სადი მსხვილი ბოლქვები სათესლე მასალად. ამგვარად გამოყენებული მსხვილი და საშუალო ზომის კბილები გარანტიაა მაღალი მოსავლისა. [65, 79, 54, 52, 76] ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს მოლდავეთის

სარწყავი მოწათმოქმედებისა და მებოსტნეობისა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით.

ცხრილი 30

ნივრის მოსავლიანობა კბილის ზომებისაბან დამოკიდებულებით

კბილის ზომები	ბოლქვის მოსავლიანობა ც/ჰა	ბოლქვების საშუალო წონა (გ)
მსხვილი (7გ)	106	28
საშუალო (4გ)	84	22
წვრილი (2გ)	47	19

უისრო ნივირის ბოლქვების შუა ნაწილიდან აღებული კბილები არ გვაძლევენ მაღალ მოსავალს.

საცდელი ობოექტის – ნივრის მოყვაინის ადგილი იყო დუშეთის რაიონი. აქ სათესლე მასალის დამზადება ძირითადად ხელით ხდება. ასევე ხდება ვიზუალურად გადარჩევა მსხვილი და საშუალო ზომის ნემატოდებითა და ტკიპებით დაუზიანებელი კბილებისა. რაიონში ძირითადად მოყავთ პურეული კულტურები და სიმინდი შიგ შეთესილი ლობიოთი, არაგვის აუზის ზედა ზოლის (ფასანაური, ანანური, გუდამაყრის ხეობა) სახნავ სავარგულებში მოყავთ კარტოფილის მოსავალი. ითვალისწინებუნ რა თესლბრუნვის ეფექტს ნიორს სიმინდ-ლობიოს შემდეგ რგავენ,

ის კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ არ ირგვება, ვინაიდან ბოლქების დიდი რაოდენობა ავადდება ფუზარიოზით. რაიონში ნიორი დიდი რაოდენობით ირგვება შემოდგომაზე, თუმცა გარკვეულწილად გაზაფხულზე ირგვება. ნიადაგის დამუშავება ხდება ადრე გაზაფხულზე. აფხვიერებენ მიწას 25-30 სმ სიმაღლეზე დაახლოებით დარგვამდე ერთი თვით ადრე. დუშეთის ზონაში ეს სამუშაოები მარტის დასაწყისში, ხოლო ხელსაყრელი ამინდების შემთხვევაში თებერვლის ბოლოს წარმოებს. შემოდგომაზე რგვაც კარგად გაფხვიერებულ ნიადაგში ოქტომბრის ბოლოს ხდება.

დუშეთის რაიონის იმ მაღალმთიან ნაწილში, სადაც გვაქვს სახნავ-სათესი სავარგულები, გამართლებულია ნივრის მოყვანა და იქვე შენახვა მთელი რიგი უპირატესობის გამო.

ნივრის მოყვანის ტრადიციები მაღალმთიან ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას დიდი ხანია აქვს. აქ ნივრის შემოდგომაზე რგვის პერიოდში გამოთავისუფლებულია მუშახელი; თვით ნიადაგი გამდიდრებულია ორგანული სასუქით, მეცხოველოების დარგის არსებობის გამო. ნოენი ნიადაგის არსებობა კი აუცილებელი პირობაა მოცემული მცენარის კარგად ფორმირებისათვის და მაღალი მოსავლიანობისათვის. შემოდგომაზე დარგული ნიორი სარგებლობს სეზონური ნალექებით, ივითარებს კარგად ფესვთა სისტემას და “მომზადებულია” თოვლის საფარქვეშ გამოსაზამთრებლად, ხოლო გაზაფხულზე მოსული ნალექები აუცილებელი პირობაა მცენარის შემდგომი განვითარებისათვის. ამ პერიოდში ხდება ინტენსიური ზრდა მცენარის როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ნაწილისა. განვითარებული ფესვთა სისტემა უხვად იღებს საჭირო ნივთიერებებს ნოტიო და ნოენი ნიადაგიდან. ცხრილი

29 გვიჩვენებს დუშეთის რაიონში ნალექების საშუალო რაოდენობას მმ-ში და ჰაერის საშუალო თვიურ ტემპერატურას. შემოდგომაზე ნივრის დარგვა ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში ხდება, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე ხდება ნივრის რგვა. ამ პერიოდში ცხრილიდან ჩანს, რომ ნალექების მაქსიმალური რაოდენობა V – XI თვეებზე ნაწილდება, ასევე ამ თვეებში არის მცენარის განვითარების ორივე ეტიპისათვის საჭირო ტემპერატურული პირობები.

სახნავ-სათესი მიწის ფონდი რაიონის მაღალმთიან ზონაში საკმაოდ მწირია. დუშეთის რაიონი ტერიტორიით უდიდესია საქართველოში მესტიის რაიონის შემდეგ და ყველაზე ნაკლებად დასახლებულია – 2981.5 კმ²-ზე, ცხოვრობს 40 000 კაცი. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 12 კაცს არ აღემატება. რაიონის ფართობი 77.3 % ზღვის დონიდან 1 000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. ქვემოთმოყვანილი ცხრილი თვალსაჩინოს ხდის, თუ რა სათესი ფართობი არსებობს მაღალმთიან და მთისწინა ზონაში, როგორია მიწათმოსარგებლეთა რაოდენობა. მაღალმთიანი ზონა, სადაც გამართლებულია ნივრის მოყვანა მოიცავს ჟინვალის, ანანურის, ფასანაურის, ქვეშეთის, გუდამაყრის, მაღაროსკარის, ჭართლის, უკანაფშავის, ბარისახოს საკრებულოს ტერიტორიებს, რომელთა სახნავი ფართობი მთლიანად შეადგენს – 1021 ჰა-ს. ამ სახნავ ფართობზე კერძო მესაკუთრეებს ძირითადად მოჰყავთ კარტოფილი, ნიორი, ხახვი. ცოტა ქვედა ზოლში – ლობიო. მიწათმოსარგებლეთა ამ საკრებულოებში, ცხრილის მონაცემებით 4294-ია. აქედან უმეტესი ნაწილი დაკავებილია მეცხველეობის დარგში (ცხოველების მოვლა-პატრონობა, თიბვა და სხვა.) მიწის დამუშავება და ნივრის

რგვა (ოქტომბერი, ნოემბრის პირველი ნახევარი) იმ პერიოდს ემთხვევა, როცა მესაქონლეობაში ძირითადი სამუშაო პირუტყვის საკვები დამზადებულია და დაბინავებულია ზამთრისთვის.

დღევანდელი მდგომარეობით მაღალმთიან ზონაში მცხოვრები გლეხების (შემდგომში ფერმერები) უმეტესობა ცხოვრობს კაპიტალურად ნაშენებ სახლებში, რომელშიც გარკვეული ადგილი – ნახევარსარდაფის ტიპის ფართი გამოყოფილია ზამთრის მარაგის შესანახად. აქ არის ორმოები – კარტოფილის შესანახი, რძის გარკვეული ტექნოლოგიით გადამუშავებული პროდუქტის – დოშხალის შესანახად. ქართული ვაშლის ჯიშის “კეხურას” შესანახად. ნახევარსარდაფში ფერმერს მოწყობილი აქვს ხის სტელაჟები, სადაც ინახავს სხვადასხვა სანოვაგეს, ტყის ხილს, ბოსტნეულს, აქვთ უკიდია ნიორი დაწნული სახით – ამ წნულებს ისინი “გალებს” ეძახიან.

საკუთრებაში გადაცემული მიწა

მესაკუთრება და მოსარგებლება დასახელება	მიწათმოსარგებ ლეთარაოდენო ბა (ჰა)	სას.სამ. სავარგული (ჰა)	სახნავი (ჰა)	შენიშვნა
1. ბაზალეთის საკრებული	2004	2269	2186	* აღნიშნულია მაღალმთიან ზონაში მოაზრებული
2. ქლუშეთის ადმინისტრაციუ ლი ცენტრი	1515	618	618	საკრებულოები
3. ყვავილის საკრებულო				
4. გრემისხევის საკრებულო	1571	860	659	
5. ხეოპბის საკრებულო				
6. მჭადიჯვრის საკრებულო	412	353	353	
7. *ჟინვალის საკრებულო	223	577	209	
8. *ანანურის საკრებულო				
9. *ფასანაურის საკრებულო	2190	2326	1871	
10. *ქეეშეთის საკრებულო				
11. *გუდამაყრის საკრებულო	814	541	345	
12. *მაღაროსკარის საკრებულო	591	477	182	
13. ლაფანაანთკარი ს საკრებულო				
14. ჭოპორტის საკრებულო	895	375	139	
15. *ჭართლის საკრებულო				
16. *უგანაფშავის	677	369	52	

საკრებულო 17. *ბარისახოს საკრებულო სულ	322	499	39	
	413	880	97	
	802	588	461	
	1257	1079	790	
	335	198	109	
	78	199	10	
	169	452	48	
	14274	12660	8169	

ასეთი წნულების სახით უკიდიათ მათ გამხმარი დოლოს, ჭინჭრის, ბალბის “გალები,” რომლისგანაც ზამთარში სხვადასხვა კერძებს ამზადებენ. მოცემულ ნახევარსარდაფში ჰაერის ფარდობითი ტენიანობასა და ტემპერატურეს რყევას ადგილი აქვს შენახვის მთელ პერიოდში რაც მნიშვნელოვანი პირობაა სარდაფში მიწისზევით და შენახული ბოსტნეულისათვის. ზამთრის პერიოდში ასეთ საცავში ტემპერატურა $0 +2^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ჰაერის განიავება, საჭიროების შემთხვევაში, საცავში დატანებული სარკმლითაა შესაძლებელი. ცხრილი 29-ის

მონაცემებში ჩანს, რომ ფასანაურის, ჟინვალის, ანანურის და სხვა ასეთი მაღალმთიან ზონაში ჰაერის ტემპერატურა 0°C -ის ქვემოთ მარტის ბოლომდე გრძელდება, აპრილის თვეში სარდაფისა და გარემოს ტემპერატურა თითქმის უტოლდება ერთმანეთს (1.7°C) გამოდის რომ შესანახ საცავში ბუნებრივი სიცივის გამოყენებით $0 +2^{\circ}\text{C} - \text{+}2^{\circ}\text{C}$ შესაძლებელია ნივრის შენახვა აპრილის ბოლომდე. ექსპერიმენტის შედეგად შესწავლილი ნივრის შენახვის ახალი ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ნივრის თავების მოთავსებას პოლიმერული რეზინის აპკში, შესაძლოა დუშეთის მაღალმთიან ზონაში, თითოეული ფერმერის საცხოვრებელი ბინის ნახევარსარდაფში, ბუნებრივი სიცივის გამოყენებით. დუშეთის მაღალმთიან ზონაში შესაძლებელია ნივრის როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო მოსავლის მოყვანა და შესაძლებელია მისი შენახვა მოცემული ხერხით ისე რომ შესანახად დაბალი ტემპერატურას მისაღებად არ არის საჭირო ელექტროენერგიის ხარჯვა და არც ძვირადღირებული სტაციონალური ნიორსაცავების აშენება ხელოვნური გაცივების სისტემით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შეამცირებს ნივრის თვითდირებულებას ბაზარზე.

თითოეული ფერმერი ბაზრის მოთხოვნილებისა და საკუთარი სურვილის შესაბამისად გამოიყენებს საცავიდან ნიორს, რომლის საბოლოო სასაქონლო სახე დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც ცხრილ 1 და 2-შია მოცემული. ხოლო აპრილის ბოლოს ნიორი მთლიანად გმოვა საცავიდან; ნაწილი გაიყიდება, ნაწილი გადაირჩევა დასარგავად, ხოლო გადანარჩევი კბილები მიეწოდება მინი-საწარმოს შემდგომი გადამუშავებისთვის

4.3. სარგავი მასალის დამზადების დროს მიღებული ნივრის ნარჩენების გამოყენება სოიას ცილებით მდიდარი ახალი საკვები პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიაში.

სათესლედ გამოსადეგია ნივრის ბოლქვის გარე ზედაპირზე განლაგებული კბილები, რადგან ეს კბილები უფრო მსხვილია, შეიცავენ მეტ სამარაგო ნივთიერებებს და იძლევიან უფრო მსხვილ ბოლქვებს, რაც ზრდის მოსავლიანობას. გარდა ამისა ისრიანი ნივრის შიდა იარუსიდან აღებული კბილები გვაძლევენ მოლიან ბოლქვებს კბილების გარეშე.

ცხრილი 32

სარგავი მასალის გამოსავლიანობა შენახული ნივრიდან

№	ჯიშის დასახელება	სტანდარტული		არასტანდარტული		გადასამუშავებ ლად	ბოლქვებ ის განკუთვნილი
		დასარგა ვად გან კუთვნი ლიკბილ ები	ნარჩენები	გაღივე ბული	დაავად ებული		
1	გორული	69.8	30.2	3.2	4.1	33.4	35
2	პოლიოზი	70	30	2	4.1	32	40

როგორც ცხრილიდან ჩანს სარგავი მასალის დამზადების შემდეგ მიღებული ნარჩენები საფია და გამოსადეგი შემდგომი გადამუშავებისათვის, რაც ცხრილის მონაცემების მიხედვით 30%-ია. ამას ემატება არასტანდარტული - გაღივებული პროდუქცია, რომელიც ცხრილის მიხედვით 3.2-2%-ს შეადგენს. საბოლოოდ შენახული ნედლეულის 32-33 % შეიძლება გავაგზავნოთ საწარმოში გადასამუშავებლად და მოვახდინოთ ნარჩენების გამოყენება.

ექსპერიმენტული სამუშაოს მეორე ნაწილს შეადგენდა სოიას ადგილობრივი ჯიშების გამოყენება მათგან ცილოვანი საკვები პრობუქტების მისაღებად. [3] ახალი სახის სოიას ცილოვანი პროდიქტები სრულიად აკმაყოფილებენ ადამიანის გემოვნებით და ფიზიოლოგიურ მოთხოვილებებს. მათი დამზადების რეცეპტურაში ჩართულია ნიორი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სოიას ადგილობრივი ჯიშები “კოლხიდა 4” და “გურულა”, რომლებიც მოყვანილი იყო დასავლეთ საქართველოში. კერძოდ აბაშაში. ქვემოთ მოგვყავს სოიას ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები. [87]

ცხრილი 33

სოიოს ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები (%)

№	ჯიში	გოგიანი ალბუ	იანი ვანი	საერთო აზოვი	ცილოვანი აზოვი	ნებლი აზოვი	ცილი	ცხიბი	უჯრედნა	გინგი	ნიტროჟენის იტერაცია

1	კოლხიდა 4	აბაშა	7.26	6.48	6.13	40.50	38.31	20.63	5.67	4.70
2	გურული	აბაშა	7.57	6.84	6.67	42.75	41.68	18.50	5.41	4.92

როგორც ცხრილიდან ჩანს სოია დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას 38%-42% ასევე მაღალია მასში ცხიმის შემცველობა 21% და 19%. ცილებისა და ცხიმების დაგროვებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები. ცხიმები მცენარეებში ნახშირწყლებიდან წარმოიქმნებიან, ხოლო ცილების წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებენ სოიას ფესვებზე მოსახლე კოურის ბაქტერიები, რომლებიც სიმბიოზურ დამოკიდებულებაში არიან მცენარესთან. ისინი ჰაერიდან ითვისებენ აზოტს და მცენარისთვის შესათვისებელ ფორმაში გადაჰყავთ. სოიას თესლში ცილებისა და ცხიმების შემცველობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულიაა. ჩვენი კვლებისთვის უფრო საინტერესოა მაღალი ცილოგანი შემცველობის მქონე ნედლეული. ცილებიდან სოიაში ჭარბობს გლობულინები, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ერთ სახელწოდებაში – გლიცინინი, მისი ბიოლოგიური დირებულება მეტად მაღალია, ის გაცილებით მეტია, ვიდრე მცენარეული სხვა ცილების ბიოლოგიური დირებულება. თუ რძის ცილების ბიოლოგიური დირებულებას 100-ად მივიღებთ, მაშინ პარკოსანთა უმრავლესობას ცილების ბიოლოგიური დირებულება იქნება 75-85, ხოლო სოიას ცილების დირებულება 100-ს უახლოვდება.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ რძის და სოიას ცილები პრაქტიკულად ტოლფასოვანია. ვ.გ. კლიმენტის, მ.ი. სმირნოვა-იაკონიკოვას და სხვა მრავალი ავტორის მონაცემებით სოიას

ცილებში მოიპოვება ყველა შეუცვლელი ამინომჟავა ერთის გამოკლებით და ამრიგად იგი არა მარტო ცილებით მდიდარი ნედლეულია, არამედ ის შეუცვლელი ამინომჟავათა კონცენტრაციაა, რომლებიც აუცილებელია ადამიანის და ცხოველებისთვის. ცილების ადვილად ხსნადობის გამო, მათ შემადგენლობაში შემავალი ამინომჟავები ადვილი შესათვისებელია ცოცხალი ორგანიზმებისთვის. სოიას თესლში გარდა ცილოვანი ნივთიერებებისა სხვა აზოტოვანი ნაერთებიცაა, რომელთაგან ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია თავისუფალი ამინომჟავები, ამათგან ამინომჟავა არგინინი ფართოდაა წარმოდგენილი როგორც თავისუფალი სახით, ისე შედის აგრეთვე ცილების შემადგენლობაში. მცენარეულ ცილებს შორის, არ არის არცერთი ცილა, რომელიც არგინინს არ შეიცავდეს. არგინინში აზოტის შემცველობა 32.2%-ია, ე.ი. გაცილებით მეტია ვიდრე სხვა რომელიმე ამინომჟავაში. ის ამიდიებთან (ასპარაგინი და გლუტამინე) ერთად წარმოადგენს ნაერთს, რომლის სახითაც იბოჭება მცენარეში შესული და ცილების სინთეზისათვის გამოუყენებელი ჭარბი აზოტი. მცენარის აზოტიანი შიმშილის დროს მცენარეში თავისუფალი არგინინის დიდი ნაწილი იშლება და მისი აზოტი გამოიყენება სხვა ამინომჟავათა, შემდეგ კი ცილების სინთეზისათვის. არგინაზას მოქმედებით არგინინის ჰიდროლიზური დაშლისას გამოიყოფა ორნიტინი და შარდივანა. ამ უკანასკნელის წარმოქმნის გზა სოიას მცენარეში ერთადერთი არ არის. ის თანამედროვე პროდუქტია მრავალი ამინომჟავური, თუ ცილოვანი გარდაქმნის დროს. შარდმჟავა და მისი ამიდური ნაერთი პურინული ცვლის საბოლოო პროდუქტია ადამიანისა და ადამიანის მსგავს მაიმუნში რომელიც ორგანიზმიდან შარდთან

ერთად გამოიდევნება. რაც უფრო დაბალორგანიზებულია ცხოველი, მით უფრო ღრმაა შარდმჟავას დაშლა მის ორგანიზმში, საბოლოოდ დაშლის პროდუქტები გარეთ გამოიდევნება. მცენარეები ცხოველებისგან განსხვავებით უფრო ეპონომიურად იყენებენ მასში შემავალ აზოტსა და პრაქტიკულად არ გამოყოფენ მას. ე.ი. სოიაში არსებული ცილოვანი და ამინომჟავური გადაქმნის ერთადერთი პროდუქტი შარდმჟავა და მისგან წარმოქმნილი შარდოვანა აზოტის მარაგის სახით გვხვდება მარცვალში შარდოვანა იშლება სოიოს სათანადო თერმული დამუშავების გზით.

სოიო პარკოსნების ოჯახში შედის და მასში, როგორც ყველა სხვა პარკოსანში აღმოჩენილია სოიას პროტეაზების
██ ქვევიდან ამოიბეცდოს

ინკიბიტორები. მაგ. ტრიპსონის ინკიბიტორი ტი არის აღმოჩენილი მცენარეთა ბევრ წარმომადგენელში და განსაკუთრებით პარკოსნებს შორის. მარცვლოვანები, ბალახები, კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული, მიწისთხილი, კვერცხი შეიცავს პროტეაზების ინკიბიტორებს. (Liner 1980, Rockiset al 1989, daell et al 1981, Rackiset al 1986). ცხოველებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა პროტეაზების ინკიბიტორების ზეგავლენის ზრდის პროცესის შენელება და მათ მიერ პანკრეატული კიბოს გამოწვევა გამოავლინეს, მაგრამ მცდარი იქნებოდა აღნიშნული შედეგების ადამიანებში გაგრცელება, რამდენადაც ისინი გამოიყენებენ სოიას ცილის უკვე გადამუშავებულ პროდუქტებს. საკვები პროდუქტების და ჩვენს შემთხვევაში სოიას პროტეაზების ინკიბიტორების აქტივობას ანადგურებს სოიას თერმული დამუშავება. მეცნიერების მტკიცებით შესაფერისად

დამუშავებული სოიოს პროდუქტები საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, პირიქით სოიას პროდუქტები წარმატებით გამოიყენება ჩვილ ბავშვთა კვებაში, დიეტურ პროდუქტებში, ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ, სპორტსმენებში და სხვა [106, 108].

ქვემოთ მოყვანილია სოიოსაგან რამოდენიმე ახალი სახის პროდუქციის (სოიას ფარში, სოიას აჯიკა და სოიოს ყველი) წარმოების ტექნოლოგია.

სოიას ფარშისა და სოიას აჯიკის

წარმოების ტექნოლოგიები

სოიას ფარში (შემდგომ - ფარში) დამზადებულია სოიას დაქუცმაცებული რძემოშორებული მასისგან, რომელსაც დამატებული აქვს ნიორი, სანელებლები, ფქვილი, ზეთი, მარილი, დაფასოებულია მინის ან პოლიმერულ ტარაში.

სოიას აჯიკა (შემდგომ - აჯიკა) დამზადებულია სოიას ცილა – პროტეინისგან, რომელსაც დამატებული აქვს იგივე ინგრედიენტები ფქვილის გარდა.

ფარში და აჯიკა განკუთვნილია სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ.

ფარში მზადდება: მარილით ან უმარილოთ; ნივრით; საკატლებები ან საგარნირე ნივრითა და საწებლით.

ფარშისა და აჯიკის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული და მასალები:

სოია. მოთხოვნები დამზადებისა და მიწოდების ბოსტ 17109-ის მიხედვით;

ნაყოფი წიწაკის, ჭოტოსანი მწარე - ბოსტ 14260-ის მიხედვით;

წიწაკა წითელი ჭოტოსანი გმრალი – რსტ 407-ის მიხედვით;

წიწაკა ცხარე ნედლი – რსტ 462-ის მიხედვით;

ნიორი ახალი, დასამზადებელი და მისაწოდებელი - ბოსტ 7077-ის მოხედვით.

ნიორი დაქუცმაცებული, მარილით – რსტ 152-ის მიხედვით;

ქინძი. სამრეწველო ნედლეული, მოთხოვნები დამზადებისას - ბოსტ 17081-ის მიხედვით;

ქინძი დაფქვილი - ბოსტ 17081-ის მიხედვით;

წიწაკა დაფქვილი - ბოსტ 17081-ის მიხედვით;

ქონდარი დაფქვილი - ბოსტ 17081-ის მიხედვით;

ულუმბო (უცხო სუნელი) - რსტ 374-ის მიხედვით;

სანელებლები. “უცხო სუნელი”, დაფქვილი - რსტ 308-ის მიხედვით;

ზაფრანა - ბოსტ 21722-ის მიხედვით;

ყვავილი ხავერდასი, გამშრალი, დაფქვილი - რსტ 480-ის
მიხედვით;

ყვავილი ხავერდასი, სანელებელი ნედლეული – რსტ 480-ის
მიხედვით;

მარილი, სუფრის, კვებითი – ბოსტ 13830-ის მიხედვით;

მარილი სუფრის, იოდიზირებული – რსტ 19 –ის მიხედვით;

ხახვი თავიანი, ახალი. დასამზადებელი და მისაწოდებელი –
ბოსტ 1730-ის მიხედვით;

ზეთი მზესუმზირისა – ბოსტ 1129-ის მიხედვით;

ზეთი სოიასი – ბოსტ 7825 –ის მიხედვით;

ზეთი სიმინდისა – ბოსტ 9808 –ის მიხედვით;

წყალი სასმელი – ბოსტ 2874-ის მიხედვით.

მზა პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ
მოთხოვნებს:

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით ფარში და
აჯიკა უნდა შეესაბამებოდეს 34-ე ცხრილში მითითებულ
მოთხოვნებს.

ფარშისა და აჯიკის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებ- ლის დასახელე- ბა	დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა				
	უმარი- ლო	მარილიანი	საკატ- ლეტი	საგარნი- რე	აჯიკა
გარეგანი სახე	ა რ ა ფ თ რ თ ვ ა ნ ი გახეხილი წვრილ- მარცვლოვანი თანაბრად დაქუცმა- ცებული ერთგვარო- ვანი მასა. დასაშვებია 2მმ ზომის წიწაკის და გამშრალი სანელებ- ლების მსხვილი ნაწილაკების არსებობა				შეკრული მასა

გემო და სუნი	ნედლეულისთვის დამახასიათებელი		კარგად გამოხატული, შესაბამისი დანამატებისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით.		
	უმარი- ლო	მარილიანი			
არ დაიშვება უცხო გემო და სუნი					
ფერი	მოკრემისფროდან მოყვითალომდე ერთგვაროვანი მთელი მასისათვის	მოყვითალო – მონა- რინჯისფრო	მოყვით ალო- ნარინ- ჯის- ფერი		
		დასაშვებია გამოყენებული დანამატებისათვის დამახასიათებელი ელფერი			
უცხო მინარევე- ბი	ა რ ღ ა ი შ ვ ბ ა				
მცხნარეუ- ლი წარ- მოშობის					

მინარევებ- ბი	\ ა რ დ ა ი შ გ ბ ა
------------------	---------------------

ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით ფარში და
აჯიკა უნდა აკმაყოფილებდნენ 35-ე ცხრილში მოყვანილ ნორმებს.

ცხრილი 35

ფარშისა და აჯიკის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

	ნ	ო	რ	მ	ა
მაჩვენებელი	უმა- რი- ლო	მარი- ლიანი	საკატ- ლეტე	საგარ- ნირე	აჯიკა
მშრალი ნივთიე-					

რების მასური წილი გამოშრობით, %, არანაკლებ	80	80	80	80	72
ქლორიდების მასური წილი, %	1,0 – 2,0				
ცხიმის მასური წილი, %, არანაკლებ	9,0	9,19	6,9	6,9	21,0

შენიშვნა: დასაშვებია ცხომისა და მარილის მასური წილის ზედა ზღვრის გადაჭარბება 1%.

ფარშში და აჯიკაში არ უნდა აღინიშნებოდეს გაფუჭების ნიშნები, რომლებიც განპირობებულია მიკროორგანიზმების ცხოველქმედებით.

ფარში და აჯიკაში ტოქსიკური ელემენტების, მიკოტოქსინ

პატულინის, ნიტრატების, რადიონუკლიდებისა და პესტიციდების
შემცველობა, აგრეთვე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები არ
უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სანმინისტროს მიერ პიგიენური მოთხოვნები
“სასურსათო და საკვები პროდუქციის ხარისხისა და
უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმებში” სანწდან
2.3.2.000-00 დადგენილ დონეებს.

“ფარში სოიასი” წარმოების ტექნოლოგიური პროცესის
სქემა მოყვანილია ქვემოთ.

“ფარში სოიასი” წარმოების ტექნოლოგიური

პროცესის სქემა

დანამატები (მარილი,

სოია

ზეთი, ფქვილი, ხახვი,

სანელებლები, ტომატ-

მომზადება

ნიორი

პასტა(საჭიროების

შემთხვევაში)

შერევა

მომზადება

მომზადება

დაფასოება - დახურვა

შეფუთვა

ნიშანდება

შენახვა

ქვემოთ მოყვანილია “აჯიკა სოიასი” წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სქემა:

სოიას

მომზადება

შერევა

დანამატები (სანელებ

ლები, მარილი,

დაფასოება

მომზადება

დახუფვა

შეფუთვა

ნიშანდება

შენახვა

გადასამუშავებლად განკუთვნილ ნედლეულში ტოქსიკური ელემენტების შემცველობა, აგრეთვე პესტიციდებისა, ნიტრატებისა და რადიონუკლიდების ნარჩენი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პიგიენურ მოთხოვნებში “მოთხოვნები სასურსათო და საკვები პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნირმებში” სანწდან 2.3.2.000-00 დადგენილ დონეებს.

ნედლეულისა და მასალების მომზადება.

სოია. მომზადება. სოიას ახარისხებენ საინსპექციო მაგიდებზე. ამ დროს აშორებენ დამპალ, მავნებლებით დაზიანებულ, დაავადებულ მარცვლებს და უცხო მინარევებს. მარცვლეულს გამდინარე წყლით რეცხავენ აბაზანაში ან სარეცხ მანქანაში ჭუჭყის სრულ მოშორებამდე. 15 - 18 °C ტემპერატურის წყალში 24 საათის განმავლობაში დალბობისა და გადაწურვის შემდეგ მასას აქცემაცებენ ერთგვაროვანი წვრილმარცვლოვანი მასის მიღებამდე. შემდეგ მასას ფილტრავენ საცერში, ხოლო ბადეზე დარჩენილ მასას კვლავ ალბობენ, აქცემაცებენ წყალთან ერთად და საცერში ფილტრავენ.

აჯიკის შემთხვევაში გაფილტრულ სითხეს ადულებენ, უმატებენ კალციუმის ქლორიდს და ტოვებენ მანამ, სანამ კოაგულირებული ცილა არ დაიღებება. მასას წვრილ საცერში ცხელ მდგომარეობაში გადაწურავენ.

შერევა. ცილა - პროტეინს ეტაპობრივად ემატება ინგრედიენტები და უტარდება ჰომოგენიზაცია.

ჰომოგენიზაცია. ჰომოგენიზაციას ტარდება 4 - 5 წუთის განმავლობაში ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

დაწნებევა. საცერზე დარჩენილ მასას დაწნებავენ.

შერევა. საჭიროების შემთხვევაში რეცეპტურის მიხედვით უმატებენ წინასწარ მომზადებულ მარილს, ნიორს, სანელებლებს, ზეთს, ტომატ-პასტას, ფქვილს, ხახვს და გულდასმით ურევენ მასის თანაბრად გასანაწილებლად. კოშტებს შლიან ხელით.

დაყოვნება. შემდეგ ნარევს 10 - 15 წუთის განმავლობაში აყოვნებენ.

შერევა. დაყოვნებულ ნარევს უჟანგავი ფოლადის ქვაბში ხელმეორედ გულდასმით ურევენ.

დაფასოება - დახურვა. ფარშის ხელით ან მანქანით აფასოებენ 0.25, 0.50, 1.00, 2.00 და 5.00, 20კგ მასის მინის ქილებში ბრსტ 6717-ის მიხედვით ან პოლიეთილენის ბრსტ 10354-ის მიხედვით, ან ცელოფნის ბრსტ 7330-ის მიხედვით, პოლივინილქლორიდის ბრსტ 26269-ის მიხედვით. აჯიკა შეიძლება დაფასოვდეს 0.25, 0.5, 1 კგ მასის მინის ქილებში ბრსტ 6717-ის მიხედვით ან საქართველოში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საკვები პროდუქტების შესაფუთად ნებადართულ სხვა პოლიმერულ ტარაში.

დასაშვებია დაუფასოებელი ფარშის რეალიზაცია. სპეციალურ თერმოიზოლირებულ ყუთებში. ყუთების ფსკერსა და გვერდებზე ამოაგებენ პერგამენტს ბრსტ 1341-ის მიხედვით, პოლიეთილენის აკეს ბრსტ 10354-ის მიხედვით ან სხვა პოლიმერულ მასალას. ქაღალდის ან აკეის თავისუფალ ბოლოებს ფარშს ზევიდან გადახურავენ.

დასაშვები გადახრები მასიდან (ნეტო) დაფასოებულ ერთეულზე უნდა აკმაყოფილებდეს ბრსტ 13709-ის მოთხოვნებს.

შეფუთვა. ნიშანდება. ფარშის შეფუთვა და ნიშანდება წარმოებს ბრსტ 13799—ის მიხედვით.

თითოეულ სამომხმარებლო ტარაზე გაკეთებული უნდა იყოს ნიშანდება შემდეგი მითითებით:

საწარმო-დამამზადებლის დასახელება, მისამართი და
სასაქონლო ნიშანი;

პროდუქციის დასახელება;

მასა (ნეტო);

პროდუქციის დამზადების თარიღი;

შენახვის საგარანტიო ვადა და პირობები;

მოქმედი სტანდარტის აღნიშვნა;

აღნიშვნა “დამზადებულია საქართველოში”;

საინფორმაციო მონაცემები პროდუქციის შემადგენლობისა
და კვებითი და ენერგეტიკული დირებულების შესახებ.

დასაშვებია იარლიყის მხატვრული გაფორმება;

დასაშვებია იარლიყის მოთავსება პაკეტში.

საინფორმაციო მონაცემები პროდუქციის კვებითი და
ენერგეტიკული დირებულების შესახებ.

ქილებს (ფარშით, აჯიკით) ფუთავენ გაფორმებულ მუჟაოს
ყუთებში ბოსტ 13511-ის, ბოსტ 13613-ის მიხედვით ან
პოლიმერული მასალის ან ლითონის მრავალჯერადი მოხმარების
ან სპეციალურ თერმოიზოლირებულ ყუთებში.

სატრანსპორტო ტარის ნიშანდება - ბოსტ 14192-ის
მიხედვით.

საქართველოში სარეალიზაციოდ დამზადებული პროდუქ-
ციის ნიშანდება სრულდება ქართულ ენაზე, ხოლო მის

ფარგლებს გარეთ მიწოდებისას ქართულ და ერთ-ერთ
საერთშორისო ან დამკვეთის ენაზე.

შენახვა. ფარშის ტრანსპორტირება და შენახვა წარმოებს
ბოსტ 13799-ის მიხედვით.

ფარშის მინის ტარაში შენახვის საგარანტიო ვადაა 10 დღე,
პოლიმერის ტარაში - 1 კვირა (მაცივრის პირობებში) დამზადების
დღიდან, თუ დაცული იქნება ტრანსპორტირებისა და შენახვის
პირობები.

აჯიკის (მაცივრის პირობებში) შენახვის საგარანტიო ვადაა
4 თვე, თუ დაცული იქნება ტრანსპორტირებისა და შენახვის
პირობები.

36-ე ცხრილში მოცემულია პროდუქციის (სოიოს ფარშისა
და აჯიკის) კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება.

ცხრილი 36

პროდუქციის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება

პროდუქციის დასახელება	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირწყლე ბი,	ენერგეტიკული ღირებულება, კბალ
--------------------------	--------------	---------------	-------------------	-------------------------------------

			δ	
ფარში სოიასი უმარილო	17.4	9.38	-	160
ფარში სოიასი მარილით	17.0	9.19	-	156.7
ფარში სოიასი საკატლებე	12.8	6.9	22	212.4
ფარში სოიასი საგარნირე	12.8	6.9	-	117.8
აჯიკა სოიასი	41.0	21.0	-	367.4

ქვემოთ მოყვანილია სოიოს ყველის ნივრით წარმოების
ტექნოლოგია.

სოიოს ყველი (შემდგომ - ყველი) დამზადებულია სოიოს
რძისგან. ყველი მზადდება მარილიანი ნივრით.

ყველი წარმოადგენს საკვებად მზა პროდუქტიას და განკუთვნილია საგაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ.

ყველის დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი ნედლეული და მასალები:

რძე სოიასი – მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით;

ნიორი ახალი, დასამზადებელი და მისაწოდებელი ბოსტ 7977-ის მიხედვით;

მარილი სუფრის კვებითი ბოსტ 13830-ის მიხედვით;

მარილი სუფრის, იოდიზირებული – რსტ 19 –ის მიხედვით; კალციუმის ქლორიდი ბოსტ 160-ის მიხედვით;

კალციუმის ქლორიდი, ტექნიკური ბოსტ 450-ის მიხედვით, არანაკლებ I ხარისხისა;

წყალი სასმელი ბოსტ 2874-ის მიხედვით.

მზა პროდუქტია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით ყველი უნდა შეესაბამებოდეს 37-ე ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ყველის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	დახასიათება
გარეგანი სახე და კონსისტენცია	არაფორმვანი, ერთგვაროვანი შეკრული მასა. დასაშვებია ნივრის რბილობის წვრილი ნაწილაკები.
გემო და სუნი	მარილიანი, ნივრის არომატით. არ დაიშვება უცხო გემო და სუნი
ფერი	ერთგვაროვანი, კრემისფერი
უცხო მინარევები	არ დაიშვება

მცენარეული წარმოშობის მინარევები	
-------------------------------------	--

არ დაიშვება

ყველის ფორმა, ზომები და მასა უნდა აკმაყოფილებდეს 38-ე ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 38

ყველის ტექნიკური მაჩვენებლები

ფორმა	ზომები, სმ			მასა, კგ
	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე	
ბეჭდაკი სწორპუთხოვანი	18-20	8-10	6-7	0.5 - 1.5

გვადრატული	8-10	8-10	8-10	1.0 – 2.0

ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით ყველი უნდა
შეესაბამებოდეს 39-ე ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

ცხრილი 39

ყველის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების

მაჩვენებლის დასახელება	ფორმა
გშრალი ნივთიერების მასური წილი, %, არანაკლებ	55,0
ცხიმის მასური წილი, %, არაუმეტეს	9,0

ქლორიდების მასური წილი, % არანაკლებ	0.3

ყველში ტოქსიკური ელემენტების, მიკოტოქსინ პასტულინის, ნიტრატების, რადიონუკლიდების და პესტიციდების შემცველობა, აგრეთვე მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჰიგიენური მოთხოვნები “სასურსათო და საკვები პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმებში” სანწდან 2.3.2.000-00 დადგენილ დონეებს.

ქვემოთ მოყვანილია “ყველი სოიასი ნივრით” წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სქემა და ოპერაციების დახასიათება.

“ყველი სოიასი ნივრით” წარმოების ტექნოლოგიური

პროცესის სქემა

სოიას რძე

გაცხელება

კოაგულაცია

გარილი

გაფილტვრა

ნიორი

გომზადება

შერევა

გომზადება

ჰომოგენიზაცია

ფორმირება

შეფუთვა - ნიშანდება

შენახვა

სოიას რძე. გაცხელება. სოიას რძეს აცხელებენ 90°C ტემპერატურამდე.

კოაგულაცია. კოაგულაციას ახდენენ კალციუმის ქლორიდის ხსნარით.

გაფილტვრა. შრატს გადაწურვის შემდეგ იყენებენ ცხოველთა საკვებად, ხოლო ნარჩენს ფილტრზე - უმატებენ დანამატებს.

დანამატების მომზადება. შერევამდე ამზადებენ დანამატებს (ნიორი. მარილი).

შერევა. ფილტრზე მყოფ ცილას უმატებენ წინასწარ მომზადებულ ნიორსა და მარილს და კარგად ურევენ.

ჰომოგენიზაცია. შერეულ მასას უტარებენ ჰომოგენიზაციას ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ფორმირება. ერთგვაროვან მასას ათავსებენ ფორმებში ხელით ან მანქანით.

შეფუთვა – ნიშანდება. ყველს აფასოებენ 0.25; 0.50; 1.00; 2.00 კგ (ნეტო) მასის პერგამენტამოგებულ ბოსტ 1341-ის მიხედვით, პოლიმერულ, პოლივინილქლორიდის ბოსტ 25250-ის მიხედვით ტარაში, პოლიეთილენში ბოსტ 10354-ის მიხედვით,, ცელოფანში ბოსტ 7330-ის მიხედვით, ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

საკვები პროდუქტების შესაფუთად ნებადართულ სხვა
პოლიმერულ ტარაში.

დასაშვები გადახრები მასიდან (ნეტო) დაფასოებულ
ერთეულზე გრძელ 13277-ის მიხედვით.

